საქ. მეცნ. აკად. მაცნე, სერ. ბიოლ. A, 2005, ტ. 31, № 6. ISSN-0321-1665
Известия АН Грузии, сер. биол. A, 2005, т. 31, № 6.
Proc. Georgian Acad. Sci., Biol. Ser. A, 2005, vol. 31, No. 6.

ახალშობილთა და ჩვილ ბავშვთა პილოროსტენოზის ექსპერიმენტული მოდელი

თ. გვასალია

საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემია, თბილისი

მიღებულია 16.08.20056

ჩვილ ბავშვებში პილოროსტენოზის დროს გართულებები გვხვდება როგორც ოპერაციამდე, ისე ოპერაციის მიმდინარეობისას და ოპერაციის შემდგომ პერიოდში. პოსტოპერაციულ პერიოდში ავადმყოფებს ხშირად აღენიშნებათ ღებინება, რომელიც ამძიმებს პაციენტის ზოგად მდგომარეობას და იწვევს დაავადების რეციდივის ეჭვს.

ჩვენს მიერ შემუშავებული პილორომიოტომიის ახალი მოდიფიკაცია გვაძლევს საშუალებას თავიდან ავიცილოთ პოსტოპერაციული ღებინებები. ცხოველებზე ექსპერიმენტებით ჩვენ მივიღეთ დაავადების ექსპრეს-მოდელი, რომელიც მაქსიმალურადაა მიახლოებული კლინიკურ პირობებთან და განსხვავდება ტრანსგენური ანალოგებისაგან მოდელირების სისწრაფით.

ჩვენ ექსპერიმენტულ მოდელებზე ჩავატარეთ პილორომიოტომია ფრედე-რამშტედტის წესით, ჩვენი მოდიფიკაციით. ცხოველებზე კლინიკური დაკვირვების, რენტგენოლოგიური, ლაბორატორიული და მორფოლოგიური გამოკვლევების საფუძველზე მოხდა პილოროსტენოზის მკურნალობის არსებული მეთოდისა და ჩვენს მიერ შემუშავებული მოდიფიკაციის შედარებითი შეფასება. შესწავლილ იქნა, აგრეთვე, პილორომიოტომიის (ჩვენი მოდიფიკაციით) შორეული შედეგები.

საკვანძო სიტყვები: პილოროსტენოზი, პილორომიოტომია, პილოროსტენოზის ექსპერიმენტული მოდელი, ვირთაგვები

პილოროსტენოზის დროს, პოსტოპერაციული ღებინება ერთ-ერთი ხშირი გართულებაა. ნ.ა. როზანოვას მონაცემებით, ამ გართულებას ადგილი ჰქონდა შემთხვევათა 31,4%-ში [3]. ნ.ბ.სიტკოვსკი და ი.პ.კუკურუზა პოსტოპერაციულ ღებინებას აღნიშნავდნენ პილოროსტენოზით დაავადებულ ბავშვთა 47,6%-ში, ა.ი.საიდალიევი და თან. – 15,9%-ში [5].

ნ.ბ.სიტკოვსკი და ი.პ.კუკურუზა პოსტოპერაციულ ღებინებას ხსნიან სხვადასხვა ფაქტორების ცალ-ცალკე ან ერთად არსებობით: ოპერაციისას კუჭის ტრავმატიზაცია, შეეოვნებითი გასტრიტი, წყლისა და ელექტროლიტური ბალანსის დარღვევა, ჩამოყალიბებული მდგრადი პირობითი რეფლექსი [4].

ეროვნული ბიბლიოთეკა

პილოროსტენოზის დროს კუჭის ენდოსკოპიური გამოკვლევისას ვიზუალურად შეიმჩნევა პილორუსის შესასვლელის ორი ფორმა: ა) ძაბრისებური; ბ) პილორუსის ჰიპერტროფირებული ლორწოვანის პროლაბირება ანტრუმში (სურ. 1). უკანასკნელი ფორმა 5-ჯერ უფრო ხშირად გხვდება, ვიდრე ძაბრისებური და კლინიკურად უფრო მძიმედ მიმდინარეობს, რადგან იგი არის დაავდების ბოლო სტადია, ხოლო ძაბრისებური ფორმა დაავადების დაწყებითი სტადიაა [2].

აქედან გამომდინარე, ლორწოვანის ანტრუმში პროლაბირების დროს მხოლოდ პილოროსუს ფარგლებში ჩატარებული მიოტომია (დილატაციით) არ იძლევა პილორო-ანტრალურ მონაკვეთში სანათურის სრულად აღდგენის საშუალებას, რაც, კომპენსირებული პილოროსტენოზის კლინიკის მსგავსად, პოსტოპერაციულ პერიოდში ბავშვის ღებინებით ვლინდება. ამ პათოლოგიურ პროცესს ხელს უწყობს ლორწოვანის ტრავმული შეშუპება და პილორუსის სპაზმი.

ჩვენი აზრით, შეყოვნებითი გასტრიტი, პირობითი რეფლექსი, წყლისა და ელექტროლიტური წონასწორობის დარღვევები არ შეიძლება ჩაითვალოს პოსტოპერაციული ღებინების მთავარ მიზეზად, არამედ ისინი უნდა განვიხილოთ, როგორც ძირითადი მიზეზის ხელშემწყობი დამატებითი ფაქტორები.

პილოროსტენოზის ექსპერიმენტულ მოდელირებას მიეძღვნა რამდენიმე ნაშრომი. არსებობს დაავადების ტრანსგენული, ემბრიონული და მუტაციური მოდელი [6-8]. ჯ.დოდჯი თავის ექსპერიმენტებში იწვევს პილოროსტენოზს დაბადებულ ბავშვთა თითქმის ნახევარში, ორსული ქალების პენტაგასტრინით, პერინატალურად ხანგრძლივი სტიმულაციის მეშვეობით. მან, აგრეთვე, ჩაატარა იგივე ექსპერიმენტი ცხოველებზე და მიიღო პილოროსტენოზის ხელოვნური მოდელი [6, 8].

ჩვენი შრომის მიზანი იყო ცხოველებზე პილოროსტენოზის ექსპერიმენტული მოდელის შექმნა, რომელიც მაქსიმალურად იქნებოდა მიახლოებული კლინიკურ პირობებთან; ექსპერიმენტულ მოდელზე პილოროსტენოზის მკურნალობის ახალი მეთოდის შემუშავება და ამ მეთოდის შეფასება. ჩვენ განზრახული გვქონდა, აგრეთვე, დაგვეგერა პრაქტიკაში პილორისტენოზის მკურნალონბის ჩვენს მიერ მოწოდებული მოდიფიკაცია.

მასალა და მეთოდები

დასახული მიზნების მისაღწევად, ჩვენ ჩავატარეთ 1995 წლიდან 2000 წლამდე პილოროსტენოზით დაავადებული 120 პაციენტის ავადმყოფობის ისტორიის საფუძვლიანი ანალიზი.

ჩატარებულ იქნა ექსპერიმენტები ცხოველებზე, პილოროსტენოზის მოდელის შექმნისა და მკურნალობის ახალი მეთოდის შემუშავების მიზნით. ამ ცხოველებზე მოხდა კლინიკური დაკვირვება, ლაბორატორიული, მორფოლოგიური და რენტგენოლოგიური გამოკვლევები.

პილოროსტენოზის ახალი მეთოდით მკურნალობის ადრეული და შორეული შედეგების შესწავლა განხორციელდა ფიბროგასტროსკოპიის და

ეროვნული ბიბლიოთეკა

რენტგენოკონტრასტული გამოკვლევით და არსებულ მეთოდებთან შედარებითი ანალიზით.

შედეგები და მათი განხილვა

ჩვენი დაკვირვების ქვეშ მყოფ ავადმყოფთა 12%-ს ოპერაციის შემდგომ პერიოდში აღენიშნებოდა ღებინება, რომელიც გრძელდებოდა 1-2 კვირა, ზოგჯერ უფრო მეტიც. ყველა ისინი იყვნენ ოპერირებული კლასიკური მეთოდით – პილორომიოტომია, ფრედე-რამშტედტის წესით.

პოსტოპერაციული ღებინების პროფილაქტიკის მიზნით, ლორწოვანის ანტრუმში პროლაბირების დროს, ჩვენს მიერ მოწოდებულია პილორომიოტომიის ახალი მოდიფიკაცია, რომელიც ითვალისწინებს განაკვეთის კუჭის ანტრალური ნაწილისკენ 0,3-0,4 სმ-ით გაგრძელებას [1]. ზემოხსენებული მოდიფიკაცია იძლევა პილოროანტრალური მონაკვეთიდან, პილორო-დუოდენური ზონის ჩათვლით, სანათურის სრულად აღდგენის საშუალებას. ჩვენი მეთოდით ოპერირებულ არცერთ პაციენტს პოსტოპერაციულ პერიოდში არ აღენიშნებოდა ღებინება. რამდენიმე შემთხვევაში ადგილი ჰქონდა უმნიშვნელო წამოქაფვებას, რომელიც 1-2 დღის შემდეგ თვითნებურად შეწყდა. მე-3, მე-4 დღიდან ყველა ბავშვი გადაყვანილი იქნა ძუძუთი კვებაზე.

ჩვენ შევეცადეთ შეგვექმნა პილოროსტენოზის ისეთი ექსპრეს–მოდელი თეთრ ლაბორატორიულ ვირთაგვებზე, რომელიც მაქსიმალურად იქნებოდა მიახლოებული კლინიკურ პირობებთან. მოდელირების მიზნით ავირჩიეთ 2 მიმართულება: 1) გასტროტომია, პილორუსის ლორწოვანზე აგრესიული აგენტის წასმა (ფორმალინის 40% ხსნარი, მალამო „აპიზარტრონი"); 2) პილორო-დუოდენურ ზონაში კვანძოვანი ნაკერის დადება, პილორული არხის 1/3, 1/2-ის და 2/3-ის დახშობით.

პილორუსის ლორწოვანზე აგრესიული აგენტის წასმამ და სანათურის 1/3-ის შევიწროებამ არ მოგვცა სასურველი შედეგი. პილორო-დუოდენურ ზონაში სანათურის 2/3-ზე კვანძოვანი ნაკერის დადებისას, ყველა შემთხვევაში განვითარდა მწვავე გაუვალობა. სანათურის 1/2-ზე ნაკერის დადებისას, მე-3 დღიდან ცხოველები ნაკლებ აქტიურები ჩანდნენ, აღენიშნებოდათ მუცლის ზომიერი გაღიდება, კუჭის მოქმედების შემცირება. ლაპაროტომიისას ადგილი ჰქონდა კუჭის ზომების მომატებას და პილორუსის კუნთების ჰიპერტროფიას (დადასტურდა ჰისტოლოგიურად). ამგვარად, მიღებულ იქნა პილოროსტენოზის ექსპერიმენტული მოდელი.

პილოროსტენოზიან 5 ცხოველზე ჩავატარეთ პილორომიოტომია ფრედე-რამშტედტის წესით და 5-ზე – ჩვენი მოდიფიკაციით. ორივე ჯგუფის ცხოველებს, ოპერაციიდან მე-3, მე-5, მე-8 და მე-10-ე, დღეს ავუღეთ პილორუსის ბიოფსიური მასალა. ჰისტოლოგიური პრეპარატები შეიღება ჰემატოქსილინ-ეოზინით და ვან-გიზონის მეთოდით. ცხოველებზე კლინიკური დაკვირვების, რენტგენოლოგიური, ლაბორატორიული და მორფოლოგიური გამოკვლევების საფუძველზე, პილოროსტენოზის მკურნალობის არსებულ მეთოდსა და ჩვენს მიერ შემუშავებულ მოდიფიკაციას მიეცა შედარებითი შეფასება. გაირკვა, რომ პირველ და მეორე ჯგუფში მონაცემები თითქმის იდენტური იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამგვარად, ნათლად ჩანს, რომ ექსპერიმენტში ჩვენი მოდიფიკაციით ჩატარებული პილორომიოტომიის დროს, პილორუსის ჰისტო-მორფოლოგიური სურათი არ განსხვავდება ფრედე-რამშტედტის პილორომიოტომიისას მიღებულ მონაცემებისაგან, ხოლო ჩვენი მეთოდით ოპერირებულ ბავშვებზე კლინიკური დაკვირვება გვინახავს, რომ ოპერაციის შემდგომ პერიოდში მათ დებინება არ აღენიშნებათ.

20 ყოფილ პაციენტზე ჩვენს მიერ შესწავლილ იქნა პილორომიოტომიის (ჩვენი მოდიფიკაციით) შორეული შედეგები. მათ ჩაუტარდათ ფიბროგასტროსკოპია და რენტგენოკონტრასტული გამოკვლევა. რაიმე გართულებებს (კუჭის მოტორული და ევაკუატორული ფუნქციის დარღვევა, გასტრო-დუოდენური რეფლუქსი, ანტრუმ-გასტრიტი და სხვა), რომლებიც შეიძლება ყოფილიყო დაკავშირებული ადრე ჩადატანილ ოპერაციასთან, ადგილი არ ჰქონია.

ამგვარად, პილოროსტენოზის დროს, როდესაც ადგილი აქვს პილორუსის ჰიპერტროფირებული ლორწოვანის ანტრუმში პროლაბირებას, ჩვენს მიერ რეკომენდებულია პილორომიოტომიის მოდიფიკაცია, რომლის გამოყენება თავიდან აგვაცილებს ისეთ საშიშ გართულებას, როგორიცაა პოსტოპერაციული დებინება.



სურ. 1. ფიბროგასტროსკოპია. პილორუსის ლორწოვანის ანტრუმში პროლაბირება.

ლიტერატურა

1. *სიმონიშვილი ა., შოთაძე პ., გვასალია თ., რუხაძე რ., ბალათურია ი.* სამედიცინო ინსტიტუტი "ქუთაისი", რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია, 1996, 13-15.
2. *სიმონიშვილი ა., შოთაძე პ., გაჩეჩილაძე თ.* ნეილ ბავშვთა ქირურგია. სახელმძღვანელო. თბილისი, 1998.
3. *Розанова Н.А.* Врожденный пилоростеноз у грудных детей и его оперативное лечение. Москва, Медгиз, 1960.
4. *Ситковский Н.Б., Кукуруза Ю.П.* Лечение пилоростеноза у новорожденных и грудных детей. Киев, Здоровье, 1973.
5. *Саидалиев А.И., Искандженов И.И. и др.* В кн.: Материалы II Всесоюзной научной конференции детских хирургов,14-17 октяб., 1969 г., стр. 22-23.

6. *Dodge J.A., Karim A.A.* Gut, 1976, 17, 280-284.
7. *Kusafuka T., Puri P.* Pediatric Surgery Int., 1997, 12, 576-579.
8. *Ohshiro K., Puri P.* Pediatr. Surg. Int., 1998, 13, 243-252.

ЭКСПЕРИМЕНТАЛЬНАЯ МОДЕЛЬ ПИЛОРОСТЕНОЗА НОВОРОЖДЕННЫХ И ГРУДНЫХ ДЕТЕЙ

Т. Гвасалия

Государственная медицинская академия Грузии, Тбилиси

РЕЗЮМЕ

Как известно, при пилоростенозе новорожденных и грудных детей, осложнения встречаются до операции, во время операции, а также в постоперационном периоде. Часто в послеоперационном периоде у детей отмечаются рвоты, которые ухудшают общее состояние больного и вызывают подозрение о наличии рецидива заболевания.

С целью профилактики постоперационных рвот нами разработана новая модификация пилоромиотомии.

С помощью опытов на животных (белые крысы), мы смогли создать экспериментальную экспресс-модель пилоростеноза, максимально приближенную к клиническим условиям и отличающуюся от других быстротой моделирования.

На 5 животных пилоромиотомию мы провели по Фреде-Рамштедту а на 5 – пилоромиотомию нашей модификации. На основании клинических наблюдений над животными, а также по данным рентгенологических, лабораторных и морфологических исследований, мы провели сравнительный анализ между существующим методом хирургического лечения пилоростеноза и нашей модификацией. Мы изучили, также отдаленные результаты (фиброгастроскопия, рентгеноконтрастное исследование) пилоромиотомии в нашей модификации у 20 бывших пациентов. Каких-либо осложнений, связанных с ранее перенесенной операцией выявленно не было.

При пилоростенозе с пролабированием слизистой привратника в антральную часть желудка, мы рекомендуем применение предложенной нами модификации пилоромиотомии, что является хорошей профилактикой такого грозного осложнения, как послеоперационная рвота.

EXPERIMENTAL MODEL OF INFANTILE PYLORIC STENOSIS

T. Gvasalia

Georgian State Medical Academy, Tbilisi

SUMMARY

It is known that the complications in newborns and infants with pyloric stenosis are found before the surgical intervention, as well as during and after it.

ეროვნული ბიბლიოთეკა

In the post-surgery period of the disease in children, vomiting is often observed. They aggravate general condition of a patient and induce suspicion about probable relapse of the disease.

In order to make the prophylactic measures of post-operative vomiting we elaborated the new modification of pyloromyotomy.

In experimental animals (albino rats), we created express-model of pyloric stenosis, which maximally resembled clinical conditions and differed from the other models by quickness of modeling.

In five animals pyloromyotomy was modeled according to Fredet-Ramstedt and in five animals – according of our modification. On the basis of clinical survey and data of X-ray, laboratory and morphological examination, we conducted comparative analysis between existing methods of surgical treatment of pyloric stenosis and our modification.

We studied the remote results (gastroscopy, X-ray analysis) of pyloromyotomy made with our modification in the 20 former patients. No complications, connected with the earlier surgery, were found.

In case of pyloric stenosis with prolabition of mucosa into the antral part of the stomach we recommend usage of our modification of pyloromyotomy, which is a good prophylaxis of such heavy complication as post-surgery vomitung.

საქ. მეცნ. აკად. მაცნე, სერ. ბიოლ. A, 2005, ტ. 31, № 6. ISSN-0321-1665
Известия АН Грузии, сер. биол. А, 2005, т. 31, № 6.
Proc. Georgian Acad. Sci., Biol. Ser. A, 2005, vol. 31, No. 6.

სიმსუქნის დროს არსებული დისლიპიდემიის გავლენა აზოტის ოქსიდის შემცველობაზე სისხლში

დ. გიორგაძე, ლ. გიორგაძე, თ. სანიკიძე, თ. დოლიაშვილი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

მიღებულია 23.08.2005

თანამედროვე მოსახლეობისთვის მეტად აქტუალურია ისეთი პრობლემა, როგორიცაა სიმსუქნე, რადგან იგი სასიცოცხლო მნიშვნელობის გართულებების წყაროა. არსებობს მონაცემები, რომ სიმსუქნის დროს განვითარებული მეტაბოლური დარღვევების პათოგენეზში მონაწილეობს აზოტის ოქსიდი. ჩვენი კვლევის მიზანს შეადგენდა დისლიპიდემიასა და სისხლში აზოტის ჟანგის შემცველობას შორის დამოკიდებულების დადგენა სიმსუქნის დროს. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ დისლიპიდემია იწვევს NO-ს დონის დაქვეითებას. შესაბამისად, ითრგუნება აზოტის ოქსიდის ვაზოდილატაციური მოქმედება, რაც წნევის მომატებით გამოვლინდება. დაბალკალორიული დიეტების ფონზე, წონის კორექცია და ლიპიდური ცვლის მოწესრიგება კი დადებითად მოქმედებს აზოტის ოქსიდის შემცველობაზე, რაც აისახება წნევის მაჩვენებლების მოწესრიგებაში.

საკვანძო სიტყვები: სიმსუქნე, ლიპიდები, აზოტის ოქსიდი, სისხლი, გულ-სისხლძარღვთა სისტემა

თანამედროვე მოსახლეობისათვის მეტად აქტუალურია ისეთი პრობლემა, როგორიც არის სიმსუქნე. ბოლო წლებში მნიშვნელოვნად იმატა ამ დაავადების სიხშირემ. 1996 წლის მონაცემებით, ყოველ 10 წელიწადში დაავადებულთა რაოდენობა იზრდება არსებულის 10%-ით და შეიძლება ითქვას, რომ ეს პათოლოგია დებულობს ეპიდემიის სახეს. ამის მიზეზი კი ბოლო ათწლეულების განმავლობაში სიმსუქნის გამომწვევი რისკ-ფაქტორების ფართო გავრცელება და დამკვიდრებაა მოსახლეობაში. კერძოდ, ეს ეხება ცხოვრების წესისა და კვების ხასიათის ცვლილებებს. თანამედროვე ტექნიკური პროგრესის პირობებში ადამიანებს ნაკლებად მოძრავი ცხოვრების წესი აქვთ და ისინი ცხიმებით მდიდარი, მაღალკალორიული პროდუქტებით იკვებებიან. გენეტიკური მიდრეკილების არსებობისას ეს ფაქტორები ასტიმულირებენ სიმსუქნის განვითარებას. სიმსუქნის, როგორც პრობლემის აქტუალობა, ასევე განპირობებულია მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გამოვლენით სხეულის ჭარბ წონასა და გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორის. გამოკვლევებმა აჩვენა, რომ 18 წლის ზემოთ, ყოველ კილოგრამ წონაზე გულ-სისხლძარღვთა პათოლოგიების რისკი იზრდება 3,1%-ით. დადგენილია ასევე, რომ ჭარბი წონის არსებობისას გულ-სისხლძარღვთა დაავადებების და სიკვდილიანობის რისკი იზრდება 2-ჯერ [2], არტერიული ჰიპერტენზიის არსებობა კი 17%-ში განპირობებულია სიმსუქნით. სიმსუქნის დროს ორგანიზმში განვითარებული მეტაბოლური ცვლილებები იწვევენ ისეთ მნიშვნელოვან გართულებებს, როგორიცაა ათეროსკლეროზი, გულის იშემიური დაავადება, შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2, ქოლეცისტო-პანკრეატიტი და მრავალი სხვა დაავადება. პათოგენეზური მექანიზმები, რომლებიც დისლიპიდემიის ფონზე განაპირობებენ აღნიშნული გართულებების განვითარებას, უშუალო კავშირშია NO-სისტემის დისფუნქციასთან.

ჩვენი კვლევის მიზანს შეადგენდა სიმსუქნის დროს განვითარებულ დისლიპიდემიასა და სისხლში აზოტის ჟანგის შემცველობას შორის დამოკიდებულების დადგენა.

მასალა და მეთოდები

გამოკვლეულია სხვადასხვა ხარისხის სიმსუქნის მქონე 25-დან 55 წლამდე ასაკის 25 პაციენტი, რომლებმაც მკურნალობის მიზნით მიმართეს ქობილისის IV კლინიკური საავადმყოფოს ენდოკრინოლოგიურ განყოფილებას, 2004 წელს.

საკვლევ პირებში ვსაზღვრავდით ფიზიკურ მონაცემებს: სხეულის სიმაღლეს, წონას და სიმსუქნის ხარისხს, სხეულის მასის ინდექსს (სმი) მიხედვით. სისხლის ბიოქიმიური მაჩვენებლებიდან გამოვიკვლიეთ ლიპიდური სპექტრი (საერთო ქოლესტერინი, ტრიგლიცერიდები, მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეიდები (HDL) და დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეიდები (LDL). აზოტის ჟანგის შემცველობას სისხლში ვსაზღვრავდით ელექტროპარამაგნიტური რეზონანსის (ეპრ) მეთოდით რადიოსპექტროფოტომეტრ РЭ-137-ზე, სპინხაფანგის ნატრიუმის დიეთილთიოკარბამატის (DETC, Sigma) გამოყენებით. ვსაზღვრავდით, ასევე, არტერიულ წნევას კოროტკოვის მეთოდით.

გამოსაკვლევი პირები დავყავით 4 ჯგუფად სიმსუქნის ხარისხის მიხედვით. I ჯგუფში (სმი – 28,6 კგ/მ^2) მოხვდა 5 ავადმყოფი, II ჯგუფში (სმი – 33,8 კგ/მ^2) – 6 ავადმყოფი, III ჯგუფში (სმი – 38,4 კგ/მ^2) – 5 ავადმყოფი, IV ჯგუფში (სმი – 45,3 კგ/მ^2) – 4 ავადმყოფი. ცალკე შეირჩა საკონტროლო ჯგუფი, რომელშიც მოხვდა ნორმალური წონის 5 პირი (სმი – 22,4 კგ/მ^2).

პირველადი კლინიკური და ლაბორატორიული გამოკვლევების შემდეგ პაციენტებს დაენიშნათ დაბალკალორიული დიეტა და შესაბამისი ანტიჰიპერტენზიული მკურნალობა. განმეორებითი კვლევა განხორციელდა 2 თვის შემდეგ.

შედეგები და მათი განხილვა

ცხრილ 1-ში მოტანილია ლიპიდური ცვლის მაჩვენებლების ცვლილებები სხვადასხვა ხარისხის სიმსუქნის დროს. გამოკვლევებმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვიჩვენეს, რომ ლიპიდური ცვლის დარღვევები, სიმსუქნის ხარისხის მატებასთან ერთად, თანდათან მძიმდება. ჩვენს მიერ გამოვლენილია საერთო ქოლესტერინის, ტრიგლიცერიდების და LDL-ის სტატისტიკურად სარწმუნო მატება ჭარბი წონის და სიმსუქნის I, II, III ხარისხის მქონე პაციენტებში. ორი თვის განმავლობაში სიმსუქნის დაბალკალორიული დიეტით მკურნალობის ფონზე, წონაში კლების პარარელურად, სარწმუნოდ უმჯობესდება ქოლესტერინის ($p < 0,001$), HDL-ის ($p < 0,001$) და LDL-ის შემცველობა. რაც შეეხება ტრიგლიცერიდებს, მათი კონცენტრაცია თერაპიის ფონზე მცირდება, მაგრამ არასარწმუნოდ.

ცხრილი 1

ლიპიდური ცვლის მაჩვენებლები მკურნალობამდე და მკურნალობის შემდეგ სხვადასხვა ხარისხის სიმსუქნის დროს

სიმსუქნის ხარისხი	ტესტირების დრო	Chol (მგ/დლ)	TG (მგ/დლ)	HDL (მგ/დლ)	LDL (მგ/დლ)
კონტროლი	–	186,.2 ± 3,39	182,4 ± 3,15	79,6 ± 0,4	80,2 ± 4,17
I ჯგუფი	მკურნალობამდე	200,25 ± 4,05 $P_{k-1} < 0,01$	198,75 ± 3,36 $P_{k-1} < 0,001$	74,32 ± 0.37 $P_{k-1} < 0,001$	90,91 ± 3,49 $P_{k-1} < 0,1$
	მკურნ. შემდეგ	195,5 ± 2,25 $P_{1-2} > 0,1$	194,5 ± 3,27 $P_{1-2} > 0,1$	78,32 ± 0,35 $P_{1-2} < 0,001$	80,8 ± 3,44 $P_{1-2} < 0,05$
II ჯგუფი	მკურნალობამდე	218,22 ± 4,02 $P_{k-3} < 0,001$	211,48 ± 4,52 $P_{k-3} < 0,001$	73,90 ± 0,4 $P_{k-3} < 0,001$	99,08 ± 4,17 $P_{k-3} < 0,002$
	მკურნ. შემდეგ	197,3 ± 3,5 $P_{3-4} < 0,001$	198,4 ± 3,58 $P_{3-4} < 0,05$	76,2 ± 0,45 $P_{3-4} < 0,001$	86,4 ± 4,15 $P_{3-4} < 0,1$
III ჯგუფი	მკურნალობამდე	227,85 ± 5,46 $P_{k-5} < 0,001$	207,94 ± 4,13 $P_{k-5} < 0,001$	73,77 ± 0,4 $P_{k-5} < 0,001$	104,08 ± 5,18 $P_{k-5} < 0,001$
	მკურნ. შემდეგ	199,5 ± 1,42 $P_{5-6} < 0,001$	198,8 ± 3,77 $P_{5-6} > 0,1$	75,7 ± 0,4 $P_{5-6} < 0,001$	87,5 ± 4,19 $P_{5-6} < 0,002$
IV ჯგუფი	მკურნალობამდე	240,76 ± 7,67 $P_{k-7} < 0,001$	247,3 ± 9,53 $P_{k-7} < 0,001$	72,74 ± 0,41 $P_{k-7} < 0,001$	119,62 ± 6,78 $P_{k-7} < 0,001$
	მკურნ. შემდეგ	204,7 ± 2,39 $P_{7-8} < 0,001$	200,2 ± 2,22 $P_{7-8} < 0,001$	75,5 ± 0,41 $P_{7-8} < 0,001$	92,3 ± 5,25 $P_{7-8} < 0,002$

ცხრილ 2-ში მოტანილია აზოტის ოქსიდის შემცველობა სისხლში სხვადასხვა ხარისხის სიმსუქნის დროს. ცნობილია, რომ აზოტის ოქსიდს ახასიათებს ვაზოდილატატორული და ანტიათეროგენული მოქმედება. ენდოთელიოციტების მიერ პროდუცირებული აზოტის ჟანგი ააქტიურებს გუანილატციკლაზას და ციკლური გუანოზინმონოფოსფატის დაგროვების გზით იწვევს გლუვკუნთოვანი უჯრედების რელაქსაციას და სისხლძარღვთა ვაზოდილატაციას [1]. NO ასევე იწვევს ლეიკოციტების ადჰეზიური მოლეკულების ექსპრესიის ინჰიბირებას, აფერხებს სისხლძარღვთა გლუვკუნ-

თოვანი უჯრედების პროლიფერაციას, თრომბოციტების ადჰეზიასა და აგრეგაციას, აქვეითებს ენდოთელიუმის განვლადობას ლიპოპროტეინებისათვის, რის შედეგადაც ქვეითდება LDL-ს სუბენდოთელიური აკუმულაცია და ვლინდება NO-ს ანტიათეროგენული მოქმედება [3].

NO-ს განსაზღვრამ აჩვენა, რომ საკონტროლო ჯგუფთან შედარებით მისი კონცენტრაცია მნიშვნელოვნად და სარწმუნოდ დაქვეითებულია მსუქან პაციენტებში. არსებობს მონაცემები, რომ დისლიპიდემია უარყოფით გავლენას ახდენს აზოტის ოქსიდის შემცველობაზე სისხლში. ვინაიდან სიმსუქნის დროს დარღვევები უპირატესად ვლინდება ლიპიდურ სპექტრში (ჰიპერქოლესტერინემია, ჰიპერტრიგლიცერიდემია, LDL-ის კონცენტრაციის გაზრდა და HDL-ის კონცენტრაციის შემცირება). ეს დარღვევები, სავარაუდოა, წარმოადგენენ სისხლში NO-ს კონცენტრაციის შემცირების ძირითად მიზეზს. დაბალკალორიული დიეტითა და ანტიჰიპერტენზიული საშუალებებით მკურნალობის ფონზე გამოვლინდა, რომ ჭარბი წონისა და I ხარისხის სიმსუქნის მქონე პაციენტების სისხლში აზოტის ჟანგის შემცველობა სარწმუნოდ გაიზარდა ($p < 0,05$), II და III ხარისხის სიმსუქნის მქონე პაციენტებში კი NO-ს შემცველობის გაზრდა არასარწმუნო აღმოჩნდა. მაშასადამე, კვლევამ აჩვენა, რომ ლიპიდური ცვლის მოწესრიგება, სიმსუქნის თერაპიის დროს, დადებით გავლენას ახდენს აზოტის ოქსიდის შემცველობაზე სისხლში (ცხრილი 2).

ცხრილი 2

აზოტის ოქსიდის შემცველობა სისხლში მკურნალობამდე და მკურნალობის შემდეგ სხვადასხვა ხარისხის სიმსუქნის დროს

ტესტირების დრო	კონტროლი	I ჯგუფი	II ჯგუფი	III ჯგუფი	IV ჯგუფი
მკურნალობამდე	16 ± 0,8	12,38 ± 0,78 $P_{k-I} < 0,002$	11,67 ± 0,68 $P_{k-II} < 0,001$	11,60 ± 0,56 $P_{k-III} < 0,001$	11,39 ± 0,48 $P_{k-IV} < 0,001$
მკურნ. შემდეგ		14,68 ± 0,67 $P_{1-2} < 0,05$	14,27 ± 0,68 $P_{1-2} < 0,05$	12,48 ± 0,58 $P_{1-2} > 0,1$	11,40 ± 0,47 $P_{1-2} < 0,1$

სიმსუქნის დროს განვითარებული დისლიპიდემიის უარყოფითი გავლენის მაჩვენებელია, ასევე, არტერიული ჰიპერტენზიის სიხშირის ზრდა სიმსუქნის ხარისხის მატებასთან ერთად, რაც აზოტის ოქსიდის შემცველობის შემცირებასთანაა დაკავშირებული. ჭარბი წონის ჯგუფში არტერიული ჰიპერტენზია აღენიშნებოდა მხოლოდ 1 პაციენტს, სიმსუქნის I და II ხარისხის დროს – 3-3 პაციენტს და სიმსუქნის III ხარისხის დროს – 4 პაციენტს.

ჩატარებული მკურნალობის ფონზე ლაბორატორიული მაჩვენებლების გაუმჯობესება შესაბამისად იძლევა კლინიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას: ჭარბი წონის და I ხარისხის სიმსუქნის მქონე პაციენტებში მოხდა წონის ნორმალიზაცია, სიმსუქნის II და III ხარისხის დროს კი წონის საშუალო კლება იყო 7,8 და 9,8 კგ, ხოლო რაც შეეხება სისხლის

არტერიულ წნევას, მკურნალობის ფონზე წნევის მაჩვენებლები დარეგულირდა. ჭარბი წონისა და სიმსუქნის I ხარისხის მქონე პაციენტებში ანტიჰიპერტენზიული პრეპარატების მოხსნის საშუალებაც მოგვეცა.

სიმსუქნის დროს განვითარებული ლიპიდური ცვლის დარღვევები უარყოფითად მოქმედებს სისხლში აზოტის ოქსიდის შემცველობაზე. კერძოდ, ჰიპერქოლესტერინემია, ჰიპერტრიგლიცერიდემია, LDL-ის კონცენტრაციის გაზრდა და HDL-ის კონცენტრაციის შემცირება იწვევს NO-ს დონის და, შესაბამისად, მისი დამცველობითი ეფექტების დაქვეითებას. დისლიპიდემიის დროს ითრგუნება აზოტის ოქსიდის ვაზოდილატაციური მოქმედება, რაც წნევის მომატებაში ვლინდება. დაბალკალორიული დიეტების ფონზე, წონის კორექცია და ლიპიდური ცვლის მოწესრიგება დადებითად მოქმედებს აზოტის ოქსიდის შემცველობაზე, რაც აისახება წნევის მაჩვენებლების დარეგულირებაში.

ლიტერატურა

1. *Турпаев К.Т.* Молекулярная биология, 1998, 32, 581-591.
2. *Шевченко О.П., Праскуричний Е.А., Шевченко А.О.* Метаболический синдром. 2004.
3. *Honing M.L.H., Morison P.J., Banga J.D., Stroes E.S.G., Rabelink T.J.* Diabetes / Metabolism Reviews, 1998, 14, 241-249.

ВЛИЯНИЕ ДИСЛИПИДЕМИИ НА СОДЕРЖАНИЕ ОКСИДА АЗОТА В КРОВИ ПРИ ОЖИРЕНИИ

Д. Гиоргадзе, Л. Гиоргадзе, Т. Саникидзе, Т. Долиашвили

Тбилисский государственный медицинский университет

РЕЗЮМЕ

На сегодняшний день ожирение является весьма актуальной проблемой, что связано с его широким распространением среди населения. Существуют данные, что в патогенезе метаболических нарушений при ожирении важная роль принадлежит оксиду азота. Целью нашего иследования являлось установление зависимости между дислипидемией и содержанием NO в крови при ожирении. В результате проведенных иследований было выявлено, что нарушение липидного обмена при ожирении способствует понижению уровня NO в крови. Соответственно, подавляется его вазадилятационная активность, что проявляется в повышении артериального давления пациентов. Коррекция веса и нормализация липидного обмена на фоне гипокалорийной диэты положительно влияет на содержание оксида азота в крови пациентов и, соответственно, проявляется в нормализации артериального давления.

ეროვნული ბიბლიოთეკა

INFLUENCE OF DISLIPIDEMIA ON THE CONTENT OF NITRIC OXIDE IN BLOOD DURING OBESITY

D. Giorgadze, L. Giorgadze, T. Sanikidze, T. Doliashvili

Tbilisi State Medical University

SUMMARY

In the modern human population obesity poses a vital problem in view of the fact that it creates serious complications. It is known that nitric oxide takes part in the pathogenesis of metabolic abnormalities during obesity. The aim of our research was to determine correlation between dislipidemia and content of nitric oxide in the blood during obesity. It was revealed that dislipidemia causes decrease of the NO level. Consequently, nitric oxide vasodilating effect is weakening, which results in high blood pressure. Correction of weight by means of low caloric diet and improvement of lipid profile have a positive effect on the content of nitric oxide, which results in the better control of the blood pressure.

საქ. მეცნ. აკად. მაცნე, სერ. ბიოლ. A, 2005, ტ. 31, № 6. ISSN-0321-1665
Известия АН Грузии, сер. биол. А, 2005, т. 31, № 6.
Proc. Georgian Acad. Sci., Biol. Ser. A, 2005, vol. 31, No. 6.

НЕЙТРОФИЛЫ ПРИ ЭНДОМЕТРИТЕ И ПОСЛЕРОДОВОМ СЕПСИСЕ

М. Дараселия, М. Джавахадзе

Грузинская государственная медицинская академия, Тбилиси; Национальный протитвосепсисный центр им. В.Г. Бочоришвили, Тбилиси

Принята 2.09.2005

Изучены нейтрофилы больных, страдающих эндометритом (20 случаев), практически здоровые женщины (10 человек) и женщины с послеродовым сепсисом (20 человек). Материал исследован методом световой микроскопии. Использован фотомикроскоп фирмы Оптон (Германия). Проведен сравнительный анализ материала. На основании данных литературы делается заключение о связи фагоцитарной активности с эстрогенами.

Ключевые слова: нейтрофилы, эндометрит, послеродовой сепсис, женщины

Нейтрофилы – белые форменные элементы крови, играющие важную роль в защитных проявлениях клетки [2]. Известно, что нейтрофилы сущесвтуют в трех видах: нейтрофилы I порядка (10-12 мкм), нейтрофилы II порядка (13-15 мкм) и нейтрофилы III порядка (17 мкм и выше). В норме отмечаются нейтрофилы лишь I и II порядка, а нейтрофилы III не встречаются. Число нейтрофилов I порядка составляет в норме 60%, а II порядка – 40%. Это – стандартные показатели нормы (Рис. 1). При патологии эти показатели изменяются.

Целью работы являлось исследование нейтрофилов методом световой микроскопии при эндометрите и послеродовом сепсисе у больных, поступивших в стационар с указанным диагнозом.

МАТЕРИАЛ И МЕТОДЫ

Клинический материал представлен 50 случаями. Женщины, страдающие эндометритом – 20 человек. Женщины, поступившие в противосепсисный центр с диагнозом – послеродовой сепсис – 20 человек и 10 женщин – практически здоровые, того же возраста. Средний возраст 25-35 лет. Исследована кровь (форменные элементы). Для этого кровь бралась из пальца, делали мазки на предметном стекле. После фиксации материал окрашивали по Андресу (азур-II эозин).

ОАРПЗЕЗЕЗА
ОЛЕЕЗАПАЗЕЗ

Окрашенные мазки крови просматривались в световом микроскопе типа Фотомикроскоп-III фирмы Оптон (Германия). Проведена морфометрия. Цифровые показатели обрабатывались методом вариационной статистики.

РЕЗУЛЬТАТЫ И ИХ ОБСУЖДЕНИЕ

Ниже, на Рис. 1 и Рис. 2 приведены процентные соотношения нейтрофилов в норме и при эндометрите, как это выявлено в нашем исследовании.



Рис. 1. Нейтрофилы в норме.



Рис. 2. Нейтрофилы при эндометрите.

Рост числа нейтрофилов II и, особенно, III порядка при эдометрите говорит об усилении фагоцитарной активности. В подтверждение сказанному, в ядрах растет площадь эухроматина и, соответственно, снижается площадь гетерохроматина, что так же указывает на усиление функциональных возможностей ядра, играющего важную роль при фагоцитозе. Таким образом, при эндометрите растет число нейтрофилов II и, особенно, III порядков, растет активность ядра, растет число адгезированных нейтрофилов с тромбоцитами. Сказанное говорит об общем усилении активности нейтрофилов, в данном случае о росте их защитной (фагоцитарной) функции.

Сравнительный анализ полученных данных с показателями, полученными от больных с послеродовым сепсисом, дал другую картину. При послеродовом сепсисе были получены следующие показатели: число нейтрофилов I порядка

составило 50%, число нейтрофилов II порядка составило 46%, а число нейтрофилов III порядка – 4%. Адгезия нейтрофилов с другими форменными элементами крови практически не отмечалась. Сегменты ядер были депрессированы. Полученная нами картина указывает, что нейтрофилы не активны, а потому фагоцитарная (защитная) их функция не отмечается (Рис. 3).



Рис. 3. Нейтрофилы при послеродовом сепсисе.

Во всех изученных нами методом световой микроскопии случаях, обращало на себя внимание большое число азурофильных гранул в цитоплазме нейтрофильных клеток. В норме число азурофильных гранул единичное (5-8 на всю клетку). Здесь же (клинический материал) вся цитоплазма была буквально плотно покрыта азурофильными гранулами. Однако, при эндометрите азурофильные гранулы были крупные, при послеродовом сепсисе же – мелкие. Гранулы особенно хорошо просматривались на фоне светлой окраски цитоплазмы при эндометрите и плохо просматривались при послеродовом сепсисе. В последнем случае цитоплазма имела темный фон окраски.

Данные, полученные с помощью световой микроскопии при изучении функции нейтрофилов при эндометрите и послеродовом сепсисе, находят свое новое объяснение, если рассматривать проблему защиты (фагоцитоза) на субструктурном уровне.

В этом плане, первое, что обращает на себя наше внимание – это неоднородность ультраструктуры нейтрофилов при эндометрите и послеродовом сепсисе. При послеродовом сепсисе большая часть клеток репрессирована, меньшая же – в активном состоянии. При эндометрите отмечается общее активное состояние нейтрофилов. На электронограммах видно, что при послеродовом сепсисе сегменты ядра нейтрофилов преимущественно репрессированы. В ядрах отмечается, в основном, гетерохроматин. Эухроматин занимает лишь небольшую часть ядра. Край сегмента ядра довольно сильно извит. Ядерные сегменты, в основном, пикнотичны. Матрикс цитоплазмы представляется темным, что говорит о снижении циклоза, а потому органеллы слабо контурированы. Обращает на себя внимание очень большое число мелких неспецифических гранул. По данным авторов [1], эти гранулы и являются лизосомами. При фагоцитозе гранулы крупные (эндометрит). При послеродовом сепсисе гарнулы мелкие, компактные, преимущественно округлые, с хорошо контурированными краями. Единичные гранулы имели несколько вытянутую форму. Число митохондрий небольшое. Описанная картина говорит о том, что этот нейтрофил не должен быть активным, т.е. здесь явления фагоцитоза нет.

ეროვნული ბიბლიოთეკა

В то же время, при послеродовом сепсисе обращает на себя внимание наличие небольшого числа нейтрофильных клеток с активированными ядрами. В них превалирует эухроматин. Митохондрии здесь набухшие. Специфические гранулы крупные. На поверхности цитоплазмы отмечается интенсивное явление клазматоза.

Анализируя собственный материал, следует, что при эндометрите имеет место активное явление фагоцитоза. Нейтрофилы активно включены в защитный процесс. При послеродовом сепсисе фагоцитоза нет, а если он и есть, то представлен крайне слабо. Нейтрофилы здесь не несут должной иммунной функции. В то же время, единичные нейтрофилы обнаруживают сильные защитные реакции. Создается впечатление, что при послеродовом сепсисе имеются факторы, задерживающие явление фагоцитоза. На сегодня появился целый ряд работ, указывающих на абсолютную связь между эндокринной, иммунной и нервной системами [3, 4]. Изменение активности нейтрофилов (ее снижение) может быть связано [5], с изменениями функциональной активности гипоталамической системы.

.

ЛИТЕРАТУРА

1. *Ленинджер А.* Биохимия. Москва, Мир, 1989.
2. *Улумбеков Э.* Гистология (введение в патологию). Москва, Высшая школа, 2002.
3. *Avi K., Giribaldi G.* J.Antimicr. Agents Chemoter., 2003, 46, 3180-3184.
4. *Benten W.P., Wunderlich F.* J.Endocrinol., 2002, 135, 403-407.
5. *Petersen N.C., North T.W.* J. Immunol. Immunopath., 2003, 3, 33-38.

ნეიტროფილები ენდომეტრიტისა და მშობიარობისშემდგომი სეფსისის დროს

მ. დარასელია, მ. ჯავახაძე

საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემია, თბილისი; ვ. ბოჭორიშვილის სახელობის სეფსისის საწინააღმდეგო ეროვნული ცენტრი, თბილისი

რეზიუმე

შესწავლილია ენდომეტრიტით დაავადებული ავადმყოფების (20 შემთხვევა), პრაქტიკულად ჯანმრთელი ქალებისა (10 შემთხვევა) და მშობიარობისშემდგომი სეფსისით დაავადებული ქალების (20 შემთხვევა) ნეიტროფილები. მასალა შესწავლილია სინათლის მიკროსკოპით. გამოყენებულია ფოტომიკროსკოპი (ფირმა ოპტონი, გერმანია). ჩატარებულია მასალის შედარებითი ანალიზი. გაკეთებულია დასკვნა, რომ ენდომეტრიტის დროს ადგილი აქვს აქტიურ ფაგოციტს, ხოლო მშობიარობისშემდგომი სეფსისის დროს ის ან არ არის, ან წარმოდგენილია ძალიან სუსტად.

NEUTROPHILES AT ENDOMETRITIS AND PUERPERAL SEPSIS

M. Daraselia, M. Javakhadze

Georgian State Medical Academy, Tbilisi; V. Bochorishvili Anti-Sepsis National Center, Tbilisi

SUMMARY

Neutrophiles of the patients with endometritis (20 cases), practically healthy women (10 cases) and women with puerperal sepsis (20) have been studied. The material was studied using light microscope. Photomicroscope of the firm Opton company (Germany) was used. A comparative analysis has been done. Basing on the data of analysis, conclusion was done about presence of active fagocytosis in case of endometritis and absence of fagocytosis, or very mild manifestation, in case of puerperal sepsis.

საქ. მეცნ. აკად. მაცნე, სერ. ბიოლ. A, 2005, ტ. 31, № 6. ISSN-0321-1665
Известия АН Грузии, сер. биол. A, 2005, т. 31, № 6.
Proc. Georgian Acad. Sci., Biol. Ser. A, 2005, vol. 31, No. 6.

ЦИТОТОКСИЧЕСКИЕ ПОКАЗАТЕЛИ ДЕЙСТВИЯ ИНСЕКТИЦИДОВ

Г. Есартия

Институт психиатрии, Тбилиси

Принята 3.08.2005

Показан характер внутриклеточного распределения и цитотоксического действия на культуру ткани куриных эмбрионов наиболее часто употребляемых фосфорорганических инсектицидов: карбофоса и хлорофоса и также децисила. Полученные данные оценены в свете развития физиологических и цитотоксических процессов, характерных для действия каждого пестицида в отдельности.

Основные исследования проведены на 46 беспородных белых крысах, которые одноразово получили ТД$_{50}$ дозы каждого препарата. Исследования проведены на 30-й и 60-й минуте после начала эксперимента.

Ключевые слова: куриные эмбрионы, культура тканей, фосфорорганические инсектициды, цитотоксикология, крысы

В настоящее время изучение механизма действия лекарственных и токсических веществ на клеточном уровне является важной задачей современной биологии и медицины. Речь идет о раскрытии механизма закономерностей изменения структуры и функционирования клетки в процессе взаимодействия с токсическими агентами [4].

При сравнительном анализе данных литературы [2], имеющих отношение к токсичности инсектицидов для клетки или органов in vitro, можно выделить несколько наиболее важных научных направлений. Речь идет об исследовании метаболизма инсектицидов в тест-системах in vitro, угнетении роста и гибели клеток или клеточных систем, морфологическом изменении клеток или клеточных органелл и т. д.

Обширный экспериментальный материал показал, что большинство инсектицидов, несмотря на большие различия в химической структуре, проявляют в определенном смысле качественно одинаковый характер интоксикации и вызывают качественно одинаковые морфологические изменения. В общем смысле, это укладывается в концепцию Н.А.Насонова (1940) о неспецифической реакции клеток на воздействие различных экстремальных факторов. Стереотипность реакции и характер изменений структурно-функциональных компонентов клетки является важной характеристикой действия большинства фосфорорганических инсектицидов.

ЭЛЕКТРОННАЯ БИБЛИОТЕКА

Обсуждая этот вопрос, надо иметь в виду, что сходство качественных изменений структурно-функциональных компонентов клетки при действии различных инсектицидов, сопровождается значительными отличиями количественного порядка [1]. Например, повреждение эндоплазматического ретикула всегда наблюдалось при действии большинства используемых в сельском хозяйстве пестицидов, однако преобладающая сила имела место только при интоксикации фосфорорганическими инсектицидами. Указанная закономерность четко проявляется, также в отношение лизосомального аппарата фибробластов. Например, существенное увеличение количества лизосом, сопровождающееся резким повышением активности кислой фосфатазы, наблюдается только при интоксикации хлорофосом, в то время как при интоксикации децисом, эти явления оказались минимальными.

Исследование взаимодействия токсических агентов с субклеточными, а в некоторых случаях, макромолекулярными компонентами клеток, способствует раскрытию-механизмов действия инсектицидов, описанию морфогенеза интоксикации, и как результат – повышению специфического действия препарата, его избирательности [3].

С точки зрения цитотоксических задач, ставится цель – изучить реакцию клеточной культуры куриного эмбриона на воздействие различных фосфорорганических инсектицидов. Из наиболее широко применяемых в сельском хозяйстве инсектицидов, нами изучены следующие препараты форсфорорганического ряда – хлорофос и карбофос, а также новый для современной сельско-хозяйственной культуры, децисил.

МАТЕРИАЛ И МЕТОДЫ

Исследования проведены с использованием культуры ткани куриного эмбриона на которую действовали карбофосом в дозе 0,06 мкг/мл, хлорофосом – 0,08 мкг/мл и дицисилом 0,09 мкг/мл. Указанные дозы соответствовали среднетоксическим величинам ($ТД_{50}$) действия препаратов.

Далее рассчитывали органо-клеточный коэффициент (ОКК), представляющий собой частное от деления среднетоксической дозы инсектицида для лабораторных животных (беспородные белые крысы) на среднетоксическую дозу действия ($ТД_{50}$) того же инсектицида на культуру клеток куриного эмбриона [5]. В общей сложности, исследовано 46 белых крыс, которые представляли три группы наблюдений. В первой группе (12 крыс) был применен карбофос, во второй (12 крыс) хлорофос, а в третьей (12 крыс) децисил. $ТД_{50}$ дозы в каждом случае рассчитывались индивидуально для каждой группы в отдельности.

РЕЗУЛЬТАТЫ И ИХ ОБСУЖДЕНИЕ

Проведенные нами исследования показали, что в результате действии всех перечисленных выше инсектицидов развивается необратимое повреждение эндоплазматического ретикулума, однако преобладающие изменения наблюдались только после действия хлорофоса, в то время как после действия децисила, указанного типа изменения оказалось незначительными.

Еще более четко эта закономерность проявлялась в отношение лизосомального аппарата фибробластов. Проведенные нами исследования показали существенное увеличение количества лизосом, сопровождающееся резким повышением активности кислой фосфатазы, почти на 25,0%. Указанного типа изменения, как правило, наблюдались через 30 и 60 минут после начала экспериментального (in vitro) действия хлорофоса и карбофоса, в то время как описанные выше изменения в результате действия децисила оказались минимальными.

Надо подчекнуть, что через 30 минут после начала эксперимента (действие децисила), отмеченные выше цитотоксические изменения практически не наблюдались.

Рассчитанные далее показатели ОКК оказались для всех исследованных нами фосфорорганических пестицидов неодинаковыми. Через 60 минут после действия хлорофоса, ОКК соответствовал 0,45, после действия карбофоса – 0,64, а в результате воздействия децисила не превышал 0,37.

Указанные показатели определенно коррелируют с классическими описаниями цитотоксических изменениий в культуре ткани куриных эмбрионов.

В этом аспекте, наиоблее сложным вопросом цитотоксикологии является проблема экстраполяции данных, полученных в модельных системах in vitro, на целостный организм, т. к. выявленные in vitro закономерности не всегда полностью отражают возможные изменения в клетках, входящих в интегральную систему целостного организма.

В настоящее время большинство авторов указывает на возможность корреляции между степенью токсичности инсектицидов для культуры клеток и степенью токсичности для лабораторных животных.

Существование указанной закономерности отмечается для большинства фосфорорганических пестицидов. Авторы показали соответствие пороговый и недействующей доз инсектицидов в опытах in vitro (особенно в культуре фибробластов куриного эмбриона) и в хроническом опыте на белых мышах. По их мнению, культура клеток приемлемая модель для изучения токсичности фосфорорагнических пестицидов, а сам метод является адекватным для выбора доз при проведении хронического эксперимента на животных.

Исследования взаимодействия токсических агентов с субклеточными, а в перспективе и с макромолекулярными компонентами клетки, должны способствовать раскрытию патогенеза, а также отдельных параметров морфогенеза интоксикации фосфороорганическими инсектицидами. В этом плане особенно перспективны исследования процессов репарации клеточных и субклеточных структур, а также выяснение факторов, способствующих их развитию.

ЛИТЕРАТУРА

1. *Абрамов Б.А.* Фосфорорганические соединения. Москва, Колос, 1989.
2. *Каган Ю.С.* Токсикология фосфорорганических инсектицидов. Москва, Медгиз, 1999.
3. *Клинарцидс Л.А.* Действие пестицидов на микроорганизмы. Рига, Знание, 1988.
4. *Кудрюков В.В.* Последействие пестицидов на растительные и животные организмы. Москва, Колос, 1992.
5. *Петрова Т.М., Новожилев К.В.* В кн.: Миграция и превращение пестицидов. Москва, Гидромедиздат. 1999.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინსექტიციდების ციტოტოქსიკური მაჩვენებლები

გ. ესართია

ფსიქიატრიის ინსტიტუტი, თბილისი

რეზიუმე

თანამედროვე ციტომორფოლოგიური მეთოდებით ჩატარებულია ფოსფორორგანული ინსექტიციდების მოქმედების ჰისტოლოგიური მაჩვენებლების რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზი. ტოქსიკური აგენტებიდან ცდებში გამოყენებულია ქლოროფოსი, კარბოფოსი და დეცისილი. სამივე შემთხვევაში ინსექტიციდების დოზა შერჩეული იყო, როგორც ტოქსიკური დოზის ნახევარი (TD_{50}).

ცდები ჩატარებულია 36 თეთრ ვირთაგვაზე და წარმოდგენილია სამ ჯგუფად. პირველ ჯგუფში (12 ცხოველი) გამოყენებულია ქლოროფოსი, მეორე ჯგუფში (12 ცხოველი) ცხოველები დებულობდნენ კარბოფოსს და მესამე ჯგუფში – დეცისილს. ტოქსიკური ეფექტები შემოწმებულია ნივთიერების შეყვანიდან 30 და 60 წუთის შემდეგ.

CYTOTOXIC INDICES OF THE INSECTICIDES IMPACT

G. Esartia

Institute of Psychiatry, Tbilisi

SUMMARY

The individual pharmacokinetic and pharmacodynamic of insecticides (chlorophos, thiophos and dezisil) were studied. Qualitative and quantitative histological indices were evaluated in order to determine different impact of these insecticides. The groups of the albino rats (three groups, 12 animals in each) were monitored for periods of 30 and 60 minutes following intoxication. The individual half-toxic doses (TD_{50}) for thiophos, chlorophos, and dezisil were determined.

საქ. მეცნ. აკად. მაცნე, სერ. ბიოლ. A, 2005, ტ. 31, № 6. ISSN-0321-1665
Известия АН Грузии, сер. биол. A, 2005, т. 31, № 6.
Proc. Georgian Acad. Sci., Biol. Ser. A, 2005, vol. 31, No. 6.

თავისუფალი ცხიმოვანი მჟავების სპექტრის შესწავლა სარძევე ჯირკვლის სიმსივნეებით დაავადებული ქალების სისხლში

თ. თევდორაძე, ზ. ზურაბაშვილი, გ. ნემსაძე, ს. უჩანეიშვილი, თ. რეხვიაშვილი, ნ. კოტრიკაძე

ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მიღებულია 25.07.2005

შესწავლილ იქნა სარძევე ჯირკვლის სიმსივნეებით დაავადებული ქალების სისხლის პლაზმაში თავისუფალი ცხიმოვანი მჟავების რაოდენობა. დადგენილია, რომ ნაჯერი და უჯერი ცხიმოვანი მჟავების სპექტრი მნიშვნელოვნად იცვლება სარძევე ჯირკვლის ავთვისებიანი სიმსივნის შემთხვევაში, ხოლო კეთილთვისებიანი სიმსივნეების დროს ეს ცვლილებები არასარწმუნოა.

საკვანძო სიტყვები: სარძევე ჯირკვლის სიმსივნეები, სისხლის პლაზმა, თავისუფალი ცხიმოვანი მჟავები

როგორც ცნობილია, ორგანიზმში სიმსივნის განვითარება მრავალმხრივ ცვლილებებთან არის დაკავშირებული, რაც ადნიშნული პათოლოგიის სისტემური მოქმედების შედეგია. სარძევე ჯირკვლის სიმსივნეების განვითარებისას (სხვა ჰორმონდამოკიდებული სიმსივნეების მსგავსად) დარღვევები უმეტესად ვლინდება ორგანიზმის სამ ძირითად ჰომეოსტაზში – რეპროდუქციულში, ენერგეტიკულსა და ადაპტაციურში [1]. ენერგეტიკულ ჰომეოსტაზს, სხვა ფაქტორებთან ერთად, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს სისხლში თავისუფალი ცხიმოვანი მჟავების სპექტრი.

ცნობილია, რომ პალმიტინის ($C_{16:0}$), სტეარინის ($C_{18:0}$), ოლეინის ($C_{18:1}$), ლინოლის ($C_{18:2}$), ლინოლენისა ($C_{18:3}$) და არაქიდონის ($C_{20:4}$) მჟავები შედიან რა უჯრედული მემბრანის ფოსფოლიპიდების შემადგენლობაში, განაპირობებენ როგორც მემბრანის მთლიანობას, ასევე მის დენადობას. ნაჯერი და უჯერი ცხიმოვანი მჟავების შემცველობასა და თანაფარდობაზე დამოკიდებულია უჯრედის მრავალი საკვანძო ფუნქცია [5].

ცხიმოვანი მჟავები გროვდება ცხიმოვან ქსოვილში, ხოლო მათი უტილიზაცია ხდება ღვიძლსა და კუნთებში, სადაც, თავისუფალი სახით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისინი ტრანსპორტირდებიან სისხლის საშუალებით (ალბუმინთან კომპლექსში) [6]. თავისუფალი ცხიმოვანი მჟავების სპექტრის ცვლილება დაკავშირებულია სისხლში ლიპიდებისა და ლიპოპროტეიდების შემცველობის ცვლილებასთან და სხვადასხვა ფაქტორებით არის განპირობებული. მათ შორის აღსანიშნავია ასაკობრივი ცვლილებები, ჰორმონული სტატუსი, დარღვევები ზრდის ჰორმონი-გლუკოზა-ცხიმოვანი მჟავების სისტემაში (გლუკოზისადმი ტოლერანტობის დარღვევა, ინსულინრეზისტენტობა, ჰიპერინსულინემია და სხვ.) [1], და სხვადასხვა პათოლოგიები, კერძოდ კი, ჰორმონდამოკიდებული სიმსივნეები, რასაც თან სდევს ლიპოლიზის გაძლიერება და ცხიმოვანი დეპოებიდან შესაბამისი ცხიმოვანი მჟავების მობილიზაცია [3].

მნიშვნელოვანია ასევე, კვების ფაქტორის გათვალისწინებაც. სხვადასხვა ეპიდემიოლოგიური გამოკვლევები ცხადყოფს, რომ კვების ხასიათი გარემოს იმ ფაქტორთა რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ, რომლებიც სხვადასხვა მექანიზმებით გავლენას ახდენენ ჰორმონდამოკიდებული სიმსივნეების განვითარებაზე [2]. ასე მაგალითად, საკვებ რაციონში უჯერი და ნაჯერი ცხიმოვანი მჟავების თანაფარდობა ზემოქმედებს სისხლში ქოლესტერინისა და, შესაბამისად, სტეროიდული ჰორმონების რაოდენობაზე (ესტროგენების კონცენტრაციასა და მეტაბოლიზმზე) [10], რაც ერთ-ერთ რისკ-ფაქტორს წარმოადგენს სარძევე ჯირკლის სიმსივნეების განვითარებაში.

ლიტერატურიდან ცნობილია აგრეთვე, რომ უჯერი ცხიმოვანი მჟავები იწვევენ რა პლაზმის განსაზღვრული ცილების ფიზიკურ-ქიმიური თვისებების ცვლილებას, აკონტროლებენ სტეროიდული ჰორმონების რეცეპტორებთან დაკავშირებას და, შესაბამისად, ახდენენ განსაზღვრული გენების ტრანსკრიპციის რეგულირებას (ასრულებენ მეორადი შუამავლების როლს) [9]. აღნიშნული სასიგნალო მექანიზმის რღვევა კი, შესაძლებელია სხვადასხვა პათოლოგიების (სიმსივნის) განვითარების საფუძველი გახდეს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენი სამუშაოს მიზანს წარმოადგენდა დაგვედგინა ნაჯერი და უჯერი ცხიმოვანი მჟავების რაოდენობრივი ცვლილებები სარძევე ჯირკლის როგორც ავთვისებიანი, ასევე კეთილთვისებიანი სიმსივნით დაავადებული პაციენტების სისხლის პლაზმაში, რათა განხილული ყოფილიყო აღნიშნული ნაერთების შესაძლო როლი სარძევე ჯირკლის სიმსივნური პათოლოგიების განვითარებაში.

მასალა და მეთოდები

კვლევისათვის გამოიყენებოდა სარძევე ჯირკლის კეთილთვისებიანი და ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებული 10-10 ავადმყოფი ქალის სისხლის პლაზმა. გამოკვლევა უტარდებოდა დაავადების II-III სტადიაზე მყოფ პაციენტებს, რომელთა საშუალო ასაკი იყო 50-65 წელი. საკონტროლო ჯგუფში წარმოდგენილი იყო შესაბამისი ასაკის პრაქტიკულად ჯანმრთელი ქალების სისხლის პლაზმა. დაავადების კლინიკურ სტადიას ადგენდნენ სარძევე ჯირკლის ციტოლოგიური, ჰისტო-მორფოლოგიური და ექო-მამოგრაფიული

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოკვლევებით. ცხიმოვანი მჟავების განსაზღვრა ხდებოდა აირ-თხევადი ქროматოგრაფიის მეთოდით [11]. ლიპიდების ზეანგური ჟანგვის ინტენსივობას ვსაზღვრავდით მისი ერთ-ერთი საბოლოო პროდუქტის, მალონის დიალდეჰიდის, წარმოქმნის მიხედვით [7].

შედეგები და მათი განხილვა

გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ ნაჯერი ცხიმოვანი მჟავებიდან, პალმიტინის მჟავას პროცენტული შემცველობა არ იცვლება კეთილთვისებიანი სიმსივნით დაავადებული ქალების სისხლში, ხოლო ავთვისებიანი სიმსივნის შემთხვევაში მცირდება 1,5-ჯერ საკონტროლო ჯგუფთან შედარებით (ცხრილი 1). რაც შეეხება სტეარინის მჟავას, მისი პროცენტული შემცველობა უმნიშვნელოდ არის შემცირებული კეთილთვისებიანი სიმსივნით დაავადებულებში და მკვეთრად იზრდება ავთვისებიანი სიმსივნის შემთხვევაში (ცხრილი 1). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საკონტროლო ჯგუფში პალმიტინის პროცენტული რაოდენობა სტეარინის მჟავასთან შედარებით ნაკლები რაოდენობით არის წარმოდგენილი, ხოლო ავთვისებიანი სიმსივნის შემთხვევაში ამ უკანასკნელის პროცენტული რაოდენობა მკვეთრად იზრდება და მათი თანაფარდობა ($C_{16:0}/C_{18:0}$) მცირდება 2,5-ჯერ. ვვარაუდობთ, რომ სტეარინის მჟავას პროცენტული შემცველობის ზრდა სარძევე ჯირკვლის ავთვისებიანი სიმსივნის შემთხვევაში შესაძლებელია განპირობებული იყოს ელონგაციის წარმმართველი ფერმენტული სისტემის გააქტივებითა და პალმიტინის მჟავას ჯაჭვის ზრდით [8]. გარდა ამისა, გარკვეულ პირობებში, ოლეინის მჟავას აქვს უნარი რედუცირდეს და გარდაიქმნას სტეარინის მჟავად (რასაც ჩვენი მონაცემებიც ადასტურებს – ოლეინის მჟავას რაოდენობა ავთვისებიანი სიმსივნის დროს მკვეთრად შემცირებულია).

ცხრილი 1

ცხიმოვანი მჟავების რაოდენობრივი ცვლილება სარძევე ჯირკვლის სიმსივნეებით დაავადებული ქალების სისხლში

ცხიმოვანი მჟავები	თავისუფალი ცხიმოვანი მჟავების შემცველობა, %		
	საკონტროლო ჯგუფი	კეთილთვისებიანი სიმსივნე	ავთვისებიანი სიმსივნე
პალმიტინი $C_{16:0}$	9,53 ± 1,10	9,43 ± 0,90	6,26 ± 0,90
სტეარაინი $C_{168:0}$	17,78 ± 0,80	15,85 ± 1,50	28,60 ± 1,20
ოლეინი $C_{18:1}$	2,19 ± 0,045	1,29 ± 0,18	0,97 ± 0,076
ლინოლი $C_{18:2}$	10,52 ± 0,30	11,02 ± 0,50	15,13 ± 1,70
ლინოლენი $C_{18:3}$	21,50 ± 0,36	19,70 ± 1,10	20,67 ± 1,70
არაქიდონი $C_{20:4}$	34,26 ± 1,30	18,8 ± 8,80	11,33 ± 0,77

კვლევის შემდგომ ეტაპზე შესწავლილ იქნა უჯერი ცხიმოვანი მჟავების (ოლეინის, ლინოლის, ლინოლენის, არაქიდონის) პროცენტული შემცველობის ცვლილება. გამოკვლევებმა უჩვენა, რომ საკონტროლო ჯგუფში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტუბერკულოზი სულ უფრო სერიოზული პრობლემა ხდება განვითარებად ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც. მდგომარეობა რთულდება მიკობაქტერიის მდგრადობის გამო სტრეპტომიცინის (STR), იზონიაზიდის (INH), რიფამპიცინის (RIF) და ეთამბუტოლის (EMB) მიმართ. გამოკვლევის მიზანს შეადგენდა გამძლეობის შედარება სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით: აბსოლუტური კონცენტრაციების ლევენსტეინ-ოენსენის (L-J) კვერცხიან ნიადაგზე, პროპორციული მიდლბრუკის 7H10 (Mbr7H10) აგარზე და MGIT სინჯარებში. სულ ზემოაღნიშნულ ნიადაგებზე გამოკვლეულია 486 შტამი. კულტურის გამოყოფის ხარისხი უფრო მაღალი იყო აგარზე ვიდრე L-J-ზე, ანალიზის სისწრაფე L-J-ზე შეადგენდა 21 დღეს, აგარზე – 14 დღეს და MGIT სინჯარებში – 7,7 დღეს. კორელაცია L-J და Mbr 7H10 შორის შეადგენდა: STR – 95%, INH – 95,5%, RIF – 97,5%, EMB – 94,2%; Mbr 7H10 და MGIT: STR – 98,6%, INH – 98,8%, RIF – 99,8%, EMB – 99%; L-J და MGIT: STR – 95%, INH – 95,5%, RIF – 97,5%, EMB – 96%. გამძლეობის ცდის ჩატარებას L-J-ნიადაგზე სჭირდება 21 დღე, Mbr 7H10 აგარზე ეს დრო მცირდება მინიმუმ 1 კვირით, ხოლო MGIT სინჯარებში – ორი კვირით.

USE OF DIFFERENT NUTRIENT MEDIA FOR DETERMINING A DRUG-RESISTANCE OF *MYCOBACTERIUM TUBERCULOSIS* IN GEORGIA

L. Mskhiladze, N. Shubladze, M. Akhalaya, S. Vashakidze, K. Apridonidze*

National Center for Tuberculosis and Pulmonary Diseases, Tbilisi; * Georgian State Medical Academy, Tbilisi

SUMMARY

Tuberculosis is becoming a major problem in the developing world, including Georgia. The problem of mycobacterial drug-resistance is of especially high importance. The objective of the study was to compare drug susceptibility (DS) tests on Lowenstein-Jensen (L-J) egg medium, Middlebrook7H10 (Mbr7H10) agar and in MGIT tubes in the National Reference Laboratory of Georgia. A total of 1972 strains were tested for DS for the 1st line drugs (Streptomycin, STR; Isoniasid, INH; Rifampin, RIF, and Ethambutol, EMB) by the absolute concentrations method on L-J medium. Total of 486 strains were tested simultaneously by CDC Agar Proportion method on Mbr 7H10 and in MGIT tubes according to producer's manual. Growth rate and speed were higher on Mbr 7H10 and in MGIT than on L-J – 14 and 7.7 days vs 21, respectively. The correlation between L-J and Mbr7H10 was: for STR – 95%, for INH – 95.5%, for RIF – 97.5%, for EMB – 94.2%; Mbr7H10 – MGIT: for STR – 98.6%, for INH – 98.8%, for RIF – 99.8%, for EMB – 99%; L-J-MGIT: for STR – 95%, for INH – 95.5%, for RIF – 97.5%, for EMB – 96%. Correlation between different methods' results shows that we can reduce test time and improve the NRL work by implementing the new media.

საქ. მეცნ. აკად. მაცნე, სერ. ბიოლ. A, 2005, ტ. 31, № 6. ISSN-0321-1665
Известия АН Грузии, сер. биол. A, 2005, т. 31, № 6.
Proc. Georgian Acad. Sci., Biol. Ser. A, 2005, vol. 31, No. 6.

თავის ტვინის ქსოვილის მორფოლოგიური ცვლილებები გამოწვეული სხვადასხვა ხარისხის ლოკალური ჰიპერთერმიით

მ. ნებიერიძე, მ. ტაბატაძე, მ. დევდარიანი, ლ. გობეჩია, ი. ქვაჩაკიძე, ლ. გუმბერიძე

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი

მიღებულია 3.08.2005

ცენტრალურ ნერვულ სისტემაში ლოკალური ჰიპერთერმიით გამოწვეული დაზიანების შესახებ ლიტერატურაში საკმაოდ მრავალფეროვანი მონაცემები გვხვდება. ჩვენ შევეცადეთ მიგვეღო უფრო სპეციფიკური მონაცემები თავის ტვინის ქსოვილის მგრძნობელობის შესახებ ჰიპერთერმული ზემოქმედებისადმი და ამ უკანასკნელით მყისიერად გამოწვეული ჰისტოლოგიური ცვლილებების შესახებ.

ჩვენს ექსპერიმენტულ პირობებში, ჰიპერთერმიამ 41°C-ით დაზიანება გამოიწვია თავის ტვინის მხოლოდ ზედაპირზე და გამოავლინა ცალკეული თრომბირებული ცერებრული მიკროსისხლძარღვები. ორი გრადუსით ტემპერატურის მატების შედეგად, მივიღეთ თავის ტვინის საკმაოდ მძიმე დაზიანება, ხოლო ყველაზე მაღალმა ტემპერატურამ (45°C), ჰიპერთერმიის ზონაში გამოიწვია თავის ტვინის ქერქის შრეობრივი შენების სრული მოშლა.

საკვანძო სიტყვები: ჰიპერთერმია, ნერვული სისტემა, ჰისტოლოგია, ვირთაგვები

ჰიპერთერმიის გამოყენების ვარგისიანობა ონკოლოგიურ კლინიკაში ფართოდაა აღიარებული. დადგენილია, რომ 40-44°C-ის ფარგლებში სითბური ზემოქმედება ზრდის სიმსივნის შემდგომ რადიოთერაპიული ან ქიმიოთერაპიული მკურნალობის ეფექტურობას. ბიოლოგიური ქსოვილების უმრავლესობა, ტოლერანტულია ჰიპერთერმიით მკურნალობისადმი და დაზიანების გარეშე იტანს 44°C-ზე მაღალ ტემპერატურასაც. გამონაკლისია ნერვული ქსოვილი. Matsumi et al., [2] შენიშნავენ, რომ ტვინის ქსოვილისათვის ჰიპერთერმიის უსაფრთხო ზღვარია 43°C და ისიც მაქსიმუმ 60 წუთის განმავლობაში. თუ ჰიპერთერმია მიმდინარეობს ნერვული ქსოვილის იშემიის ფონზე, მაშინ იშემიური მდგომარეობის ინფარქტში ტრანს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმაციის შესაძლებლობა მნიშვნელოვნად იზრდება და ჩქარდება ტვინის ქსოვილში ნეკროზული პროცესების განვითარება [1].

წარმოდგენილ გამოკვლევაში ჩვენ შევეცადეთ მიგვეღო დაზუსტებული მონაცემები თავის ტვინის ქსოვილის მგრძნობელობის შესახებ ჰიპერთერმიით მკურნალობისადმი.

მასალა და მეთოდები

მწავავე ცდები ჩატარდა 250 გ მასის მამრ ზრდასრულ, 4% ქლორალჰიდრატით ანესთეზირებულ ვირთაგვებზე. თხემის წილის არეში ვახდენდით თავის ქალას ტრეპანაციას (ზომით 7-8, მმ^2) და ამ ადგილთან მიგვყავდა თერმოსტატთან დაკავშირებული სილიკონის წვრილი მილი (დიამეტრით 1,5-2 მმ), საიდანაც თავის ტვინის ღია ზედაპირზე გამუდმებით მიედინებოდა სასურველ ტემპერატურამდე შემთბარი რინგერ-კრებსის ხსნარი. 60 წუთის ხანგრძლივობის ამგვარი ზემოქმედების შემდეგ, ცხოველს უკეთდებოდა 10% ფორმალინის ხსნარის ტრანსკარდიალური პერფუზია.

ტვინის სერიული 50 მკმ სისქის ფრონტალური ანათლები იღებებოდა აზურ-ეოზინით. ჰისტოლოგიური ცვლილებების ხასიათი ისაზღვრებოდა სინათლის მიკროსკოპით.

ჰიპერთერმიის სხვადასხვა ხარისხით ზემოქმედების შედეგად თავის ტვინის ქსოვილის დაზიანებული ზონის გეომეტრიული პარამეტრების ცვლილების სტატისტიკური სარწმუნობის შესაფასებლად ვიყენებდით სტიუდენტის t-ტესტს. $p < 0,05$ მნიშვნელობა მიჩნეულ იყო სარწმუნოდ.

შედეგები და მათი განხილვა

საკონტროლო ჯგუფის ექვსივე ვირთაგვიდან მიღებული მონაცემები მოწმობს, რომ 60 წუთის განმავლობაში 37°C-ით ზემოქმედება არც ერთ ცხოველში არ იწვევს რაიმე ჰისტოლოგიურ ცვლილებას.

იგივე ხანგრძლივობის 41°C-იანი ჰიპერთერმიის მოქმედების შემდეგ, ცხოველთა ამ ჯგუფში, ტვინის ზედაპირის ვიზუალური დათვალიერებით, საკონტროლო ჯგუფის ცხოველებთან შედარებით სხვაობა არ იქნა დადგენილი, თუმცა ანათლების ჰისტოლოგიურმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ადგილი აქვს თავის ტვინის ქსოვილის დაზიანებას და რომ ამ დაზიანების საშუალო ფართი (დაზიანებული ზონის ცენტრალურ ფრონტალურ კვეთში) შეადგენს 1,2 ± 0,15 მმ^2, ხოლო დაზიანებული ქსოვილის საშუალო მოცულობა 36,5 ± 7,4 მმ^3.

ცალკეული თრომბირებული სისხლძარღვები გვხვდება, ძირითადად, II და III შრეებში და ძალიან იშვიათად – V და VI შრეებში. ჰიპერთერმიით გამოწვეულ დაზიანებას აქვს ნახევრადწრიული ფორმა, მკვეთრად შემოხაზული ნათელი ზოლით II და IV შრეებში (სურ. 1, 41°C). ტვინის ქერქის შრეობრივი შენება რამდენადმე მნიშვნელოვნად დარღვეული არაა, ნეირონთა დეზორიენტაცია უმნიშვნელოა, უჯრედის ჰიპერპლაზია და პიკნოზი გვხვდება ქერქის მე-3 შრეში და უმეტესად პირამიდულ ნეირონებში.







სურ. 1. ვირთაგვას თავის ტვინის ქერქში სხვადასხვა ხარისხის ლოკალური ჰიპერთერმიით (41, 43 და 45°C) გამოწვეული დაზიანება. 100 მკმ სისქის ანათლები, შეღებვა აზურ-ეოზინით, გადიდება – ×40. ისრებით მითითებულია დაზიანების მკვეთრად გამოხატული ზღვარი.

43°C-იანი ჰიპერთერმული ზემოქმედების შედეგად, ტვინის ქერქის ზედაპირზე მაკროსკოპული ცვლილებები არ ჩანს. ნახევარწრის ფორმის დაზიანების საშუალო ფართი ცენტრალურ ფრონტალურ კვეთაში იყო 3,54 ± 0,8 მმ^2, ხოლო დაზიანებული ქსოვილის საშუალო მოცულობაა – 106,2 ± 11,3 მმ^3. დაზიანების ცენტრალურ ნაწილში გამოვლენილია თრომბირებული არტერიოლები და კაპილარები, რომლებიც, ძირითადად, თავის ტვინის ქერქის III შრის ზემოთ გვხდება. ერითროციტების პერივასკულური აკუმულაცია იშვიათია. დაზიანების ცენტრალურ ნაწილში თავის ტვინის ქერქის შრეობრივი სტრუქტურა დარღვეულია. III შრეში შეიმჩნევა ცალკეული პიკნოზური ნეირონი, ძნელად გასარჩევი ბირთვებით და ბირთვაკებით. ქერქის ამ შრეში ნეირონები მჭიდროდაა განაწილებული და მათი გამოვარდნა არ შეიმჩნევა. ყველაზე მეტად დაზიანებული აღმოჩნდა თავის ტვინის ქერქის IV შრე. აქ ნეირონები ჰიპერპლაზიურია და მათი განაწილების სიმჭიდროვე ძალიან დაბალია. გამოვარდნილი ნეირონების დიდი რაოდენობის გამო თავის ტვინის ქერქის IV და V შრეებს შორის ფორმირებულია ნათელი ფერის საზღვარი (სურ. 1, 43°C).

თავის ტვინის ქერქის V შრეში ნეირონები დეზორიენტირებულია; III შრის ნეირონებთან შედარებით პიკნოზი ნაკლებადაა გამოხატული.

ექსპერიმენტების ამ სერიაში თავის ტვინის ქერქის VI შრეშიც იყო ნანახი ზომიერად ჰიპერპლაზირებული ცალკეული ნეირონები.

45°C-იანი ჰიპერთერმული ჯგუფის ყველა ცხოველის თავის ტვინის ზედაპირზე, ჰიპერთერმიით ზემოქმედების არეში, აღინიშნებოდა მკვეთრი წითელი ფერი. ჰიპერთერმიით გამოწვეულ დაზიანებას ნახევრადწრიული ფორმა ჰქონდა და ცენტრალურ კვეთში მისი ფართი შეადგენდა 6,13 ± 0,21 მმ^2, ხოლო დაზიანების მოცულობა – 186,6 ± 12,4 მმ^3. დაზიანებული უბნის ცენტრალურ ნაწილში დიდი რაოდენობით გამოვლინდა თრომბირებული არტერიოლები და კაპილარები, ერთითროციტების პერივასკულარული აკუმულაციით, უმეტესად ქერქის IV შრის ზემოთ. ქერქის შრეობრივი სტრუქტურა შესამჩნევად იყო დაზიანებული (სურ. 1, 45°C).

ქსოვილის დაზიანებული ნაწილი გარშემორტყმულია კარგად გამოხატული პენამბრას ზონით. უჯრედების ტიპის იდენტიფიცირება გაძნელებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია. ნეირონების უმრავლესობა დაბერილია, თუმცა მათი გარსი და ბირთვები ჯერ კიდევ ჩანს.

თავის ტვინის ლოკალური ჰიპერთერმიის ჩვენს მიერ გამოყენებული მეთოდი მიგვაჩნია ყველაზე ადეკვატურ, საიმედო და მარტივ მეთოდად, თუმცა, ცხადია, რომ იგი საკმაოდაა დაცილებული კლინიკურ პრაქტიკაში გამოყენებულ მეთოდებს (მიკროტალღური დასხივება). როგორც ირკვევა, ლოკალური ჰიპერთერმიის გაზრდა 2°C-ით იძლევა თავის ტვინის ქსოვილის დაზიანების როგორც გეომეტრიული ზომების, ისე ჰისტოლოგიური მაჩვენებლების მატებას. ნერვული სისტემის ასეთი ფართო დაზიანების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზია ჰიპერთერმული ზემოქმედების ქვეშ მიკროთრომბების წარმოქნა და ცერებრული სისხლძარღვების ოკლუზია. ასეთი სისხლძარღვების ზონაში სისხლის მიმოქცევის შეჩერება ამცირებს სითბურ კლირენსს ჰიპერთერმიის ზემოქმედების არედან და ეს, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად აუარესებს ნერვული ქსოვილის მდგომარეობას და ამწვავებს ჰიპერთერმიის დესტრუქციულ მოქმედებას.

ლიტერატურა

1. *Kim Y., Busto R., Dietrich D., Kraydiech S., Ginsberg M.D.* Stroke, 1966, 27, 2274-2281.
2. *Matsumi N., Matsumoto K., Mishima N., Moriyama E., Furuta T., Nishimoto A., Taguchi K.* J. Neurol. Med. Chir., 1994, 34, 209-215.

МОРФОЛОГИЧЕСКИЕ ИЗМЕНЕНИЯ В ТКАНИ ГОЛОВНОГО МОЗГА КРЫС, ВЫЗВАННЫЕ ЛОКАЛЬНОЙ ГИПЕРТЕРМИЕЙ РАЗНОЙ СТЕПЕНИ

М. Небиеридзе, М. Табатадзе, М. Девдариани, Л. Гобечия, И. Квачакидзе, Л. Гумберидзе

Институт физиологии им. И.С. Бериташвили Академии наук Грузии, Тбилиси

РЕЗЮМЕ

Имеется достаточный широкий разброс данных, касательно необратимых повреждений, вызванных локальной гипертермией в центральной нервной системе. Мы попытались получить более специфические результаты относительно чувствительности церебральной ткани к гипертермическому воздействию и гистологических изменений, наступающих сразу же вслед за гипертермией..

При 41°C повреждение обнаруживается лишь на поверхности головного мозга. Только отдельные тромбированные церебральные микрососуды были обнаружены в этой группе животных. Повышение температуры на 2°C привело к весьма тяжелому повреждению головного мозга. Наиболее высокая температура, использованная нами – 45°C, в зоне гипертермии полностью разрушила послойную структуру строения коры головного мозга.

MORPHOLOGICAL CHANGES IN CEREBRAL TISSUE INDUCED WITH DIFFERENT GRADE LOCAL HYPERTHERMIA IN THE RAT

M. Nebieridze, M. Tabatadze, M. Devdariani, L. Gobechia, I. Kvachakidze, L. Gumbaridze

I. Beritashvili Institute of Physiology, Georgian Academy of Sciences

SUMMARY

Regarding the central nervous system tissue, there are some discrepancies in the published data concerned with irreversible injuries induced by local hyperthermia. We pursued for more specific data pertaining cerebral tissue sensitivity to hyperthermia treatment and its immediate effect, manifested by histological changes.

At 41°C we can observe just superficial lesions of the cerebral cortex. Only a few cases of thrombosed cerebral microvessels have been observed in this group of animals. The rise of temperature by 2°C resulted in severe lesions of cerebral tissue. The highest temperature used (45°C) caused complete destruction of the layered structure of the cortex in the area of hyperthermic exposure.

საქ. მეცნ. აკად. მაცნე, სერ. ბიოლ. A, 2005, ტ. 31, № 6. ISSN-0321-1665
Известия АН Грузии, сер. биол. A, 2005, т. 31, № 6.
Proc. Georgian Acad. Sci., Biol. Ser. A, 2005, vol. 31, No. 6.

РАК НЁБНЫХ МИНДАЛИН И ЕГО ТЕЧЕНИЕ (ПО МАТЕРИАЛАМ СТАТИСТИЧЕСКИХ ПОКАЗАТЕЛЕЙ)

Э. Сесиашвили, К. Мардалейшвили

Грузинская государственная медицинская академия, Тбилиси

Принята 2.08.2005

Методом статистического анализа исследованы отдельные показатели при раке нёбных миндалин. Материал охватывает 15-летний срок клинического анализа. Проведена статистическая обработка данных. Найденные нами показатели статистически достоверны. Параметры, описанные нами, это – ответ макроорганизма на внедрившийся в него опухолевый антиген. В работе дан целый ряд отдельных параметров. В то же время, все они взаимосвязаны друг с другом и создают единое целое, что должно дать возможность более правильно представить действие опухолевого фактора в единой системе без отрыва его от человеческого организма.

Ключевые слова: рак небных миндалин, метастазы, единый организм

Известно, что опухоли (новообразования) характеризуются безудержным ростом клеток. Нарушение роста и дифференцировки клеток обусловлены изменениями их генетического аппарата. Клетки опухоли приобретают особые свойства, которые отличают их от нормальных (обычных) клеток. Атипизм опухолевых клеток – основная характерологическая часть любой опухоли.

При классификации, опухоли делятся на 7 основных груп. Опухоль рак нёбных миндалин относится к эпителиальному типу, это – органоспецифическая бластома. По гистологическому строению она относится к плоскоклеточному (эпидермальному) раку – развивается на слизистых покровах и на плоском или переходном эпителии.

Проведенные нами исследования касаются метастазов опухоли, их распределения, рецидивов, характера течения опухолевого процесса. Данные, основанные на статистических показателях, получены при обработке историй болезни.

Как показали наши исследования, проведенные при обработке историй болезни, за последние 15 лет число рецидивов растет. При сравнении правой миндалевидной нёбной железы с левой, было отмечено, что число рецидивов, в основном, приходится на левую нёбную миндалину. Отмеченный факт связан с анатомическим строением нёбных миндалин.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Что касается лечения, то характер его связан с установлением диагноза. Диагноз как-бы определяет характер лечения в каждом конкретном случае. Наблюдения показывают, что растет число случаев, требующих паллиативного или симптоматического лечения. Одновременно снижается число случаев, требующих радикального лечения.

Весьма важным фактором является распределение пальпируемых лимфатических узлов. Как показывает классификация, лимфатические узлы могут быть представлены в виде пяти различных категорий: лимфатические узлы не пальпируются (No), лимфатические узлы пальпируются на пораженной стороне (N_1), лимфатические узлы пальпируются на противоположной по отношению к пораженной стороне (N_2), лимфатические узлы не смещены (N_3), лимфатические узлы пальпируются ниже второго шейного позвонка (N_4) (Таблица 1).

Таблица 1

Распределение лимфатических узлов

	1990	1991	1992	1993	1994	1995	1996	2001	2002	2003
N_0	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
N_1	1	-	2	5	-	2	-	-	-	-
N_2	1	10	9	1	20	5	2	8	4	4
N_3	-	-	-	4	4	-	4	2	6	4
N_4	-	-	-	-	1	-	1	2	3	6

Растет число метастазов в отдельные органы. Как показали наши исследования, метастазы по своей частоте были распределены в отдельные органы следующим образом: в твердое нёбо – 2 метастаза, в трахею – 4 метастаза, в носоглотку – 4 метастаза, в противоположную сторону от нёбных миндалин – 4 метастаза, в дно полости рта – 4 метастаза, в слизистую щеки – 5 метастазов, в альвеолярный отросток – 9 метастазов, под язык – 10 метастазов, в мягкое нёбо – 19 метастазов, в дугу нёбной миндалины – 25 метастазов. Неоднородное распределение метастазов должно быть связано с анатомическим строением ротовой полости, ее индивидуальными особенностями, продолжительностью заболевания, защитными функциями самой клетки в каждом конкретном случае, иммунной и, очевидно, нервной системой, так как за последнее время появился целый ряд работ, указывающих на единство иммунной, нервной и эндокринной систем. В этом плане особенно следует учитывать функциональные возможности вегетативной нервной системы иннервирующей, с помощью блуждающего нерва, трахею, гортань, носоглотку, мягкое и твердое нёбо, язык и т.д.

Опухолевые клетки отмечаются не только в перечисленных выше областях, но они еще и инфильтрируют собой близлежащие ткани, создавая, тем самым, дальнейший удельный прецедент основного заболевания.

На инфильтрированных раковыми клетками областях часто отмечаются изъязвления, форма рака – экзофитная.

В начале, заболевание, преимущественно, не сопровождается болями. Боли появляются в дальнейшем, что связано с прорастанием опухоли в другие близлежащие области.

Продолжительность болезни – от нескольких месяцев до десяти лет. Свежие случаи болезни отмечаются в 35% случаях, остальные же приходятся на продолжающийся процесс, доходящий, как было отмечено, до нескольких лет, т.е. больные находятся как-бы не в острой, а преимущественно, в хронической стадии заболевания.

Безусловно, важным фактором болезни является время появления метастазов. Как показывают наши наблюдения, метастазы чаще появляются после обнаружения врачом опухоли. В то же время известно, что само время появления метастазов можно разделить на четыре последующих периода: появление метастазов до обнаружения опухоли, появление метастазов вместе с обнаружением опухоли, появление метастазов после обнаружения опухоли и, четвертый – вообще отсутствие каких-либо метастазов. Как показали наши наблюдения, метастазы появляются, преимущественно, вместе с обнаружением опухолевого процесса. Однако, эта зависимость лучше всего просматривалась до 1995-1996 гг. Далее зависимость эта нарушается. За последнее время, начиная с 2001-2002 гг., появляется другая зависимость. Метастазы чаще появляются лишь после выявления опухолевого процесса или же вообще не выявляются на клиническом материале. На появление метастазов обращал большое внимание целый ряд авторов [1-4]. Метастазы возникают, как явление, связанное с проникновением опухолевых клеток в другие близлежащие или отдаленные области. Они возникают лимфагенным путем, током крови и т.д. Как покзывают наши исследования, основанные на изучении обширного клинического материала 15-летней продолжительости, появление метастазов связано с продуктивностью опухолевого процесса. Именно в изменениях опухолевого процесса надо искать ответную реакцию макроорганизма на микроорганизм.

ЛИТЕРАТУРА

1. *Пагес А.И.* Опухоли головы и шеи. Москва, 1993.
2. *Chan P.J.* Oncology, 2001, № 1, 40-46.
3. *Ferry A.P., Font R.I.* Arch. J. Otorynolaringol., 2004, 4, 278-84.
4. *Lindberg R.J.* Cancer, 1999, № 6, 144-149.

ნუშურა ჯირკვლის კიბო და მისი მემდინარეობა (სტატისტიკური მაჩვენებლების მიხედვით)

ე. სესიაშვილი, კ. მარდალეიშვილი

საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემია, თბილისი

რეზიუმე

სტატისტიკური ანალიზის მეთოდით შესწავლილია ნუშურა ჯირკვლის კიბოს ცალკეული მაჩვენებლები. მასალა მოიცავს კლინიკური ანალიზის 15-წლიან პერიოდს. ჩატარებულია მონაცემების სტატისტიკური დამუშავება. ჩვენს მიერ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნანახი მაჩვენებლები სტატისტიკურად სარწმუნოა. შრომაში აღწერილი პარამეტრები წარმოადგენს მაკროორგანიზმის პასუხს მასში შეღწეულ სიმსივნურ ანტიგენზე. ნაშრომში მოცემულია მთელი რიგი ცალკეული პარამეტრებისა. ამასთან ერთად, ისინი ურთიერდაკავშირებულია და ქმნიან ერთ მთლიანს, რაც, ალბათ, იძლევა საშუალებას უფრო სწორად შეფასდეს სიმსივნური ფაქტორის ზემოქმედება ერთიან სისტემაში, მისი ადამიანის ორგანიზმიდან მოუწყეტლად.

CANCER OF PALATE TONSILS AND ITS COURSE (ACCORDING TO STATISTICAL INDICES)

E. Sesiashvili, K. Mardaleishvili

Georgian State Medical Academy, Tbilisi

SUMMARY

Using method of statistical analysis separate indices have been studied during cancer of the palate tonsils. The material covers 15 years period of clinical analysis. Statistical evaluation of the records has been carried on. The obtained indices are statistically valid. Parameters described by us appear to be a response of macroorganism to the invaded tumor antigen. A number of separate parameters are given in the paper. At the same time all of them correlated with each other and create the whole unit, what gives the possibility to estimate action of tumoral factor in whole system without its separation from the human organism.

საქ. მეცნ. აკად. მაცნე, სერ. ბიოლ. A, 2005, ტ. 31, № 6. ISSN-0321-1665
Известия АН Грузии, сер. биол. A, 2005, т. 31, № 6.
Proc. Georgian Acad. Sci., Biol. Ser. A, 2005, vol. 31, No. 6.

ЭФФЕКТИВНОСТЬ ЦИТРУСОВОГО ЭКСТРАКТА ПРИ КОРРЕКЦИИ АЛИМЕНТАРНОГО ОЖИРЕНИЯ В ЭКСПЕРИМЕНТЕ

М. Сихарулидзе, Н. Джанашия, М. Эсаиашвили, И. Чхиквишвили

Институт медицинской биотехнологии Академии наук Грузии, Тбилиси

Принята 2.09.2005

Ожирение является одной из актуальных проблем современной медицины, что обусловлено быстрым ростом числа лиц, страдающих этим синдромом. Среди риск-факторов, обуславливающих распространение ожирения надо отметить малоподвижный образ жизни и потребление высококалорийной пищи, которые, при наличии генетической предрасположенности, способствуют увеличению веса. Многочисленные исследования свидетельствуют об эффективности растительных антиоксидантов в нормализации уровня общего холестерина, триглицеридов и липопротеинов низкой плотности (LDL) в плазме крови и коррекции избыточного веса. Целью исследования являлось установление эффективности корригирующего воздействия цитрусового экстракта на параметры липидного обмена и антиоксидантный статус организма при алиментарном ожирении в эксперименте.

В результате эксперимента выявлено корригирующее действие использованного препарата на параметры липидного обмена (уровень общего холестерина, триглицеридов и LDL в плазме крови), массу эпидидимального жира и интенсивность прибавления веса.

Ключевые слова: ожирение, эпидидимальный жир, цитрусовый экстракт, холестерин, крысы

Ожирение является одной из актуальных проблем современной медицины, что обусловлено быстрым ростом числа лиц, страдающих этим синдромом. Среди риск-факторов, обуславливающих распространение ожирения, особое внимание заслуживают малоподвижный образ жизни и потребление высококалорийной пищи, которые, при наличии генетической предрасположенности, способствуют увеличению веса.

Согласно литературным данным, в патогенезе ожирения важная роль принадлежит процессам свободнорадикального окисления [5, 6]. В связи с этим, в курс лечения ожирения все чаще включают антиоксиданты. В последнее время внимание ученых привлекают природные антиоксиданты растительного происхождения, которые с успехом применяются при коррекции уровня общего холестерина, триглицеридов и липопротеинов низкой плотности (LDL) [10, 12]. Наш интерес

ЭЛЕКТРОННАЯ БИБЛИОТЕКА

привлек цитрусовый экстракт ЦЭ. ЦЭ в большом количестве содержит аскорбиновую кислоту, каротиноиды, фолаты, флавоноиды и диетические волокна. Цитрусовые препараты эффективно используются для профилактики атеросклероза и канцерогенеза [12].

Целью исследования являлось установление эффективности корригирующего воздействия цитрусового экстракта на параметры липидного обмена и антиоксидантный статус организма при алиментарном ожирении в эксперименте.

МАТЕРИАЛЫ И МЕТОДЫ

Эксперименты проведены на половозрелых беспородных белых крысах весом 180-200 г. Контрольные животные, в течение 7 дней, питались стандартной пищей для грызунов "Purina Rodent Chow" ad libitum (I группа). С целью прибавления веса, животных II группы кормили ad libitum высококалорийной пищей (ВКП), содержащей 44% сладкого концентрированного молока, 47% пищи для грызунов "Purina Rodent Chow", 8% растительного масла и 1% растительного крахмала (диета № С 11024, Research Diets, New Brunswick, NJ) [13]. Животные III группы, в течение 3 недель, содержались на ВКП, а в течение последних 4 недель, совместно с ВКП получали раствор ЦЭ, внутримышечно, дозой 30 мг/кг. Животные всех групп имели свободный доступ к воде. В конце эксперимента животные взвешивались и забивались под эфирным наркозом. Для животных каждой группы рассчитывалась средняя масса потребляемой пищи и воды (МПП, МПВ) в день, определялась масса эпидидимального жира (МЭЖ); забиралась кровь для биохимических анализов.

Животным измеряли содержание глюкозы в крови с помощью стандартного индикатора тестом Medi.

Содержание общего холестерина, триглицеридов и LDL в крови определяли с помощью рефлектрофотометра типа Acctrend-GCT (фирма Roche).

Активность антиоксидантных ферментов определяли методом спектрофотометрии на спектрофотометре СФ-46 ЛОМО. Активность каталазы определяли в плазме крови по методу Albi, в модификации Королюка М.А.и соавторов [1].

Активность супероксиддисмутазы (СОД) определяли в эритроцитарной массе крови по методу Fried, модифицированном Е. В. Макаренко [2].

Статистический анализ полученных данных проводился с применением стандартного статистического метода, достоверная оценка разницы производилась по критерию *t* Стьюдента.

РЕЗУЛЬТАТЫ И ИХ ОБСУЖДЕНИЕ

В Таблице 1 представлены изменения веса и МЭЖ, а также ежедневно потребляемой пищи и воды у животных исследованных групп.

Как следует из данных, представленных в Таблице 1, прибавление в весе у животных, потребляющих в течении 7 недель ВКП, на 38% превышало интенсивность прибавления в весе животными, находящимися на обычном питании;

соответственно у них интенсивнее росла масса ЭЖ. При этом животные группы ВКП потребляли в день ту же массу пищи, что и животные контрольной группы, однако пили значительно больше воды (на 24%).

Таблица 1

Изменение веса и массы эпидидимального жира у животных, потребляющих ВКП

Группы животных	Увеличение веса в течение 7 недель, Δ (г)	МПП / день (г)	МПВ / день (г)	МЭЖ ($m_ж/m_{крысы}$ %) в течение 7 недель
Контроль (1)	42 ± 2,1	18,6 ± 1,5	16,7 ± 2,0	3,6 %
ВКП (2)	58 ± 3,0 $p_{1-2} < 0,01$	19,9 ± 1,6 $p_{1-2} > 0,01$	21,1 ± 2,0 $p_{1-2} < 0,01$	4,9 %
ВКП + ЦЭ (3)	35 ± 2,5 $p_{1-3} > 0,1$ $p_{2-3} < 0,01$	35,5 ± 1,9 $p_{1-3} < 0,001$ $p_{2-3} < 0,001$	18,7 ± 1,0 $p_{1-3} > 0,1$ $p_{2-3} > 0,1$	3,1 %

На фоне ЦЭ у животных, потребляющих ВКП, интенсивность прироста массы тела уменьшилась на 40%, а МЭЖ уменьшалась до значений, ниже уровня контрольных. При этом, масса потребляемой пищи в день увеличивалась на 80% по сравнению со значениями, характерными для группы ВКП, а интенсивность потребления воды уменьшалась до контрольных значений.

Уменьшение МЭЖ у животных, потребляющих ВКП совместно с ЦЭ (даже на фоне значительного увеличения количества потребляемой пищи) свидетельствует об интенсификации липолиза. В пользу этого заключения свидетельствуют так же данные о снижении ежедневного потребления воды на фоне ЦЭ, поскольку, как известно, процесс липолиза сопровождается выделением воды.

В Таблице 2 представлены данные об изменении содержания глюкозы, холестерина, триглицеридов, LDL и активности каталазы и СОД в крови экспериментальных животных. Из данных Таблицы 2 следует, что в условиях потребления ВКП уровень глюкозы статистически достоверно не менялся по сравнению с контрольными значениями, уровень общего холестерина, триглицеридов и LDL возрастал на 70%, 62% и 33%, соответственно. При этом активность каталазы увеличивается на 70%, активность СОД уменьшается на 41%, по сравнению с контрольными значениями. На фоне воздействия ЦЭ, у животных, потребляющих ВКП, уровень глюкозы оставался на уровне исходных значений, содержание общего холестерина уменьшилось на 16%, по сравнению с контрольными значениями, концентрация триглицеридов и LDL уменьшилась на 22% и 50% по сравненю со значениями, характерными для животных группы ВКП. В этой экспериментальной группе активность каталазы не меняется по сравнению со значениями, характерными для группы животных, потребляющих ВКП, а активность СОД увеличивается лишь на 29%. Следовательно, можно заключить, что ЦЭ положительно влияет на динамику изменения параметров липидного обмена и способствует частичному восстановлению активности антиоксидантных ферментов в крови.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Таблица 2

Изменение содержания глюкозы, холестерина, триглицеридов, LDL и активности каталазы и СОД в крови животных, потребляющих ВКП

Группы	Глюкоза	Cl	Tg	LDL	Каталаза	СОД
Контроль (1)	74.0 ± 8,0	106,5 ± 2,5	121,0 ± 2,8	120,0 ± 3,0	16,6 ± 2,9	140 ± 2,8
ВКП (2)	83,3 ± 5,1 $p_{1-2} > 0,1$	181,5 ± 3,5 $p_{1-2} < 0,001$	196,5 ± 4,5 $p_{1-2} < 0,001$	160 ± 5,0 $p_{1-2} < 0,001$	28,9 ± 2,5 $p_{1-2} < 0,001$	81,6 ± 3,0 $p_{1-2} < 0,001$
ВКП + ЦЭ (3)	72,8 ± 10,3 $p_{1-2} > 0,1$ $p_{2-3} > 0,1$	155,5 ± 5,0 $p_{1-3} < 0,05$ $p_{2-3} < 0,01$	152,5 ± 10.5 $p_{1-2} < 0,01$ $p_{2-3} < 0,01$	80,0 ± 5,3 $p_{1-3} < 0,01$ $p_{2-3} < 0,001$	26,8 ± 1,0 $p_{1-3} < 0,01$ $p_{2-3} > 0,1$	106,8 ± 5,1 $p_{1-3} < 0,001$ $p_{2-3} < 0,01$

Результаты наших исследований коррелируют с даными литературы, свидетельствующими о способности цитрусов регулировать липидный обмен в организме. Гиполипидемическая активность цитрусов обусловлена метаболическими свойствами входящих в его состав компонентов. Так, например, флавоноиды цитрусов обладают способностью ингибировать процессы биосинтеза и эстерификации холестерина в организме [3]. Флавоноиды усиливают фекальную экскрецию стеролов посредством ингибирования регулирующих этот процесс 3-гидрокси-3-метил-глитарил-CoA (HMGG-CoA) редуктазы и ацил CoA:холестерин О-ацилтрансферазы (ACAT) [7, 8, 9]; снижают активность микросомального фосфатидат дифогидролазы в печени, что способствует снижению уровня общего холестерина и триглицеридов в крови [4, 11]. Таким образом, гипохолестеринемический эффект цитрусовых флавоноидов обусловлен снижением активности HMG-CoA редуктазы и ACAT в печени, инактивацией триглицеридтранспортирующего микросомального протеина (MPT), усиленной экспрессией рецепторов LDL [14] и значительным уменьшением уровня мРНК ацетил CoA карбоксилазы -1. С витамин катализирует преобразование холестерина в желчную кислоту. Все эти свойства способствуют снижению уровня общего холестерина, триглицеридов и LDL, значительному уменьшению МЭЖ и уменьшению интенсивности прибавления в весе животных.

Таким образом, можно заключить, что ЦЭ оказывает значительное корригирующее воздействие на параметры липидного метаболизма и участвует в регуляции окислительного метаболизма в организме, препятствуя тем самым, накоплению жировой ткани и прибавлению веса тела.

ЛИТЕРАТУРА

1. *Королюк М.А., Иванова Л.И., Майорова И.Г., Токорев В.Е.* Лабораторное дело, 1988, 1, 16-192.
2. *Макаренко Е.В.* Лабораторное дело, 1988, 11, 48-50.
3. *Borradaile N.M., Carroll K.K., Kurowska E.M.* Lipids, 1999, 34, 591-598.
4. *Choi G.S., Lee S., Jeong T.S., Lee M.K., Lee J.S., Jung U.J., Kim H.J., Park Y.B., Book S.H., Choi M.S.* Bioorg. Med. Chem., 2004, 12, 3599-3605.
5. Furukawa S., Fujita T., Shimabukuro M., Iwaki M., Yamada Y., Nakajima Y., Nakayama O., Makishima M., Matsuda M., Shimomura I. J. Clin. Invest., 2004, 114, 1752-1761.

6. *Homma Y., Kondo Y., Kaneko M., Kitamura T., Nyou W.T., Yanagisawa M., Yamamoto Y., Kakizoe T.* Carcinogenesis, 2004, 15, 345-378.
7. *Kim H.J., Oh G.T., Park Y.B., Lee M.K., Seo H.J., Choi M.S.* Life Sci., 2004, 74, 1621-1634.
8. *Lee M.K., Moon S.S., Lee S.E., Bok S.H., Jeong T.S., Park Y.B., Choi M.S.* Bioorg Med. Chem., 2003, 11, 393-398.
9. *Lee S.H., Park Y.B., Bae K.H., Bok S.H., Kwon Y.K., Lee E.S., Choi M.S.* Ann. Nutr. Metab., 1999, 43, 173-180.
10. *Mandel S., Weinreb O., Amit T., Youdim M.B.H.* J. Neurochemistry, 2004, 88, 1555-1569.
11. *Park Y.B., Do K.M., Book S.H., Lee M.K., Jeong T.S., Choi M.S.* Int. J. Vitam. Nutr. Res., 2001, 71, 36-44.
12. *Silalahi J.* Asia Pacific J. Clin Nutr., 2002, 11, 79-84.
13. *West D.B., Boozer C.N., Moody D.L., Atkison R.L.* Am.J.Physiol., 1992, 262, R1025-R1032.
14. *Wilcox L.J., Borradaile N.M., de Dreu L.E., Huff M.W.* J. Lipid Res., 2001, 42, 725-734.

ციტრუსების ექსტრაქტის გამოყენება ალიმენტარული სიმსუქნის დროს ექსპერიმენტში

მ. სიხარულიძე, ნ. ჯანაშია, მ. ესაიაშვილი, ი. ჩხეკვიშვილი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი

რეზიუმე

სიმსუქნე თანამედროვე მედიცინის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს, რაც განპირობებულია ამ სინდრომით დაავადებულთა რაოდენობის სწრაფი ზრდით. სიმსუქნის მზარდი გავრცელების რისკ-ფაქტორთა შორის აღსანიშნავია დაბალი ფიზიკური აქტივობა და მაღალკალორიული საკვების მოხმარება, რაც გენეტიკური წინასწარგანწყობის პირობებში, ხელს უწყობს სხეულის წონის სწრაფ მომატებას.

მრავალი კვლევა მოწმობს ბუნებრივი ანტიოქსიდანტების ეფექტურობას სისხლის პლაზმაში საერთო ქოლესტერინის, ტრიგლიცერიდების, დაბალი სიმკრივის ლიპოპროტეინების (LDL) და ჭარბი წონის კორექციის დროს. ჩვენი კვლევის მიზანს შეადგენდა ციტრუსების ექსტრაქტის მაკორეგირებელი მოქმედების ეფექტურობის დადგენა ლიპიდური ცვლის პარამეტრებზე და ორგანიზმის ანტიოქსიდანტურ სტატუსზე ალიმენტარული სიმსუქნის დროს ექსპერიმენტში.

კვლევების შედეგად დადგინდა გამოყენებული პრეპარატის მაკორეგირებელი მოქმედება ლიპიდური ცვლის პარამეტრებზე (საერთო ქოლესტერინის, ტრიგლიცერიდების და LDL-ის დონე სისხლის პლაზმაში), ეპიდიდიმური ცხიმის მასაზე და წონის მატების ინტენსივობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

EFFECTIVENESS OF CITRUS EXTRACT IN CORRECTION OF EXPERIMENTAL ALIMENTARY OBESITY

M. Sikharulidze, N. Djanashia, M. Esaiashvili, I. Chhikvishvili

Institute of Medical Biotechnology, Georgian Academy of Sciences, Tbilisi

SUMMARY

Obesity is one of the most important medical problems because of rapid increase of the patients with this syndrome. The immobile life-style and consumption of high-calorie food are the most potent risk factors of obesity, which in case of genetic predisposition contributes to increased body weight. Numerous researches showed natural antioxidants to be effective in correction of elevated blood cholesterol, triglycerides, and LDL levels. The purpose of our study was establishing effectiveness of citrus extracts in correction of lipid metabolism disorder, antioxidant status and excess body weight during experimental alimentary obesity. The experiment verified corrective effect of citrus extracts on the parameters of lipid metabolism – blood cholesterol, triglyceride, and LDL levels, epididymal fat mass and antioxidant enzymes activity.

საქ. მეცნ. აკად. მაცნე, სერ. ბიოლ. A, 2005, ტ. 31, № 6. ISSN-0321-1665
Известия АН Грузии, сер. биол. A, 2005, т. 31, № 6.
Proc. Georgian Acad. Sci., Biol. Ser. A, 2005, vol. 31, No. 6.

პარკუჭთა რეპოლარიზაციის დისპერსიის შეფასება პირებში ფიზიკური წვრთნით და პათოლოგიური პროცესით ინდუცირებული მარცხენა პარკუჭის ჰიპერტროფიით

თ. ქაშმარეია, ზ. ფალავა, გ. მამალაძე, მ. ლორია, ი. მაისურაძე, ს. წიქარიშვილი, ი. მდივანი

მ. წინამდღვრიშვილის სახელობის კარდიოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი;
შპს "კარდიოექსპერსდიაგნოსტიკა", თბილისი

მიღებულია 1.08.2005

მარცხენა პარკუჭის (მპ) ჰიპერტროფია (მპჰ) კარდიოვასკულური ავადობის და სიკვდილიანობის მძლავრი პრედიქტორია. გულის გაზრდილი მასა და შეცვლილი გეომეტრია ხელსაყრელ პირობებს ქმნის პოსტდეპოლარიზაციის და re-entry რეპოლარიზაციისათვის. მეორე მხრივ, მპჰ-ს მქონე სპორტსმენებში უეცარი სიკვდილის შემთხვევები მეტად იშვიათია და თითქმის ყოველთვის დაკავშირებულია თანდართულ გულის ფარულ ან აშკარა პათოლოგიასთან. 12-განხრიან ელექტროკარდიოგრამაზე QT ინტერვალის გაფართოება და მისი დეპრესიის (QTd) გაზრდა წარმოდგენას იძლევა პარკუჭთა რეპოლარიზაციის რეგიონულ ვარიაბელობაზე.

კვლევის მიზანს შეადგენდა QT ინტერვალის და მისი დისპერსიის შეფასება სპორტსმენებში და პაციენტებში მპ პათოლოგიური ჰიპერტროფიით. გამოყოფილია სამი ჯგუფი: I. ფეხბურთელები (n = 25) 25 ± 3 წლის; II. პაციენტები რბილი და ზომიერი არტერიული ჰიპერტონიით (n = 20) 33 ± 4,2 წლის; III. ჯანმრთელები (n = 10) 30 ± 3,8 წლის. QTd იანგარიშებოდა, როგორც სხვაობა სამ გასაშუალებულ მაქსიმალურ და მინიმალურ QT ინტერვალის მნიშვნელობებს შორის. QTd I ჯგუფში არ განსხვავდებოდა კონტროლისაგან. II ჯგუფში QTd სარწმუნოდ მეტი იყო I და III ჯგუფებთან შედარებით. II ჯგუფში ნანახი იყო კორელაცია მპჰ გამოხატულებასა და QTd გაზრდას შორის და გულის დიასტოლურ დისფუნქციასა და QTd გახანგრძლივებას შორის.

ამგვარად, ფიზიოლოგიური მპჰ-ს შემთხვევებში ადგილი არა აქვს რეპოლარიზაციის დისპერსიის მნიშვნელოვან დარღვევებს, განსხვავებით მპჰ-გან, რომელიც პირობადებულია პათოლოგიური პროცესით.

საკვანძო სიტყვები: მარცხენა პარკუჭის ჰიპერტროფია, პარკუჭთა რეპოლარიზაციის დისპერსია, სპორტსმენები, ჰიპერტონიით დაავადებულები

მარცხენა პარკუჭის (მპ) ჰიპერტროფია (მპჰ) კარდიოვასკულური ავადობის და სიკვდილიანობის პრედიქტორია მაშინაც კი, როდესაც მხედ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველობაში მიღებულია სხვა მნიშვნელოვანი რისკის ფაქტორები (არტერიული წნევა, თამბაქოს მოხმარება, დიაბეტი, სიმსუქნე, ლიპიდების პროფილი) [6]. გარდა ამისა, დადგენილია, რომ QT ინტერვალის გახანგრძლივება სტანდარტულ ეკგ-ზე ასოცირებულია უეცარი სიკვდილის მაღალ სიხშირესთან როგორც სხვადასხვა პათოლოგიური მდგომარეობების დროს [1], ასევე პრაქტიკულად ჯანმრთელ პირებში [7]. როგორც ლიტერატურიდან ჩანს, კიდევ უფრო მეტად ინფორმაციულია QT ინტერვალის დისპერსიის დადგენა, რადგან ის გულის რეგიონული რეპოლარიზაციის ვარიაბელობაზე იძლევა წარმოდგენას, რაც re-entry-ის მექანიზმით [4], შესაძლებელია, არითმიის ხელშემწყობი ფაქტორი გახდეს.

ჩვენი კვლევის მიზანს შეადგენდა პარკუჭთა რეპოლარიზაციის დისპერსიის შეფასება პირებში, რომელთაც აღენიშნებათ ფიზიკური ტრენირებით პირობადებული მკჰ (სპორტსმენები) და პაციენტებში, რომლებშიაც მკჰ დაკავშირებულია პათოლოგიურ პროცესთან.

მასალა და მეთოდები

დაკვირვება წარმოებდა 25 სპორტსმენზე (ფეხბურთელები), რომელთა საშუალო ასაკი იყო 25 ± 3 წელი, სხეულის ფართი – 1,88 ± 0,2 მ², და რომელთა მკ-ს სისქე არ აღემატებოდა 13 მმ-ს და 20 პაციენტზე რბილი და ზომიერი არტერიული ჰიპერტენზიით, რომლებიც თავს პრაქტიკულად ჯანმრთელად თვლიდნენ. მათი საშუალო ასაკი იყო 33 ± 4,2 წელი, სხეულის ფართი – 1,92 ± 0,1 მ² ($p > 0,05$), და რომელთაც ექოსკოპიური გამოკვლევით დაუდგინდათ მკჰ, და 30 ± 3,8 წლის ჯანმრთელებზე, სხეულის ფართით 1,9 ± 0,09 მ². პარკუჭის ძგიდის და კედლის სისქე დგინდებოდა ერთ- და ორგანზომილებიანი მდგომარეობით, მოკლე და გრძელი ღერძის მიმართულებით. სეპტალური და უკანა კედლის სისქის სუსტად გამოხატული გასქელებად ითვლებოდა > 11 მმ და გამოხატულ პათოლოგიად – > 13 მმ, მარცხენა პარკუჭის ჰიპერტროფიად – თუ მიოკარდიუმის მასა > 125 გ/მ² –ს შეადგენდა. კედლის შეფარდებითი სისქე გამოგვყავდა დიასტოლაში პარკუჭთაშუა ძგიდის და უკანა კედლის სისქის ჯამის გაყოფით ღრუს დიამეტრზე დიასტოლაში და ითვლებოდა, როგორც მაღალი > 0,42 (კონცენტრული რემოდელირება) და როგორც დაბალი < 0,32 (ექსცენტრული რემოდელირება) [3, 5]. პულსურტალღიანი დოპლეროგრაფიით დგინდებოდა შემდეგი პარამეტრები: მკ ადრეული პიკური დიასტოლური სისწრაფე (E), პიკური გვიანი დიასტოლური სისწრაფე (A), მათი შეფარდება (E/A), ადრეული პიკური დიასტოლური სისწრაფის შენელების დრო (DTE), იზოვოლემიური რელაქსაციის დრო (IVRT).

პარკუჭთა რეპოლარიზაციის დისპერსია (QT ინტერვალის დისპერსია – QTd) დგინდებოდა სტანდარტულ 12 ეკგ განხრაში ან, სულ ცოტა, 6 განხრაში, ქაღალდის მოძრაობის სისწრაფე – 50 მმ/წ. თუ გამოხატული იყო U კბილი, მაშინ QT ინტერვალი იზომებოდა მრუდის ნაპირამდე T და U კბილებს შორის. QT ინტერვალის კორექცია ხდებოდა ბაზეტის ფორმულით $QTc = QT/RR^{1/2}$ [2].

შედეგები და მათი განხილვა

ძირითადი დოპლერო-ექოკარდიოგრაფიული პარამეტრები სპორტსმენებში (I ჯგუფი), ავადმყოფებში (II ჯგუფი) და ჯანმრთელებში (III ჯგუფი) მოყვანილია ცხრილ 1-ში.

ცხრილი 1

დოპლერო-ექოკარდიოგრაფიული პარამეტრების განსხვავებები სპორტსმენებში, ავადმყოფებსა და ჯანმრთელებში

მაჩვენებელი	I ჯგუფი	II ჯგუფი	III ჯგუფი
პარკუჭთაშუა ძგიდე დიასტოლაში, მმ	11,6 ± 0,2[a, b]	10,1 ± 0,2[a]	9,3 ± 0,3
უკანა კედელი დიასტოლაში, მმ	11,3 ± 0,2[a, b]	8,9 ± 0,2[a]	8,8 ± 0,3
განდევნის ფრაქცია, %	60,0 ± 0,5[a, b]	50,0 ± 0,4	54 ± 0,8
დამოკლების ფრაქცია, %	39,1 ± 0,4[a, b]	32,0 ± 0,5	33,3 ± 1,1
მპ მასა, გ/მ	165,0 ± 5,3[a, b]	154,0 ± 4,2[a]	110,0 ± 5,1
E/A	2,0 ± 0,05[b]	1,1 ± 0,07[a]	1,9 ± 1,0
IVRT, მს	99,0 ± 2,7[b]	115 ± 3,5[a]	101,0 ± 3,3
DTE, მს	169,0 ± 3,8[b]	213 ± 4,9[a]	175,0 ± 7,2

a – $p < 0,05$ III ჯგუფთან შედარებით; b – $p < 0,05$ II ჯგუფთან შედარებით

I და II ჯგუფებში მპ მასა და კედლის სისქე სარწმუნოდ მეტია III ჯგუფთან შედარებით. I ჯგუფში კედლის სისქესა და მპ მასის გაზრდასთან ერთად, გაზრდილია განდევნის ფრაქცია, დამოკლების ფრაქცია, E/A და შემცირებულია IVRT და DTE.

QT ინტერვალის დისპერსია სპორტსმენებში (I ჯგუფი), პაციენტებში (II ჯგუფი) და ჯანმრთელებში (III ჯგუფი) ნაჩვენებია ცხრილ 2-ში.

ცხრილი 2

QT ინტერვალის დისპერსიის მაჩვენებლები სპორტსმენებში, პაციენტებსა და ჯანმრთელებში (მს)

ჯგუფები	QTmax	QTmin	QTd
I	393 ± 15	372 ± 14	52 ± 8,8
II	454 ± 21*	385 ± 16	99 ± 7,1*
III	386 ± 19	369 ± 15	49 ± 9,5

* – $p < 0,05$

მიუხედავად იმისა, რომ ორივე ჯგუფში აღინიშნებოდა მპჰ, როგორც მაქსიმალური QT, ასევე QTd სარწმუნოდ უფრო მაღალი იყო პაციენტებში, ხოლო I და III ჯგუფებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობა არ აღინიშნებოდა. ამგვარად, ორივე, I და II ჯგუფებში, გამოკვლეულ პირებს აქვთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მპ კედლის სისქის და მპ მასის მომატებული მაჩვენებლები ჯანმრთელებთან შედარებით. მიუხედავად ამისა, ამ ჯგუფებს შორის ადგილი აქვს განსხვავებას QTd მაჩვენებლებში.

ცხრილ 3-ში, QT ინტერვალის პარამეტრები დალაგებულია მპ კედლის სისქის და მპ მასის მიხედვით სპორტსმენებში და პაციენტებში.

ცხრილი 3

QT ინტერვალის და მისი დისპერსიის დამოკიდებულება მპ კედლის სისქეზე და მპ მასაზე სპორტსმენებში (მს)

QT	მპ კედლის სისქე, მმ		მპ მასა, გ/მ²	
	11-12	12-13	125-140	> 140
მაქსიმალური	398 ± 5	405 ± 6,3	399 ± 5,8	402 ± 5,3
მინიმალური	375 ± 7,1	388 ± 6,6	387 ± 6,3	390 ± 4,9
QTd	54,5 ± 5,7	59,3 ± 4,4	53,2 ± 4,4	58,3 ± 5,1

* – $p < 0,05$

მპ ჰიპერტროფიის გამოხატულების მიხედვით, განსხვავება QT ინტერვალის და მისი დისპერსიის მაჩვენებლებში არ აღინიშნება.

ცხრილი 4

QT ინტერვალის და მისი დისპერსიის დამოკიდებულება მპ სისქეზე და მპ მასაზე პაციენტებში მპ პათოლოგიური ჰიპერტროფიით (მს)

QT	მპ კედლის სისქე, მმ		მპ მასა, გ/მ²	
	11-12	> 12	125-150	> 150
მაქსიმალური	416 ± 7,1*	442 ± 5,2	421 ± 4,3	458 ± 6,2
მინიმალური	382 ± 7,3	379 ± 9,1	381 ± 11	377 ± 6,3
QTd	75 ± 3,4*	92 ± 6,5	81 ± 3,5*	96 ± 4,1

* – $p < 0,05$

განსხვავებით სპორტსმენებისაგან, ავადმყოფებში აღინიშნება კავშირი ჰიპერტროფიის გამოხატულებასა და პარკუჭთა რეპოლარიზაციის მნიშვნელობებს შორის.

მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ თუმცა ორივე ჯგუფში გამოკვლეულ პირებს აღენიშნებოდათ მპ ჰიპერტროფია და ეს ჰიპერტროფია უფრო გამოხატული იყო სპორტსმენებში, პაციენტებს აღენიშნებოდათ რეპოლარიზაციის პროცესების ჰომოგენობის უფრო გამოხატული დარღვევა. ზემოთ მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ პათოლოგიური ჰიპერტროფიის შემთხვევებში, სპორტსმენებისაგან განსხვავებით, ადგილი აქვს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულის დიასტოლურ დისფუნქციას. ქვემოთ ნაჩვენებია პარკუჭთა რეპოლარიზაციის დისპერსიის ცვლილება პაციენტებში, გულის დისფუნქციის გამოხატულების მიხედვით (ცხრილი 5).

ცხრილი 5

პაციენტებში გულის დიასტოლური ფუნქციის დარღვევასთან დაკავშირებული QT ინტერვალი და მისი დისპერსია (მს)

ჯგუფები	QT ინტერვალი		QTd
	მაქსიმალური	მინიმალური	
I>	405 ± 4,8*	372 ± 5,6	79 ± 3,9*
II>	436 ± 5,9	381 ± 8,8	93 ± 4,1

* – $p < 0,05$

მონაცემებიდან ჩანს, რომ აღინიშნება კავშირი რეპოლარიზაციის დისპერსიის დარღვევასა და მიოკარდიუმის დისფუნქციის გამოხატულებას შორის.

ზემოთ უკვე იყო ნაჩვენები, რომ პაციენტებში არსებობს კავშირი მპჰ გამოხატულებასა და QT ინტერვალის და მის დისპერსიას შორის. ასეთივე დამოკიდებულებაა გულის დისფუნქციის გამოხატულებასთან დაკავშირებით. როგორც ჩანს, პათოლოგიის შემთხვევაში, ჰიპერტროფიის ხარისხი დაკავშირებულია პათოლოგიური პროცესის სიმძიმესთან.

სპორტსმენებში მპჰ ადაპტაციური პროცესია, რომელიც ვითარდება გაზრდილი დატვირთვის საპასუხოდ და მასთან ერთად იზრდება. შესაბამისად, მიოკარდიუმის კუმშვადობა, როგორც ეს ცხრილი 1-დან ჩანს, გამოიხატება იმაში, რომ კედლის სისქის და მასის მატებასთან ერთად, გაიზარდა განდევნის ფრაქცია, დამოკლების ფრაქცია, E/A, შემცირდა IVRT და DTE. II ჯგუფში მპ კედლის სისქის და მპ მასის გაზრდა არ არის დაკავშირებული სისტოლური და დიასტოლური ფუნქციის გაუმჯობესებასთან. პირიქით, ადგილი აქვს E/A დაქვეითებას და IVRT და DTE მომატებას.

ამგვარად, სპორტსმენთა და პათოლოგიური პროცესით განვითარებული მპჰ დიფერენცირებულად შეფასებისას მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს როგორც მპ სისტოლო-დიასტოლური ფუნქციის თავისებურებებს, ისე პარკუჭთა რეპოლარიზაციის დისპერსიის სიდიდეს. პათოლოგიური ჰიპერტროფია ასოცირებულია მპ სისტოლო-დიასტოლურ დისფუნქციასთან და პარკუჭთა რეპოლარიზაციის დისპერსიის ზრდასთან, ფიზიკური წვრთნით ინდუცირებული მპჰ-გან განსხვავებით.

ლიტერატურა

1. *Day C.P., Kames O.F.W., Butler T.J., Campbell R.F.* Lancet, 1993, 141, 1423-1428.
2. *Fu G.S., Meissner A., Somon R.* Eur. Heart J., 1997, 18, 281-289.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. *Gosse P., Jullien V., Jarnier P., Lametayer P., Clemeudi J.* J. Hum. Hypert., 1999, 13, 505-509.
4. *Higham P.D., Hilton C.Y., Aitcheson D.A., Furniss S.S., Bourue I.P., Campbell R.W.F.* Circulation, 1993, 86 (suppl.), 1, 392.
5. *Labalgoitia M., Rahman N.U., Haley W.G. et al.* Am. J. Cardiol., 1998, 81, 412-417.
6. *Levy D., Garrison R.L., Savaye D.D. et al.* New Engl. J. Med., 1990, 322, 1561-1566.
7. *Shouton E.G., Dekker J.M., Meppelink P., Kok F.J., Vandenbrouke J.R., Pool J.* Circulation, 1991, 84, 1516-1523.

ОЦЕНКА ДИСПЕРСИИ РЕПОЛЯРИЗАЦИИ ЖЕЛУДОЧКОВ У ЛИЦ С ГИПЕРТРОФИЕЙ ЖЕЛУДОЧКА, ВЫЗВАННОЙ ФИЗИЧЕСКОЙ ТРЕНИРОВКОЙ И ПАТОЛОГИЧЕСКИМ ПРОЦЕССОМ

Т. Кишмареия, З. Пагава, Г. Мамаладзе, М. Лория, И. Маисурадзе, С. Цикаришвили, И. Мдивани

Институт кардиологии им. М. Цинамдзгвришвили, Тбилиси; О.О.О. “Кардиоэкспресс-диагностика”, Тбилиси

РЕЗЮМЕ

Гипертрофия левого желудочка (ГЛЖ) является мощным предиктором кардиоваскулярных болезней и смертности. Увеличенная масса сердца и измененная геометрия создают хорошие условия для постдеполяризации и re-entry реполяризации. С другой стороны, у спортсменов с ГЛЖ случаи внезапной смерти весьма редки и почти всегда связаны с сопутствующими скрытыми или явными патологиями. Удлинение интервала QT и возрастание дисперсии (QTd) на ЭКГ дают представление о региональной вариабельности реполяризации желудочков.

Цель исследования – оценка QT интервала и дисперсии у спортсменов и пациентов с патологической гипертрофией левого желудочка. Выделено три группы: I – футболисты (n = 25, 25 ± 3 лет), II – пациенты с легкой и умеренной артериальной гипертонией (n = 20, 33 ± 4,2 года) и III – здоровые (n = 10, 30 ± 3,8 лет). QTd вычисляли, как разницу между усредненными максимальными и минимальными значениями QT интервала. QTd в I группе не отличалась от контрольной группы. Во II группе QTd была значительно больше по сравнению с I и II группами, во II группе была выявлена корреляция между зафиксированной ГЛЖ и увеличением QTd между диастолической дисфункцией сердца и удлинением QTd.

Таким образом, в случае физиологической ГЛЖ значительное нарушение реполяризации дисперсии не имеет места, в отличие от ГЛЖ, которая обусловлена патологическим процессом.

QT INTERVAL AND ITS DISPERSION IN 12-LEAD ECG IN ATHLETES AND PATIENTS WITH LEFT VENTRICULAR HYPERTROPHY INDUCED BY PATHOLOGICAL PROCESS

T. Kishmareia, Z. Paghava, G. Mamaladze, M. Loria, I. Maisuradze, S. Tsikarishvili, I. Mdivani

M. Tsinamdzgvrishvili Institute of Cardiology, Tbilisi; Cardioexspressdiagnostica, Ltd., Tbilisi

SUMMARY

Left ventricular hypertrophy (LVH) is a strong predictor of cardiovascular morbidity and mortality including sudden death (SD). On the other hand SD is extremely rare in athletes with LVH. Prolongation of QT interval in the ECG and its inter-lead variation (QTd) is considered as an indicator of arrhythmogeneicity.

The goal of the investigation was to assess QTd in athletes with physiological LVH and patients with pathological LVH (mild to moderate arterial hypertension). Three groups were investigated: I – athletes (soccer players, n = 25, aged 25 ± 3.0); II – hypertensive patients (n = 20, aged 33 ± 4,2); III – healthy controls (n = 10, aged 30 ± 3.8). All subjects were subjected to 12-lead ECG and Doppler-echocardiographic investigation. There was no difference in QTd between athletes and controls, whereas it was significantly greater in patients than in athletes and controls. In patients a correlation was found between pronouncement of LVH and increase in QTd, as well as between diastolic dysfunction and QTd.

Thus, physiological LVH is not associated with increased QT dispersion, in contrast to pathological LVH.

საქ. მეცნ. აკად. მაცნე, სერ. ბიოლ. A, 2005, ტ. 31, № 6. ISSN-0321-1665
Известия АН Грузии, сер. биол. A, 2005, т. 31, № 6.
Proc. Georgian Acad. Sci., Biol. Ser. A, 2005, vol. 31, No. 6.

МОЛЕКУЛЯРНОЕ ТИПИРОВАНИЕ ШТАММОВ MYCOBACTERIUM TUBERCULOSIS, ВЫДЕЛЕННЫХ В ГРУЗИИ

Н. Шубладзе

Национальный центр туберкулеза и легочных заболеваний, Тбилиси

Принята 1.08.2005

I ჯგუფის (დაკვირვება) ავადმყოფთა მკურნალობის კომპლექსში, სათანადო კიურეტაჟის შემდეგ, ადგილობრივად ვიყენებდით პრეპარატ უნიმაგს, ხოლო II ჯგუფში (კონტროლი) კი – 2% დიმექსიდს.

სამკურნალო მანიპულაციებს ვატარებდით ყოველ დღე, დღეში ერთხელ.

როგორც კატარული, ისე წყლულოვანი გინგივიტის ზოგადი მკურნალობა მიმართული იყო არა მარტო პაროდონტის ქსოვილში ანთებითი პროცესის ლიკვიდაციისაკენ, არამედ ორგანიზმის საერთო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მისი დამცველი ძალების გასაძლიერებლად.

კლინიკური მაჩვენებლების ობიექტური შეფასებისთვის ვიყენებდით ჰიგიენურ (Н.А.Федоров, В.В.Володкина, 1964) და გინგივიტის ინდექსს [9]. სისხლდენის ხარისხი განისაზღვრებოდა Kötschke-ს მეთოდით [9].

პირის ღრუში ლეიკოციტების მიგრაციის და ლორწოვანი გარსის ეპითელიური უჯრედების დესქვამაციის ხარისხის შესასწავლად ვატარებდით პირის ღრუს სანაციის შედეგად მიღებული სუსპენზიის ციტოლოგიურ გამოკვლევებს მ.იასინოვსკის მეთოდით [6].

მიღებული შედეგების სტატისტიკურ დამუშავებას ვახდენდით კომპიუტერული პროგრამის საშუალებით (SPSS 12.0 for Windows).

შედეგები და მათი განხილვა

პაროდონტის ქსოვილთა ანთებითი დაავადებების უნიმაგით მკურნალობის ფონზე პირის ღრუში ლეიკოციტების მიგრაციის გამოკვლევებით მიღებული მონაცემები პათოლოგიური პროცესის სწრაფ კუპირებასა და რეპარაციული პროცესების გააქტიურებაზე მიანიშნებს (სურ. 1, 2).

გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ კატარული გინგივიტით დაავადებულ ავადმყოფებში პირის ღრუში, მკურნალობის დაწყებამდე, უჯრედთა მიგრაციის მაჩვენებელი ნაკლებად იყო მომატებული წყლულოვანი გინგივიტით დაავადებულ ავადმყოფებთან შედარებით.

დაკვირვების ჯგუფის კატარული გინგივიტით დაავადებულთა აღნიშნული მაჩვენებელი მკურნალობის დაწყებიდან უკვე მე-5 მე-6 დღეს უბრუნ-

დებოდა ნორმალურ დონეს ($p > 0,05$), წყლულოვანი გინგივიტით დაავადებული შესაბამისი ჯგუფის ავადმყოფებისგან განსხვავებით ($p < 0,05$), რომელთა შემთხვევაში პირის ღრუში ლეიკოციტთა მიგრაციის მაჩვენებელი მკურნალობის დაწყებიდან მე-10 მე-11 დღისთვისაც, მიუხედავად კლების გამოხატული ტენდენციისა, სარწმუნოდ ჭარბობდა ინტაქტური პაროდონტის მქონე პირების ანალოგიურ მონაცემებს ($p < 0,05$).



$P < 0,05$; $P_1 < 0,05$ $P_2 < 0,05$; $P_3 < 0,05$ — $P > 0,05$; $P_1 < 0,05$ $P_2 > 0,05$; $P_3 < 0,05$ — $P > 0,05$; $P_1 < 0,05$ $P_2 > 0,05$; $P_3 < 0,05$

სურ. 1 პირის ღრუში უჯრედთა მიგრაციის მაჩვენებლების დინამიკა კატარული გინგივიტის უნიმაგით მკურნალობის ფონზე. P – დაკვირვების ჯგუფის ავადმყოფთა პირის ღრუში მიგრირებულ უჯრედთა საერთო რაოდენობა, შედარებით ნორმალურ დონესთან; P_1 – საკონტროლო ჯგუფის ავადმყოფთა პირის ღრუში მიგრირებულ უჯრედთა საერთო რაოდენობა, შედარებით ნორმალურ დონესთან; P_2 – დაკვირვების ჯგუფის ავადმყოფთა პირის ღრუში მიგრირებულ ცოცხალ ლეიკოციტთა მონაცემები, შედარებით ნორმალურ დონესთან; P_3 – საკონტროლო ჯგუფის ავადმყოფთა პირის ღრუში მიგრირებულ ცოცხალ ლეიკოციტთა მონაცემები, შედარებით ნორმალურ დონესთან.

კატარული და წყლულოვანი გინგივიტით დაავადებულ ავადმყოფებში, ტრადიციული სქემით მკურნალობის პროცესში, პირის ღრუში გამოხატული იყო ლეიკოციტთა მიგრაციის მაჩვენებლების კლების ტენდენცია, თუმცა არც მე-5 მე-6 და არც მე-10 მე-11 დღისთვის არ უტოლდებოდა ინტაქტური პაროდონტის მქონე პრაქტიკულად ჯანმრთელი პირების ანალოგიურ მონაცემებს (ორივე ნოზოლოგიის შემთხვევაში $P_1 < 0,05$).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ როგორც კატარული, ასევე წყლულოვანი გინგივიტით დაავადებულ უნიმაგით ნამკურნალევ ავადმყოფთა პირის ღრუში მიგრირებულ უჯრედთა საერთო რაოდენობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლების ფონზე, საგრძნობლად მოიმატა ცოცხალ ლეიკოციტთა პროცენტულმა მაჩვენებელმა. კატარული გინგივიტით დაავადებულ ავადმყოფებში პირის ღრუში ცოცხალ ლეიკოციტთა რაოდენობა გაუტოლდა ნორმალურ დონეს, მკურნალობის დაწყებიდან უკვე მე-5 მე-6 დღისთვის ($P_2 > 0,05$), ხოლო წყლულოვანი გინგივიტის შემთხვევაში კი (მიუხედავად ამ პერიოდისათვის პირის ღრუში მიგრირებულ უჯრედთა ნორმასთან შედარებით მაღალი მაჩვენებლებისა) – მე-10 მე-11 დღისთვის ($P_2 > 0,05$).



სურ. 2. პირის ღრუში უჯრედთა მიგრაციის მაჩვენებლების დინამიკა წყლულოვანი გინგივიტის უნიმაგით მკურნალობის ფონზე. აღნიშნები იგივეა, რაც სურ. 1-ზე.

როგორც კატარული, ასევე წყლულოვანი გინგივიტით დაავადებული ავადმყოფების ტრადიციული სქემით მკურნალობის ფონზე, პირის ღრუში მიგრირებულ ცოცხალ ლეიკოციტთა რაოდენობა ზომიერად მატულობდა, მაგრამ არც მე-5 მე-6 და არც მე-10 მე–11 დღისთვის არ უტოლდებოდა ინტაქტური პაროდონტის მქონე პრაქტიკულად ჯანმრთელი პირების ანალოგიურ მონაცემებს (ორივე ნოზოლოგიის შემთხვევაში, $P_3 < 0,05$).

პაროდონტის ქსოვილის ანთებითი პროცესების უნიმაგით მკურნალობის ფონზე, პირის ღრუში ლეიკოციტთა მიგრაციის რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებელთა გაუმჯობესების პარალელურად, ყურადღებას იპყრობდა ლორწოვანი გარსის ეპითელური უჯრედების დესქვამაციის ხარისხის დადებითი დინამიკა საკონტროლო მაჩვენებლებთან შედარებით (სურ. 3).

გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ უნიმაგით მკურნალობის ფონზე, კატარული გინგივიტით დაავადებული ავადმყოფების პირის ღრუში ეპითელურ უჯრედთა დესქვამაციის მაჩვენებელი მკურნალობის დაწყებიდან უკვე მე-5 მე-

6 დღისთვის უბრუნდებოდა ნორმალურ დონეს (P > 0,05). წყლულოვანი გინგივიტის შემთხვევაში კი აღნიშნული მაჩვენებლის ნორმალიზება ხდებოდა მხოლოდ მე-10 მე-11 დღისთვის (P_2 > 0,05).



P <0,05; P_1 <0,05 P_2 <0,05; P_3 <0,05 | P >0,05; P_1 <0,05 P_2 <0,05; P_3 <0,05 | P >0,05; P_1 >0,05 P_2 >0,05; P_3 <0,05

სურ. 3. პირის ღრუში ეპითელურ უჯრედთა დესქვამაციის მაჩვენებლების დინამიკა პაროდონტის ანთებით დაავადებათა უნიმაგით მკურნალობის ფონზე. P – კატარული გინგივიტით დაავადებულ დაკვირვების ჯგუფის ავადმყოფთა პირის ღრუში ეპითელურ უჯრედთა დესქვამაციის მაჩვენებლები, შედარებით ნორმალურ დონესთან; P_1 – კატარული გინგივიტით დაავადებულ საკონტროლო ავადმყოფთა პირის ღრუში ეპითელურ უჯრედთა დესქვამაციის მაჩვენებლები, შედარებით ნორმალურ დონესთან; P_2 – წყლულოვანი გინგივიტით დაავადებულ დაკვირვების ჯგუფის ავადმყოფთა პირის ღრუში ეპითელურ უჯრედთა დესქვამაციის მაჩვენებლები, შედარებით ნორმალურ დონესთან; P_3 – წყლულოვანი გინგივიტით დაავადებულ საკონტროლო ჯგუფის ავადმყოფთა პირის ღრუში ეპითელურ უჯრედთა დესქვამაციის მაჩვენებლები, შედარებით ნორმალურ დონესთან.

რაც შეეხება ტრადიციული სქემით ნამკურნალევ, კატარული და წყლულოვანი გინგივიტით დაავადებულ ავადმყოფებს, ამ შემთხვევებში ეპითელურ ქსოვილთა დესქვამაციის მაჩვენებელთა კლების ტენდენცია ნაკლებად იყო გამოხატული და ნორმალიზება ხდებოდა მხოლოდ კატარული გინგივიტით დაავადებულ ავადმყოფებში, მკურნალობის დაწყებიდან მე-10 მე-11 დღეს (P_1 > 0,05 ; P_3 < 0,05).

თუ გავითვალისწინებთ, რომ ღრძილების ეპითელიური უჯრედები პირველები შედიან კონტაქტში ისეთ ბაქტერიებთან, როგორიცაა Actinobacillus actynomycetemcomitan, Porphyromonas gingivalis, Bacteroides fosythus და Prevottella intermedia parodontitis, მიკრობული გამღიზიანებლის პასუხად ისინი იწვევენ IL-8-ის ექსპრესიის გაძლიერებას [8, 10].

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნიმაგით მკურნალობის ფონზე კატარული, ასევე წყლულოვანი გინგივიტით დაავადებულ ავადმყოფთა პირის ღრუში ლეიკოციტების მიგრაციის და ლორწოვანი გარსის ეპითელიური უჯრედების დესქვამაციის ხარისხის მაჩვენებელთა ნორმალიზების გამოხატულ ტენდენციას დიდი მნიშვნელობა ენიჭება პროცესის გადრმავების და რეციდივის თავიდან აცილების თვალსაზრისით [1, 2, 3, 4].

ეპითელურ უჯრედთა დესქვამაციის შემცირება მიუთითებს ანთების კუპირების და პროლიფერაციული პროცესის გაძლიერებაზე. ყოველივე აღნიშნული კარგად აისახა პირის ღრუში ჰიგიენური და გინგივიტის ინდექსის მაჩვენებლებზე.



სურ. 4. ჰიგიენური ინდექსის მაჩვენებლების დინამიკა პაროდონტის ანთებით დაავადებათა უნიმაგით მკურნალობის ფონზე. P – კატარული გინგივიტით დაავადებულ დაკვირვების ჯგუფის ავადმყოფთა მაჩვენებლები, შედარებით ნორმალურ დონესთან; P_1 – კატარული გინგივიტით დაავადებულ საკონტროლო ჯგუფის ავადმყოფთა მაჩვენებლები, შედარებით ნორმალურ დონესთან; P_2 – წყლულოვანი გინგივიტით დაავადებულ დაკვირვების ჯგუფის ავადმყოფთა მაჩვენებლები, შედარებით ნორმალურ დონესთან; P_3 – წყლულოვანი გინგივიტით დაავადებულ საკონტროლო ჯგუფის ავადმყოფთა მაჩვენებლები, შედარებით ნორმალურ დონესთან.

კლინიკურმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ კატარული და წყლულოვანი გინგივიტით დაავადებულ ავადმყოფთა უნიმაგით მკურნალობის ფონზე, სწრაფად ხდებოდა როგორც ჰიგიენური, ასევე გინგივიტის ინდექსის ნორმალიზება (სურ. 4, 5), განსხვავებით იმ ავადმყოფებისაგან, რომლებსაც მკურნალობა ჩაუტარდათ ტრადიციული სქემით. ამ შემთხვევებში, როგორც კატარული, ასევე წყლულოვანი გინგივიტის ფონზე, მკურნალობის

დაწყებიდან მე-10 მე-11 დღისთვისაც არ შეიმჩნეოდა აღნიშნული პარა-მეტრების ნორმალიზება ($P_1 < 0,05$; $P_3 < 0,05$).



სურ. 5. გინგივიტის ინდექსის მაჩვენებლების დინამიკა პაროდონტის ანთებით დაავადებათა უნიმაგით მკურნალობის ფონზე. აღნიშვნები იგივეა, რაც სურ. 1-ზე.

მკურნალობის დაწყებამდე, კატარული გინგივიტით დაავადებულებს აღენიშნებოდათ პაროდონტის ქსოვილის ანთების დამახასიათებელი ნიშნები. ავადმყოფები უჩიოდნენ ჭამისა და კბილების გაწმენდის დროს სისხლდენას, არასასიამოვნო სუნს და ვემოს პირიდან.

ავადმყოფებს ობიექტურად აღენიშნებოდათ კბილის ნადებები, ღრძილის კიდის და კბილთაშუა დვრილების შეშუპება, ჰიპერემია, სისხლდენა დვრილის მწვერვალიდან მის ქვედა წილზე ზეწოლის დროს, ზონდირების დროს, შემოსაზღვრული დესქვამაციის კერები და კბილთაშუა დვრილების ცალკეული ეროზიები. კბილ-ღრძილოვანი ძგიდის მთლიანობა არ იყო დარღვეული, არ აღინიშნებოდა პაროდონტური ჯიბეები. შილერ-პისარევის სინჯი ქველა ავადმყოფს ჰქონდა დადებითი; მომატებული იყო ჰიგიენური ინდექსი.

წყლულოვანი გინგივიტით დაავადებული ავადმყოფები მკურნალობის დაწყებამდე უჩიოდნენ არასასიამოვნო სუნს პირის ღრუდან, ღრძილების ტკივილს, განსაკუთრებით ჭამის დროს, სისხლდენას ღრძილებიდან. ობიექტურად, ღრძილების ჰიპერემიის ფონზე, აღინიშნებოდა ნეკროზული უბნები ნაცრისფერი, ადვილად მოსაცილებელი, ფიბროზული მასით, რომლის მოცილება იწვევდა სისხლდენას. დანეკროზებულ და ჯანმრთელ უბნებს შორის კარგად იყო გამოხატული დემარკაციული ხაზი. ნეკროზული უბნები უფრო ხშირად გვხვდებოდა მოლარების, პრემოლარების და რე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრომოლარულ მიდამოში, იშვიათად – საჭრელებსა და ეშვებზე. დიდი რაოდენობით აღინიშნებოდა რბილი და მაგარი ნადებები. პაციენტებს აღენიშნებოდათ ყბისქვეშა ლიმფური კვანძების გადიდება, მადის დაკარგვა, თავის ტკივილი, ტკივილები სახსრებში, ზოგჯერ ტემპერატურის მომატება 37,5°-38,0°C-მდე.

უნიმაგის ანთების საწინააღმდეგო ეფექტი გამოიხატა მისი დამახასიათებელი ნიშნების უკუგანვითარებაში მე-4 მე-5 დღისათვის. მკურნალობის შედეგად მკვეთრად შემცირდა, ან სავსებით შეწყდა, სისხლდენა ღრძილებიდან, რაც განსაკუთრებით მკვეთრად გამოვლინდა წყლულოვანი გინგივიტით დაავადებულთა შორის. ავადმყოფებს მკვეთრად შეუმცირდათ შეშუპება, ანთებითი ინფილტრაცია. ეპითელიური შრეების ჰიპერპლაზიის ნაცვლად, აღინიშნებოდა ეპითელიუმის რეგენერაცია. მკურნალობიდან 4-5 დღის შემდეგ, კლინიკურ-ფუნქციური გამოკვლევებით უნიმაგით ნამკურნალევ კატარული გინგივიტით დაავადებულ ყველა ავადმყოფს (100%) და წყლულოვანი გინგივიტით დაავადებულთა 90%-ს გამოუვლინდა დადებითი შედეგი, ხოლო იმ ავადმყოფებში, რომლებსაც ჩაუტარდათ ტრადიციული მკურნალობა, დადებითი შედეგი გამოუვლინდა, შესაბამისად, შემთხვევათა 75-90%-ში და მკურნალობიდან მე-9 მე-10 დღის შემდეგ.

ამრიგად, კატარული და წყლულოვანი გინგივიტის მკურნალობის კომპლექსურ ღონისძიებებში უნიმაგის ჩართვა განაპირობებს თერაპიული ეფექტის გაუმჯობესებას და მკურნალობის ვადების მნიშვნელოვნად შემცირებას.

ლიტერატურა

1. *Беленчук Т.А.* Автореф. дис. канд. мед. наук. Киев, 1985.
2. *Вишняк Г.Н.* Генерализованные заболевания пародонта (пародонтоз, пародонтит). Киев, 1999.
3. *Вишняк Г.Н.* Автореф. дис. д-ра мед. наук. Киев, 1974.
4. *Данилевский Н.Ф., Борисенко А.В.* Заболевания пародонта. Киев, Здоров'я. 2000.
5. *Кабаков Б.Д., Бельчиков Э.В.* Вопросы иммунологии пародонтоза. Ленинград, Медицина, 1972.
6. *Ясиновский М.А.* К физиологии, патологии и клинике слизистых оболочек. Харьков, Госмедиздат УССР, 1931.
7. *Graves D.T.* Clin. Infect. Dis., 1999, 28, 482-490.
8. *Ozmeric N., Bal B., Balos K., Berker E., Bulut S.* J. Periodontol., 1998, 69, 1299-1304.
9. *Silness J., Loe H.* Acta Odontol. Scand., 1964, 22, 121-124.
10. *Yumoto H., Nakae H., Fujinaka K., Ebisu S.* Infect. Immun., 1999, 67, 384-394.

УНИМАГ В ЛЕЧЕНИИ КАТАРАЛЬНЫХ И ЯЗВЕННЫХ ГИНГИВИТОВ

Т. Цкитишвили, Н. Нацвлишвили, Л. Джаши, Б. Сургуладзе, Н. Гогебашвили

Государственная медицинской академия Грузии, Тбилиси; Научно-исследовательская лабораториа "Магнитные жидкости в медицине и биологии" (О.О.О. "АТТ")

РЕЗЮМЕ

В работе представлены результаты лечения Унимагом катаральных и язвенных гингивитов.

Препарат Унимаг представляет собой стабильную суспензию высокодисперсных частиц магнетита – магнитную жидкость. Унимаг является магниточувствительным, рентгеноконтрастным, бактерицидным препаратом, характеризуется адсорбцией разных биомакромолекул, усилением функциональной активности фагоцитов и высокой проникающей способностью в тканях.

Исследования показали, что лечение Унимагом больных с катаральным и язвенным гингивитом, обусловливает быстрое купирование воспалительного процесса, нормализацию индексов гингивита и гигиенны, показателя десквамации эпителиальных клеток; повышение процентного показателя мигрированных живых лейкоцитов в полости рта, на фоне уменьшения общего количества мигрированных клеток. Все это способствует улучшению терапевтического эффекта и значительному сокращению сроков лечения.

USING UNIMAG IN TREATMENT OF CATARRHAL AND ULCEROUS GINGIVITIS

T. Tskitishvili, N. Natsvlishvili, L. Jashi, B. Surguladze, N. Gogebashvili

Georgian State Medical Academy, Tbilisi; Scientific-Research Laboratory "Magnetic Liquids in Medicine and Biology" (ATT Ltd.)

SUMMARY

The work represents results treating of catarrhal and ulcerous gingivitis by Unimag.

Preparation Unimag represents a stable suspension of highly dispersed magnetic particles. This prteparation is magnetic-sensitive, X-ray contrast, bactericidal, and characterized with capacity for phagocytes activation, absorption of various bio-macromolecules, and high penetrability in tissues.

Our studies have revealed that treatment with Unimag of the patients with catarrhal and ulcerous gingivitis, reduces inflammation, settles hygienic and gingivitis indices, reduces general quantity of migrated cells in the mouth cavity and epithelia cells desquamation, increases percentage of live leucocytes. The data obtained point at feasibility of implementation of Unimag in treatment of the oral inflammations.

927

საქ. მეცნ. აკად. მაცნე, სერ. ბიოლ. A, 2005, ტ. 31, № 6. ISSN-0321-1665
Известия АН Грузии, сер. биол. A, 2005, т. 31, № 6.
Proc. Georgian Acad. Sci., Biol. Ser. A, 2005, vol. 31, No. 6.

სასუნთქი გზების მიკროეკოლოგია ბაქტერიოლოგიური კვლევის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით

მ. ძაგნიძე, ე. კიკაჩეიშვილი, მ. კერესელიძე, შ. ხარებავა, კ. აფრიდონიძე

საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემია, თბილისი; სამედიცინო ცენტრი "ციტო", თბილისი

მიღებულია 21.07.2005

2000-2004 წლების განმავლობაში შესწავლილ იქნა 378 პაციენტის ნახველისა და ტრაქეის ასპირატის მიკროფლორა. ნახველიდან აღებულმა მასალამ შეადგინა 184 (48,7%), ტრაქეის ასპირატიდან აღებულმა მასალამ კი 194 (51,3%).

მიკრობთა იდენტიფიკაცია ტარდებოდა საიდენტიფიკაციო სისტემების საშუალებით, მიკრობთა თითოეული ჯგუფისათვის. თითოეული სისტემა წარმოადგენს სტანდარტიზებულ მიკრომეთოდს და მოიცავს 20 ბიოქიმიურ ან ასიმილაციურ ტესტს, რაც მიკრობთა იდენტიფიკაციის მაღალ ხარისხზე მეტყველებს.

2000-2004 წლების განმავლობაში ჩატარებული ბაქტერიოლოგიური კვლევის შედეგების მიხედვით ნახველის ეტიოლოგიურ სტრუქტურაში დომინირებს K.pneumoniae – 73,5%, C.albicans – 62,5%, S.aureus – 42,3%. ტრაქეის ასპირატში კი K.pneumoniae – 43,2%, Ps.aeruginosa – 33,4%, Acinetobaqter spp – 27,2%. შერეული ინფექციების სახით ნახველში დომინირებს Pseudomonas (Ralstonia) pickettii + C.albicans + N.sicca + N.mucosa – 25%-ში. ტრაქეის ასპირატში – S.aureus + Ps.aeruginosa – 50%-ში. გამოკვლევები ტარდებოდა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.

საკვანძო სიტყვები: მიროეკოლოგია, ტრაქეის ასპირატი, მიკროფლორა, საერთაშორისო სტანდარტის ტექნოლოგიები

სასუნთქი გზების ინფექციებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ ინფექციურ პათოლოგიებში. ზედა სასუნთქი გზები, ცხვირის ღრუ, ხახის ლორწოვანი უშუალოდ არის დაკავშირებული გარემოსთან და თითქმის მთლიანად ასახავს მის მიკრობულ ეკოსტრუქტურას. ჰაერწვეთოვანი და ჰაერმტვრევანი გზით მიკრობების ტრანზიტორული გავრცელების თვალსაზრისით, შედარებით ნაკლებადაა შესწავლილი ქვედა სასუნთქი გზების მიკროფლორა. გარდა გარემო ფაქტორების გავლენისა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იჩენს ენდოგენური ინფექციების კერების არსებობა, ამოსუნთქული ჰაერის, ნახველის საშუალებით და ასევე ისეთი სამედიცინო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანიპულაციების ჩატარების დროს, როგორიცაა ინტრატრაქეალური ნარკოზი, ტრაქეოსტომია და სხვა. ქვედა სასუნთქი გზების მიკროეკოლოგიის შესწავლა გამოიყენება დაავადებების დროს დიაგნოსტიკური მიზნით. სასუნთქი სისტემის მიკრობიოლოგიური კვლევები ჩვენში ტარდებოდა ტრადიციული მეთოდებით, რაც ხშირად მოიჯჭლებდა სტანდარტულობითა და კვლევის ხარისხით. ყოველივე ეს სრულად ეხება მიკრობების იდენტიფიკაციას. პოსტსაბჭოურ პერიოდში საქართველოში დაიწყო საერთაშორისო სტანდარტული დონის მიკრობიოლოგიური კვლევის ტექნოლოგიების შემოსვლა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამედიცინო ცენტრ "ციტოს", რომელმაც პირველმა საქართველოში შემოიტანა თანამედროვე ფრანგული ფირმა bioMerieux-ის ტექნოლოგიები: სტანდარტული საკვები ნიადაგები, კულტივირებისათვის აუცილებელი სისტემები, მიკრობთა საიდენტიფიკაციო Api სისტემები, რომელთა გამოყენებით 2000-2004 წლებში, ამ ცენტრში დაგროვდა უნიკალური მასალა სასუნთქი სისტემის მიკროეკოლოგიის კვლევის მხრივ, რაც წარმოდგენილია წინამდებარე ნაშრომში.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა ქვედა სასუნთქი გზების მიკრობული ეკოსტრუქტურის შესწავლა 5 წლის (2000-2004 წწ.) დინამიკაში, აღნიშნული ტექნოლოგოების გამოყენებით, რამაც საშუალება მოგვცა სრულფასოვნად შეგვეფასებინა მიკრობიოლოგიური სტატუსი.

მასალა და მეთოდები

2000-2004 წლების განმავლობაში შესწავლილ იქნა 378 პაციენტის ნახველისა და ტრაქეის ასპირატის მიკროფლორა. ნახველიდან აღებული მასალა იყო 184 (48,7%), ტრაქეის ასპირატიდან აღებულმა მასალამ შეადგინა 194 (51,3%).

მიკრობთა იდენტიფიკაცია ტარდებოდა Api საიდენტიფიკაციო სისტემის საშუალებით, მიკრობთა თითოეული ჯგუფისათვის. სტაფილოკოკებისა და მიკროკოკებისათვის გამოიყენებოდა Api Staph, სტრეპტოკოკებისათვის Api 20 Strep, კორინეფორმული ბაქტერიებისათვის Api coryne, სოკოებისათვის Api 20 CAUX, ხოლო Neisseria-ას, Haemophilus-ის და Branchamella-თვის Api NH, Listeria-თვის Api Listeria. თითოეული Api სისტემა წარმოადგენს სტანდარტიზებულ მიკრომეთოდს და მოიცავს 20 ბიოქიმიურ ან ასიმილაციურ ტესტს, რაც იძლევა მიკრობთა დადგენის ფართო სპექტრს. Api ზოლების ფოსოებსა და მიკროსინჯარებში მოთავსებულია დეჰიდრირებული სუბსტრატები და მათში სტანდარტიზებული მიკრობული ინოკულუმის შეტანის შემდეგ ვახდენდით ინკუბაციას 18-24 სთ-ის განმავლობაში, სათანადო ტემპერატურაზე. შემდეგ ვაწარმოებდით შედეგების წაკითხვას საინტერპრეტაციო ცხრილით და სათანადო ანალიზური კატალოგის მიხედვით ვსაზღვრავდით მიკრობების გვარსა და სახეობას.

ნახველის გამოსაკვლევად, დილის ულუფას, ხველების შეტევის დროს, ვათავსებდით სტერილურ ჭურჭელში. ტრაქეის ასპირატს ვაგროვებდით, ტრაქეოსტომიის დროს ტრაქეის შიგთავსის სითხეს, ინტუბაციის გზით და

ვათავსებდით სტერილურ ჭურჭელში. გამოსაკვლევი მასალა ერთდროულად ითესებოდა შემდეგ ნიადაგებზე: კოლუმბია-აგარი 5% სისხლით და CAN მაინჰიბირებელი ნარევით, ჩაპმანის აგარი, "შოკოლადისებრი" აგარი Polyvitex-ით, საბუროს აგარი და საბუროს აგარი ქლორამფენიკოლით, შედლერის აგარი 5% სისხლით. ნათესების ინკუბაცია ხდებოდა 24-48 საათის განმავლობაში, 37°0C-ზე, "შოკოლადისებრ" აგარზე ნათესების 48 სთ-ის განმავლობაში, 37°C-ზე, Genbag CO_2 პირობებში, საბუროს აგარზე 24-72 სთ-ის განმავლობაში, 30°C-ზე, შედლერის აგარზე ნათესების 24-48 სთ-ის განმავლობაში Genbaganaer პირობებში.

შედეგები და მათი განხილვა

ჩვენს მიერ ჩატარებული გამოკვლევებით დადგინდა, რომ ნახველში აღებულ მასალაში (ცხრილი 1) 2000 წელს მონოკულტურის სახით დომინირებს C.albicans და K.pneumoniae – 50%-ში. 2000 წელს მიკრობული ასოციაციები არ გამოვლინდა. 2001 წელს S.aureus და K.pneumoniae აღმოჩნდა 23,5%-ში, C.albicans და S.epidermidis – 11,7%-ში, ხოლო S.serogroup G და Gemella haemolysans – 5,8%-ში. 2001 წელს მიკრობული ასოციაციები გამოვლინდა 18%-ში, კერძოდ: S.aureus + C.albicans. 2002 წელს მონოკულტურის სახით დომინირებს S.epidermidis – 14,62%-ში, Acinetobaqter spp, Xanthomonas maltophilia აღმოჩნდა – 10,3%, ხოლო C.albicans, S.aureus, K.pneumoniae, Alcaligenes xylosoxidans, Serracia marcescens, Enterobaqter cloacae, Pseudomonas aeruginosa, S. xylosus, Aspergillus spp – 3,4%-ში. 2002 წელს მიკრობული ასოციაციების სახით გამოვლინდა S.serogroup G + Acinetobaqter spp და S.aureus + C.albicans + Pseudomonas aeruginosa – 6,89%-ში, ხოლო S.aureus + C.albicans, S.aureus + Ps.aeruginosa + C.albicans + Aspergillus spp, S.serogroup G + S.aureus + N.sicca – 3,4%-ში. 2003წელს C.albicans აღმოჩნდა 12,5%-ში, K.pneumoniae – 8,34%-ში, S.aureus და S.salivarius – 6,25%-ში, Serracia marcescens და Shingomonas paucimobilis – 4,17%-ში, ხოლო S.serogroup G, Xanthomonas maltophylia, Ps.aeruginosa კი – 2,08%-ში. 2003 წელს მიკრობული ასოციაციები გამოვლინდა 50%-ში. კერძოდ: Pseudomonas (Ralstonia) pickettii + C.albicans + N.sicca + N.mucosa – 25%-ში, S.aureus + Ps.aeruginosa + K.pneumoniae და S.aureus + K.pneumoniae + C.albicans აღმოჩნდა 12,5%-ში. 2004 წელს მონოკულტურის სახით გამოვლინდა 18,8%-ში S.aureus. Ps.aeruginosa და C.albicans – 12,4%-ში. 2004 წელს ასოციაციის სახით 25%-ში გამოვლინდა Ps.aeruginisa + C.albicans, ხოლო S.aureus + C.albicans, Ps.aeruginosa + S.aureus + Acinetobaqter spp, Pseudomonas (Ralstonia) pickettii + S.epidermidis, Ps.aeruginosa + C. albicans აღმოჩნდა 6,25%-ში.

ტრაქეის ასპირატიდან 2000 წელს მონოკულტურის სახით გამოვლინდა S.aureus და K.pneumoniae – 25%-ში. 2000 წელს ასოციაციის სახით გამოვლინდა S.aureus + Ps.aeruginosa – 50%-ში. 2001 წელს მოკულტურის სახით დომინირებს Ps.aeruginosa – 33,4%-ში, S.aureus და K.pneumoniae აღმოჩნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

14,8%-ში, Cedecea lapage, S.epidermidis, Gemella haemolysans, Branchamella catarrhalis, Enterobaqter cloacae, Acinetobacter spp კი – 3,7-ში. 2001 წელს ასოციაციის სახით 7,4%-ში გამოვლინდა Ps.aeruginosa + K.pneumoniae + S.epidermidis და S.aureus + K.ornithinolytica + Ps.aeruginosa + C.albicans.

ცხრილი 1

ნახველის მიკროფლორა 2000-2004 წლებში

წლები	ძირითადი	დამატებითი	შემთხვევითი
2000	C.albicans, K.pneumoniae – 50	–	–
2001	S.aureus, K.pneumoniae – 23,5	C.albicans, S.epidermidis – 11,7	S.serogroup G, Gemella haemolysans – 5,8.
2002	S.epidermidis – 14,62	Acinetobacter spp, xantomonas maltophilia – 10,3	S.aureus, K.pneumoniae, Alcaligenes xylosoxidans, Serracia marcescens, S.xylosus, Aspergillus spp – 3,4
2003	C.albicans 12,5	K.pneumoniae – 8,34; S.aureus, S.salivarius – 6,25	Serracia marcescens, S.salivarius, S.epidermidis, S.serogroup G, Xanthomonas maltophilia, Ps. aeruginoza – 2,08
2004	Ps.aeruginosa, S.aureus – 18,8	C.albicans – 12,4.	–
2000-2004	K.pneumoniae – 73,5; C.albicans – 62,5; S.aureus – 42,3; Ps.aeruginosa – 18,8; S.epidermidis – 14,62	C.albicans – 24,1; S.epidermidis 11,7; Acinetobacter spp, Xantomonas maltofilia – 10,3; K.pneumoniae – 8,3	S.serogroup G – 7,88; Serracia marcenscens – 5,48; Ps.aeruginosa – 5,48; Gemella haemolisans – 5,8; K.pneumoniae, Alcaligenes xylosoxidans, S.xylosus – 3,4

2002 წელს მონოკულტურის სახით დომინირებს Acinetobacter spp – 27,2%-ში, C.albicans – 16,05%-ში, Enterobacter cloacae და E.coli – 6,81%-ში, S.aureus, Ps.aeruginosa, Xanthomonas maltophylia – 4,54%-ში, ხოლო K.pneumoniae, Micrococcus spp, Pseudomonas (Ralstonia) pickettii, S.capitis, S.xylosus აღმოჩნდა 2,27%-ში. 2002 წელს ასოციაციები გამოვლინდა 18,16%-ში, კერძოდ: S.aureus + Ps.aeruginosa, S.epidermidis + C.albicans, Enterobacter aerogenes + H.parainfluenzae, S.aureus + K.pneumoniae + Ps.cepacia, K.oxytoca + S.aureus + C.albicans, Ps.aeruginosa + K.pneumoniae + S.epidermidis, S.epidermidis + N.sicca + N.mucosa, Ps.aeruginosa + S.epidermidis გამოვლინდა 2,27%-ში. 2003 წელს მონოკულტურის სახით გამოვლინდა S.aureus, Ps.aeruginosa, K.pneumoniae, C.albicans – 5,88%-ში, Branchamella catarrhalis, Xanthomonas maltophilia – 2,94%-ში. 2003 წელს ასოციაციის სახით გამოვლინდა S.aureus + K.pneumoniae + C.albicans და S.aureus + K.ornithinolytica + Ps.aeruginosa + C.albicans – 14,72%-ში, S.aureus + Ps.aeruginosa – 8,82%ში, K.oxytoca + S.aureus + C.albicans, Ps.aeruginosa +

S.epidermidis + E.coli, Ps.aeruginosa + E.agglomerans + C.albicans, S.aureus + C.albicans + Ps.aeruginosa აღმოჩნდა 5,88%-ში. 2004 წელს მონოკულტურის სახით დომინირებს K.pneumoniae, K.oxytoca – 18,2%-ში, Pseudomonas (Ralstonia) pickettii – 7,35%-ში, S.aureus და Ps.aeruginosa აღმოჩნდა 6,25%-ში. 2004 წელს მიკრობული ასოციაციის სახით გამოვლინდა S.epidermidis + C.albicans, S.aureus + C.albicans, S.aureus + Acinetobacter spp, K.pneumoniae + S.aureus, S.aureus + K.pneumoniae + C.albicans, Ps.aeruginosa + S.marcescens, S.aureus + K.ornithinopytica + Ps.aeruginosa + C.albicans – 6,25%-ში.

ცხრილი 2

ტრაქეის მიკროფლორა 2000-2004 წლებში

წლები	ძირითადი	დამატებითი	შემთხვევითი
2000	S.aureus; K.pneumoniae – 25	–	–
2001	Ps. aeruginosa – 33,4	S.aureus; K.pneumoniae – 14,8	Cedecea lapagei; S.epidermidis; Gemella haemolisans; Branchamella catarrhalis; E.cloecae; Acinetobacter spp – 3,7
2002	C.albicans – 16,05; Acinetobacter spp – 27,2	Enterobacter cloacae; E.coli – 6,81	S.aureus; Ps.aeruginosa; Xantomonas maltopylia – 4,54; K.pneumoniae; Micrococcus spp; S.capitis; S.xylosus – 2,27
2003	–	S.aureus; Ps.aeruginosa; K.pneumoniae; C.albicans – 5,88	Branxamella catarhalis; Xanthomonas maltophilia; K.oxytoca – 2,94
2004	K.pneumoniae; K.oxytoca – 18,2	Pseudomonas (Ralstonia) pickettii – 7,35; S.aureus; Ps.aeruginosa – 6,25	–
2000-2004	K.pneumoniae – 43,2; Ps.aeruginosa – 33,4; Acinetobacter spp – 27,2; S.aureus – 25; K.oxytoca – 18,2; C.albicans – 16,05	S.aureus – 26,93; K.pneumoniae – 20,68; Ps.aeruginosa – 12,13; Pseudomonas (Ralstonia) pickettii – 7,35; Enterobacter cloacae – 6,81; E.coli – 6,81	Xantomonas maltophilia – 9,58; Branchamella catarrhalis – 6,64; Cedecea lapagei; S.epidermidis; Gemella haemolisans; Enterobacter cloacae; Acinetobacter spp – 3,7

2000-2004 წლების დინამიკაში 378 პაციენტის ქვედა სასუნთქი სისტემის ფლორის მიკროეკოლოგიის შესწავლამ საშუალება მოგვცა გაგვეკეთებინა შემდეგი დასკვნები.

2000-2004 წლებში, ქვედა სასუნთქი გზებიდან მიკრობები გამოიყო, როგორც მონო, ისე შერეული ინფექციების სახით. მონოკულტურის სახით ნახველიდან გამოიყო 55,43%-ში, ხოლო ასოციაციის სახით 44,57%-ში. ტრაქეის ასპირატიდან მონოკულტურის სახით გამოიყო 61,34%-ში, ხოლო ასოციაციის სახით 38,66%-ში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2000-2004 წლების განმავლობაში ჩატარებული ბაქტერიოლოგიური გამოკვლევების შედეგების მიხედვით ნახველის ეტიოლოგიურ სტრუქტურაში მონოკულტურის სახით დომინირებს K.pneumoniae – 73,5%-ში, C.albicans – 62,5%-ში, S.aureus – 42,3%-ში. მე-2 ადგილს იკავებს Ps.aeruginosa – 18,8%-ში, S.epidermidis გამოვლინდა 14,62%-ში. ტრაქეის ასპირატის ეტიოლოგიურ სტრუქტურაში დომინირებს K.pneumoniae – 43,2%, Ps.aeruginosa – 33,4%, Acinetobacter spp – 27,2%, S.aureus – 25%-ში, K.oxytoca გამოვლინდა 18,2%-ში, C.albicans – 16,05%-ში.

2000-2004 წლების დინამიკაში ნახველიდან ყველაზე ხშირი ასოციანტები იყვნენ: Pseudomonas (Ralstonia) pickettii + C.albicans + N.sicca + N.mucosa და Ps.aeruginosa + C.albicans – 25%. S.aureus + C.albicans – 18%-ში. ტრაქეის ასპირატიდან იზოლირებულ მიკრობებში ყველაზე ხსირი ასოციანტები იყვნენ S.aureus + Ps.aeruginosa – 50%-ში, S.aureus + K.pneumoniae და S.aureus + K.ornithinolytica + Ps.aeruginosa + C.albicans გამოვლინდა 14,72%-ში.

საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო კვლევის პროცესში ქვედა სასუნთქი გზებიდან შედარებით იშვიათად იზოლირებული ზოგიერთი მოკრობის იდენტიფიკაცია. მაგ. Alcaligenes xylosoxidans, Enterobacter cloacae, Shingomonas paucimobilis, Stafilococcus capiyis, Xanthomonas maltophilia, Acinetobacter spp, Cedecea lapagei.

აღნიშნული მონაცემები გვაძლევს ქვედა სასუნთქი გზების ანთებადი დაავადებების მიკრობების ნათელ სურათს. 5 წლის დინამიკაში აღნიშნული კვლევები შესრულებულია მაღალი ხარისხის ბაქტერიოლოგიური კვლევის ტექნოლოგიებით, რაც უზრუნველყოფს იდენტიფიკაციის მაღალ ხარისხს და გვაძლევს სარწმუნო მონაცემებს.

ლიტერატურა

1. *ყერესელიძე მ.* კლინიკური ბაქტერიოლოგია., თბილისი, "ევრო", 2001.
2. *Вылегжанина Т.Г.* Consilium medicine, 2001, 3, 579-582.
3. *Покровский В.И., Позднев О.К.* Медицинская микробиология. Москва, Медицина, 1998.
4. *Baquero F., Moreno F.* Microbiol. Lett., 1984, 23, 117-124.

МИКРОЭКОЛОГИЯ ДЫХАТЕЛЬНЫХ ПУТЕЙ С ПРИМЕНЕНИЕМ СОВРЕМЕННЫХ ТЕХНОЛОГИЙ БАКТЕРИОЛОГИЧЕСКИХ ИССЛЕДОВАНИЙ

М. Дзагнидзе, Э. Кикачеишвили, М. Кереселидзе, Ш. Харебава, К. Апридонидзе

Государственная медицинская академия Грузии, Тбилиси; Медицинский центр Цито, Тбилиси

РЕЗЮМЕ

В 2000-2004 годах изучена микрофлора 378 пациентов. Материал, взятый из мокроты составил 184 (48,7%), а из трахеального аспирата – 194 (51,3%).

Идентификация микробов проводилась с помощью идентификационной системы Api, предназначенной для каждой группы отдельно. Каждая Api система представляет стандартизированный микрометод, в состав которого входит 20 биологических или ассимиляционных тестов, что дает возможность установить широкий спектр микробов.

По данным бактериологических исследований проводимых с 2000 по 2004 год, в этиологической структуре мокроты доминировали K.pneumoniae – 73,5%, C.albicans – 62,5%, S.aureus – 42,3%; В трахеальном аспирате – K.pneumoniae – 43,2%, Ps.aeruginosa – 33,4%, Acinetobacter spp. – 27,2%. В виде смешанных инфекций в мокроте доминируют Pseudomonas (Ralstonia) pickettii+C.albicans+N.sicca+N.mucosa-25%. В трахее S.aureus+ Ps.aeruginosa-50%.

MUCOUS MEMBRANE MICROFLORA OF RESPIRATORY TRACT STUDIED WITH MODERN RESEARCH TECHNOLOGIES

M. Dzagnidze, E. Kikacheishvili, M. Kereselidze, Sh. Kharebava, K. Apridonidze

Georgian State Medical Academy, Tbilisi; Medical Center *Cito*, Ltd., Tbilisi

SUMMARY

In 2000-2004 years we studied 378 patients. In etiologic structure prevailed K.pneumoniae – 73.5%, C.albicans – 62.5%, S.aureus – 42.3%, Ps. Aeruginosa – 33.4%, Acinetobacter spp. – 27.2%. In associations were mainly revealed Pseudomonas (Ralstonia) pickettii + C.albicans + N.sicca + N.mucosa – 25%, S.aureus + Ps.aeruginosa – 50%.

According to the data obtained a true picture of microecology of upper respiratory tract became obvious.

საქ. მეცნ. აკად. მაცნე, სერ. ბიოლ. A, 2005, ტ. 31, № 6. ISSN-0321-1665
Известия АН Грузии, сер. биол. А, 2005, т. 31, № 6.
Proc. Georgian Acad. Sci., Biol. Ser. A, 2005, vol. 31, No. 6.

ადგილობრივი ანესთეთიკების არტიკაინის და ლიდოკაინის მოქმედების მექანიზმების შედარებითი ანალიზი

ნ. წილოსანი, ნ. საყვარელიძე, ზ. საყვარელიძე*

* გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, თბილისი; თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

მიღებულია 2.09.2005

არსებობს რამოდენიმე ფაქტორი, რომელიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, როდესაც ვახდენთ ადგილობრივი ანესთეთიკების შედარებას. *არტიკაინის* და *ლიდოკაინის* შედარებითი დახასიათებისას ყურადღება უნდა მიექცეს მათ ფარმაკოქიმიურ თვისებებს. პირველი და ძირითადი განსხვავება ისაა, რომ არტიკაინი თიოფენის ჯგუფს შეიცავს, ხოლო ლიდოკაინი – ბენზოლის ჯგუფს. მეორე განმასხვავებელი ნიშანი არტიკაინის მოლეკულაში ეთერული ჯგუფის არსებობაა. ამის გამო ეს პრეპარატი ჰიდროლიზდება პლაზმის ესთერაზებით, აგრეთვე მიკროსომული ფერმენტებით ღვიძლში. ეს ფაქტორი განაპირობებს არტიკაინის ნახევარდაშლის მცირე პერიოდს (22 წუთი), ხოლო ლიდოკაინის შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 90 წუთია. არტიკაინის ძირითადი მეტაბოლიტი — არტიკაინის მჟავა არატოქსიკური ნაერთია. მას აქვს პლაზმის ცილებთან დაკავშირების კარგი უნარი, ამიტომ სისხლიდან ქსოვილებში არ ხვდება. პრეპარატი ვერ გადის პლაცენტურ ბარიერს და პრაქტიკულად არ გამოიყოფა დედის რძეში. არტიკაინი მაღალეფექტურია, დაბალტოქსიკური და თერაპიული მოქმედების ყველაზე ფართო დიაპაზონით ხასიათდება. ლიდოკაინს აქვს ცხიმში ხსნადობის მაღალი კოეფიციენტი. პრეპარატი, ძირითადად, მეტაბოლირდება ღვიძლში, ხოლო მისი მეტაბოლიტები — მონოეთილგლიცინი და ქსილიდინი ტოქსიკური მოქმედებით ხასიათდებიან. ლიდოკაინს პლაზმის ცილებთან შეკავშირების დაბალი კოეფიციენტი აქვს. პრეპარატს მოქმედების საშუალო ხანგრძლივობა აქვს და ჩამორჩება არტიკაინს დიფუზიის უნარით.

პრაქტიკულ სტომატოლოგიაში, ადგილობრივ საანესთეზიო საშუალებათა დიდ არსენალში, სტომატოლოგის საუკეთესო არჩევანს წარმოადგენს 4% არტიკაინი, ადრენალინთან (1 : 200000) ერთად განზავებით. ეს განპირობებულია ამ პრეპარატის აქტივობის და ტოქსიკურობის ოპტიმალური შეთავსებით, მოქმედების ფართო თერაპიული დიაპაზონით და უსაფრთხოებით.

საკვანძო სიტყვები: სტომატოლოგია, არტიკაინი, ლიდოკაინი, ანესთეზიის მექანიზმები

სტომატოლოგიაში ტკივილზე კონტროლის ყველაზე საიმედო და უსაფრთხო მეთოდს ადგილობრივი გაუტკივარება წარმოადგენს, რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშუალებას იძლევა მოიხსნას ტკივილი ცნობიერების გამოთიშვის გარეშე და შენარჩუნებულ იქნას ექიმის კონტაქტი პაციენტთან.

ადგილობრივი ანესთეზიის შემოღება დაკავშირებულია 1879 წელს ანრეპის მიერ კოკაინის აღმოჩენასთან [2], თუმცა პრეპარატის ტოქსიკურობამ და წამალზე დამოკიდებულების განვითარების შესაძლებლობამ განაპირობა მისი პრაქტიკიდან ამოღება. 1905 წელს ეინჰორნის მიერ შემოღებულ იქნა ნოვოკაინი, რამაც მნიშვნელოვნად გააფართოვა ადგილობრივი გაუტკივარების შესაძლებლობანი [2]. 1903 წელს კი, ბრაუნის რეკომენდაციით, ანესთეზიის გახანგრძლივების მიზნით, ადრენალინის გამოყენება დაიწყეს. 1940 წლიდან შემოვიდა ანესთეთიკების ახალი ჯგუფი – ამიდები. ამ ჯგუფის წარმომადგენელი, ლიდოკაინი, სინთეზირებული იყო შვედი ქიმიკოსის ნილს ლოფგრენის მიერ 1943 წელს. მომდევნო წლებში გამოჩნდა სხვა ამიდური ანესთეთიკებიც (პრილოკაინი, 1953 წ., ბუპივაკაინი და მეპივაკაინი 1957 წ., ეტიდოკაინი 1971 წ.). 1969 წელს რაშინგმა დაასინთეზა არტიკაინი [2]. სხვა ამიდური ანესთეთიკებისაგან ის განსხვავდება იმით, რომ თიოფენის წარმოებულია და ბენზოლის ჯგუფის მაგივრად შეიცავს თიოფენის ჯგუფს [4].

ჩვენი ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ზოგადად ადგილობრივი ანესთეტიკების მოქმედების მექანიზმების დახასიათება თანამდროვე პოზიციებიდან და სტომატოლოგიურ პრაქტიკაში ყველაზე ხშირად ხმარებული ორი ამიდური ანესთეთიკის, არტიკაინის და ლიდოკაინის მოქმედების მექანიზმების შედარება.

ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ ანესთეტიკის აქტიურობას

საანესთეზიო ნივთიერების ცხიმში ხსნადობა მნიშვნელოვანი ფაქტორია მისი ეფექტურობის თვალსაზრისით. ცხიმში მაღალი ხსნადობა განაპირობებს ხსნარის მაღალ განვლადობას უჯრედის მემბრანაში, რომელიც 90%-ით ლიპიდებისაგან შედგება [5], თუმცა, ცხიმში ხსნადობის ერთნაირი მაჩვენებლების პირობებში, სხვადასხვა ანესთეთიკი შეიძლება განსხვავდებოდეს მოქმედების ძალის და ხანგრძლივობის მიხედვით. ეს თავისებურებანი განსაზღვრავენ მათ არაერთგვაროვან თავსებას რეცეპტორებთან. არტიკაინი, ბენზოლის ნაცვლად შეიცავს რა თიოფენს, ხასიათდება ცხიმში მაღალი ხსნადობით, რაც ხელს უწყობს მის უკეთ შეაღწევას ნერვული მემბრანის ლიპიდურ შრეში. ცხიმში ხსნადობის მაჩვენებელი ანესთეთიკის მოქმედების პირდაპირპროპორციულია.

პლაზმის ცილებთან შეკავშირების მაღალი კოეფიციენტი განაპირობებს პრეპარატის 95%-ის სისხლის მიმოქცევის წრეში მოხვედრას, ფარმაკოლოგიურად არააქტიური ნაერთების სახით. ეს ფაქტორი კი განსაზღვრავს საანესთეზიო ნივთიერების დაბალ სისტემურ ტოქსიკურობას, მაღალ ეფექტურობასა და მოქმედების ხანგრძლივობას.

საანესთეზიო ნივთიერების ვაზოდილატორული თვისება გავლენას ახდენს მის ძალაზე და ხანგრძლივობაზე. ამგვარი მოქმედების გამო, ანესთეზიის მიდამოში ხშირად ადგილი აქვს სისხლდენას და ხსნარის სწრაფ გამორეცხვას საოპერაციო ველიდან, რაც, შესაბამისად, ზრდის ზოგადტოქსიკური მოქმედების შესაძლებლობას. არტიკაინიც და ლიდო-

კაინიც ხასიათდება ვაზოდილატაციური ეფექტით, რის გამოც ვაზოკონსტრიქტორის გარეშე მათი მოქმედება არაეფექტურია. ამიტომ ორივე ლოკალური ანესთეზიკი, მოქმედების ძალის და ხანგრძლივობის გაზრდის მიზნით, ადრენალინთან ერთად გამოიყენება.

ადგილობრივი ანესთეზიკების მოქმედების მოლეკულური მექანიზმი

ადგილობრივი ანესთეზიკების უმრავლესობა, თავისი ქიმიური სტრუქტურით, სუსტ ფუძეს წარმოადგენს, რომელიც ცუდად იხსნება წყალში. რადგან ქსოვილებში შესაყვანად აუცილებელია წყალხსნარები, ამიტომ საანესთეზიო ნივთიერებები მარილების სახით გამოიყენება. ისინი კარგად იხსნება წყალში და დიფუნდირებს ქსოვილებში. მათი შეწოვა დამოკიდებულია დოზაზე, კონცენტრაციაზე, ვაზოკონსტრიქტორის არსებობაზე, შეყვანის ადგილსა და სიჩქარეზე. ადგილობრივად გამაუტკივარებელი აქტივობის გამოსაღლენად უნდა მოხდეს საანესთეზიო ნივთიერებების ჰიდროლიზი, ფუძე ანესთეზიკის გამოთავისუფლებით, რომელიც კარგად იხსნება ლიპიდებში და შეუძლია შეაღწიოს ნერვული ბოჭკოს მემბრანაში. უჯრედის შიგნით pH უფრო დაბალია, ვიდრე მემბრანის გარეთ, ამიტომ საანესთეზიო ხსნარი გადადის კათიონურ ფორმაში და ამ სახით ურთირთქმედებს მემბრანის რეცეპტორთან, ცვლის რა მის განლადობას Na^+ იონებისადმი. ანესთეზიკის ეფექტურობა მით მეტია, რაც მეტია მისი კონცენტრაცია ნერვული ბოჭკოს მემბრანაზე. ამ პრეპარატების ჰიდროლიზი კარგად ხდება სუსტ ტუტე არეში. ამით აიხსნება მათი აქტივობის დაქვეითება ანთებითი პროცესების ფონზე, როდესაც ადგილი აქვს აციდოზს. გარდა ამისა, ჰიპერემიის არსებობა ანთების კერაში, კაპილარების განლადობის გაზრდა და ქსოვილების შეშუპება, ხელს უწყობს რეცეპტორის მიდამოში საანესთეზიო ნივთიერების კონცენტრაციის დაქვეითებას. ვაზოკონსტრიქტორის დამატების მცირდება ანესთეზიკის შეწოვა სისხლში, ამასთანავე, პროლონგირდება და ძლიერდება მისი მოქმედება, სისტემური ტოქსიკურობა კი – კლებულობს. ვაზოკონსტრიქტორის გარეშე ადგილობრივი ანესთეზიკების გვერდითი მოვლენები დამოკიდებულია საინექციო ველის ვასკულარიზაციაზე [5].

ადგილობრივი ანესთეზიკების მოქმედების ნეიროფიზიოლოგიური ასპექტები

ადგილობრივი ანესთეზიკები პერიფერიული იმპულსის ბლოკირების გზით თრგუნავენ ტკივილის შეგრძნებას. ხდება მოქმედების პოტენციალის გენერაციის და გავრცელების შეკავება. ელექტროფიზიოლოგიური მონაცემები მიუთითებს, რომ ლოკალური ანესთეზიკები ნერვული მემბრანის მოსვენების პოტენციალს მნიშვნელოვნად არ ცვლიან. ისინი ამცირებენ ძირითად დინამიკურ პასუხებს ნერვულ სტიმულაციაზე (8).

საანესთეზიო ხსნარი, მოქმედებს ნერვული ბოჭკოს მემბრანაზე, დიფუნდირებს მასში და, კათიონების სახით, რეაგირებს რეცეპტორის ანიონებთან.

ადგილობრივ გაუტკივარებას საფუძვლად ნატრიუმის არხების ბლოკადა უდევს. საანესთეზიო ნივთიერების მოქმედება ქსოვილებზე შეიძლება დაყოთ რამდენიმე ეტაპად:

ეროვნული ბიბლიოთეკა

– მოქმედება ნერვული ბოჭკოს მემბრანაზე;

– ნერვული მემბრანის განლადობის შემცირება ნატრიუმის იონებისადმი;

– დეპოლარიზაციის სიჩქარის დაქვეითება, რასაც მოჰყვება ხღურბლოვანი პოტენციალის ბლოკადა;

მოქმედების პოტენციალის განვითარების შეწყვეტა, რასაც თან სდევს ნერვული იმპულსების ბლოკადა.

ანესთეიკის კონტაქტის ადგილს მიელინიან ბოჭკოებთან წარმოადგენს რანვიეს შევიწროებები. ნერვული იმპულსის სრული ბლოკირებისთვის საჭიროა ანესთეიკის კონტაქტი რანვიეს, სულ ცოტა, სამ შევიწროებასთან. დიფუზიის ყველაზე ხელშემშლელი ფაქტორია – ეპინევრიუმია, რომელიც ბარიერია ანესთეიკის გადაადგილებისთვის ნერვული ბოჭკოსკენ. ნერვული იმპულსის ბლოკადა სამ სტადიას მოიცავს:

1. ტკივილის და ტემპერატურული მგრძნობელობის გამოთიშვა;
2. ტაქტილური მგრძნობელობის გამოთიშვა;
3. პროპრიოცეპტული მგრძნობელობის გამოთიშვა, ანუ მამოძრავებელი იმპულსების ბლოკადა [2].

არტიკაინისა და ლიდოკაინის მოქმედების მექანიზმის შედარებითი ანალიზი

არტიკაინი ხასიათდება დიფუზიის საუკეთესო უნარით, მაგრამ მისი ცხიმში ხსნადობა [1, 5], ლიდოკაინთან შედარებით დაბალია, ამიტომ ცუდად შეიწოვება სისხლში [5]. პრეპარატის 90-95% მეტაბოლირდება სისხლში ფსევდოქოლინესთერაზების ზემოქმედებით, ხოლო 5-10% – ღვიძლში, მიკროსომული ფერმენტების მოქმედებით. არტიკაინის ნახევარდაშლის პერიოდი 22 წუთს შეადგენს. მისი დაშლის ძირითადი პროდუქტი არტიკაინის მჟავაა, რომელიც არატოქსიკური ნაერთია [6]. არტიკაინს აქვს პლაზმის ცილებთან შეკავშირების მაღალი მაჩვენებელი – 95%, რაც ამცირებს სისხლიდან მის მოხვედრას ქსოვილებში. პრეპარატი ცუდად გადის პლაცენტურ ბარიერში და პრაქტიკულად არ გამოიყოფა დედის რძეში [3]. ფარმაკოკინეტიკის თავისებურებანი – ცხიმში დაბალი ხსნადობა და პლაზმის ცილებთან შეკავშირების მაღალი მაჩვენებელი – ამცირებენ სისტემური ტოქსიკურობის რისკს, სხვა ამიდურ ანესთეთიკებთან შედარებით. პრეპარატის კარგად ჰიდროლიზდება ქსოვილებში და თერაპიული მოქმედების ყველაზე ფაროთ დიაპაზონი აქვს.

ლიდოკაინი ხასიათდება ცხიმში ხსნადობის მაღალი კოეფიციენტით – 4,0. მისი ნახევარდაშლის პერიოდი 90 წუთია, ხოლო პლაზმის ცილებთან შეკავშირების მაჩვენებელი – 65. პრეპარატის 70% მეტაბოლირდება ღვიძლში მიკროსომული 450 ფერმენტული სისტემის მიერ მონოეთილგლიცინის და ქსილიდინის წარმოქმნით. ეს ნაერთები პოტენციურად ტოქსიკურია, აქვთ განგლიობლოკატორული მოქმედება, გავლენას ახდენენ გულის მოქმედებასა და სისხლის წნევაზე. თირკმლის დისფუნქცია არ ცვლის ლიდოკაინის ფარმაკოკინეტიკას, თუმცა იწვევს მეტაბოლიტების კუმულაციას.

ორივე ლოკალური ანასთეიკი თირკმელებით გამოიყოფა, ნაწილობრივ უცვლელი სახით. მათი გამოყენებისთვის შეფარდებით უკუჩვენებას

წარმოადგენს ღვიძლის დისფუნქცია, ქრონიკული გლომერულონეფრიტი და პიელონეფრიტი [5].

პირის ღრუს მაღალი ვასკულარიზაციის გამო შესაძლებელია მოხდეს ანესთეთიკის ინტრავასკულური შეყვანა, რაც გამოიწვევს მისი ტოქსიკური მოქმედების გამოვლენას ცნს-ის და კარდიოვასკულური სისტემის მხრიდან. კვლევებმა აჩვენა, რომ ლიდოკაინის ვენაში შეყვანისას ცნს-ზე ტოქსიკური მოქმედება უფრო ხშირად და მძიმედ ვლინდება, ვიდრე არტიკაინის შემთხვევაში. კარდიოვასკულური პარამეტრები ამ დროს უცვლელი რჩება [6]. ამ გვერდით მოვლენის თავიდან ასაცილებლად რეკომენდებულია ასპირაციული სინჯის ჩატარება.

ადგილობრივი ანესთეთიკების უსაფრთხოება ხასიათდება მათ შეყვანაზე ზოგადი და ადგილობრივი, ალერგიული და ტოქსიკური, რეაქციების არარსებობით. ტოქსიკურობა ანესთეთიკის ძალის პირდაპირპროპორციულია, რადგან ორივე ეს თვისება გამოვლინდება აგზნებადი ნერვული ქსოვილის ბლოკირების საერთო მექანიზმით – ადგილობრივ-გამაუტკივარებელი ეფექტის დროს ეს არის ნერვული გამტარების ბლოკადა, ტოქსიკური მოქმედების დროს კი – ნერვული ცენტრების და გულის გამტარი სისტემის ბლოკადა. ამ მაჩვენებლების ერთეულად მიჩნეულია ნოვოკაინის ძალა და ტოქსიკურობა (1 : 1). არტიკაინი 1,5-ჯერ ძლიერია ლიდოკაინზე [1, 7], ნაკლებტოქსიკურია, მალე გამოდის ორგანიზმიდან და ამიტომ მისი გამოყენება შესაძლებელია 4% ხსნარის სახით. ლიდოკაინი კი გამოიყენება 2% ხსნარის სახით.

თანამედროვე ანესთეთიკების ფართო თერაპიული მოქმედება ვლინდება ტოქსიკურობის დაქვეითების ხარჯზე. ეს უკანასკნელი კი განპირობებულია პლაზმის ცილებთან შეკავშირების უნარით: (არტიკაინი – 95%, ლიდოკაინი – 65%).

ლოკალური ანესთეთიკის უსაფრთხოების შეფასებისას უნდა გავითვალისწინოთ კარპულაში ვაზოკონსტრიქტორების არსებობა. ეს უკანასკნელნი (ადრენალინი, ნორადრენალინი, ფენილპრესინი) აქვეითებენ საანესთეზიო ნივთიერების ტოქსიკურობას ლორწოვანში შეყვანისას და ზრდიან – ვენაში შეყვანისას. კატექოლამინების შემცველობამ საანესთეზიო ხსნარში შეიძლება ზოგადი ხასიათის გართულებები გამოიწვიოს რისკ-ჯგუფის პაციენტებში, თუმცა, მათი არარსებობის შემთხვევაში, ადგილობრივი ანესთეთიკის ეფექტურობა მნიშვნელოვნად მცირდება მათი ვაზოდილატაციური მოქმედების გამო, ეს კი იწვევს ენდოგენური ადრენალინის ისეთი რაოდენობით გადმოსროლას, რომელიც აღემატება ადრენალინის შემცველობას საანესთეზიო ხსნარში.

ჭარბდოზირება იშვიათია და ადგილი აქვს შემთხვევითი ინტრავასკულური ინექციის დროს. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინექციის სისწრაფეს. ამ დროს წარმოიქმნება ადგილობრივი ანესთეთიკის კონცენტრირებული "ტალღა", რომელიც სწრაფად აღწევს ცნს-ს. ლიდოკაინის ვენაში სწრაფმა შეყვანამ შეიძლება გამოიწვიოს ჰიპოტენზია, სისხლძარღვოვანი კოლაპსი, კრუნჩხვა, სუნთქვის ცენტრის დათრგუნვა, მხედველობის დარღვევა, იშვიათად – ალერგიული რეაქციები. არტიკაინის ინტრავენური სწრაფი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინექცია იწვევს ფსიქომოტორულ აგზნებას, შემდეგ კი შეკავებას, ცნობიერების შეცვლას, სუნთქვის მოშლას, ტრემორს, კრუნჩხვას, დიპლოპიას.

ინფილტრაციული ანესთეზიის დროს ლიდოკაინით გამოწვეული გვერდითი მოვლენები შეიძლება იყოს თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, ჰიპოტენზია, ბრადიკარდია, დეზორიენტაცია, ალერგია. არტიკაინის შეყვანის დროს მსგავსი გვერდითი მოვლენები იშვიათად ვლინდება. ორივე შემთხვევაში ალერგიული რეაქცია შესაძლოა გამოწვეულ იქნას არა თვით საანესთეზიო ნივთიერებით, არამედ კარპულაში შემავალი სხვა კომპონენტებით, მაგალითად, კატექოლამინების ანტიოქსიდანტი – ნატრიუმის მეტაბისულფატი სახიფათოა სულფიტ-ალერგიის შემთხვევაში, განსაკუთრებით, ბრონქული ასთმით დაავადებულებში. ანესთეიკის კარპულა შეიცავს ასევე ბაქტერიოსტატიკურ კონსერვანტს – მეთილპარაბენს, რომელიც შეიძლება გახდეს ალერგიული რეაქციის მიზეზი.

თანამედროვე პრაქტიკულ სტომატოლოგიაში, ადგილობრივ საანესთეზიო საშუალებათა დიდ არსენალში, სტომატოლოგის საუკეთესო არჩევანს წარმოადგენს 4% არტიკაინი ადრენალინთან ერთად 1:200000 განზავებით. ეს განპირობებულია ამ პრეპარატის აქტივობის და ტოქსიკურობის ოპტიმალური შეთავსებით, მოქმედების ფართო თერაპიული დიაპაზონით და უსაფრთხოებით.

ლიტერატურა

1. *Анисимова Е.Н.* Автореферат дисс. канд. мед. наук. Москва, 1998.
2. *Кононенко Ю.Г., Рожко Н.М., Рузин Г.П.* Местное обезболивание в амбулаторной стоматологии. Москва, Книга Плюс, 2002.
3. *Grigoleit H.G.* В мат. международного симпозиума "Новые технологии местного обезболивания в стоматологии". Москва, 1996.
4. *Isen D.A.* Dent. Today, 2000, 19, 72-77.
5. *Malamed S.F.* Handbook of Local Anaesthesia. 4th ed. St. Louis, Mosby, 1997.
6. *Oetel R., Rahn R., Kinch W.* Clin Pharmacokinet., 1997, 33, 417-425.
7. *Ragn R.* В мат. международного симпозиума "Новые технологии местного обезболивания в стоматологии". Москва, 1996.
8. *Strichartz G.R., Ritchie J.M.* In: Handbook of Experimental Pharmacology, Vol.81.Berlin, Springer-Verlad,1987.

СРАВНИТЕЛЬНЫЙ АНАЛИЗ МЕХАНИЗМА ДЕЙСТВИЯ МЕСТНЫХ АНЕСТЕТИКОВ – АРТИКАИНА И ЛИДОКАИНА

Н. Цилосани, Н. Сакварелидзе, З. Сакварелидзе*

* Университет им. Григола Робакидзе; Тбилисский государственный медицинский университет

РЕЗЮМЕ

При сравнительной характеристике амидных местных анестетиков – артикаина и лидокаина, в первую очередь, надо учесть особенности их химического строения. Молекула артикаина, в отличие от лидокаина, содержит группу тиофена вместо бензола. Кроме этого, препарат содержит эфирную группу, в отличие от всех остальных амидных анестетиков. Поэтому он быстро гидролизуется эстеразами плазмы, а также микросомальными ферментами печени. Этим фактором обусловлен короткий период полувыведения артикаина ($t_{½}$ – 22 мин.). Его основной метаболит – артикаиновая кислота не является токсическим соединением. Артикаин имеет высокий коэффициент соединения с белками плазмы, поэтому он не попадает в ткани через кровь. Препарат не проходит через плацентарный барьер и практически не выделяется с грудным молоком. Артикаин обладает высокой эффективностью, низкой токсичностью и самым широким диапазонном терапевтического действия. Лидокаин имеет высокий показатель жирорастворимости. Период его полувыведения составляет 90 минут, что уже является явным недостатком. Препарат в основном метаболируется в печени, а его метаболиты – моноэтилглицин и ксилидин проявляют токсическое действие. Лидокаин имеет низкий коэффициент соединения с белками плазмы. Препарат проявляет среднюю длительность действия и уступает артикаину в способности к диффузии.

Учитывая все фармакологические параметры, оптимальным выбором среди местноанестезирующих препаратов для амбулаторных стоматологических вмешательств является 4% раствор артикаина с адреналином в концентрации 1 : 200000.

LOCAL ANESTHETICS – ARTICAINE AND LIDOCAIN: COMPARATIVE ANALYSIS OF THEIR ACTIONS

N. Tsilosani, N. Sakvarelidze, Z. Sakvarelidze*

* Grigol Robakidze University, Tbilisi; Tbilisi State Medical University

SUMMARY

There are many aspects that should be considered when comparing local anaesthetics. When comparing articaine and lidocain, we started out with looking at the basic properties of the drugs. One basic difference is that articaine contains a thiophene ring, compared to the benzene ring of lidocain. Another difference in the properties of these two drugs is that articaine contains an extra ester linkage. This causes articain to be hydrolyzed by plasma esterase, as well as by the microsomal enzyme system in the liver. This causes the half-life for articaine to be approximately 22 min. The major metabolic product of articaine is articainic acid. The systemic toxicity of this

ეროვნული ბიბლიოთეკა

product has not been observed. Articaine has high plasma protein binding, therefore it does not get into tissues via the blood. Preparation does not diffuse through the placenta barrier. Articaine has a high efficiency, low toxicity and the widest range of therapeutic action. Lidocain has a high level of lipid solubility. Its elimination half-life is 90 min, which is an obvious disadvantage. Lidocain is basically metabolized in the liver, and its active metabolites – monoethylglicine and xylidine are potentially toxic. Lidocain has low plasma protein binding, medium lasting action and low diffusion level.

Taking into account pharmacological properties, the optimal choice among local anaesthetics in dentistry is 4% articaine mixed with adrenaline 1:200000.

საქ. მეცნ. აკად. მაცნე, სერ. ბიოლ. A, 2005, ტ. 31, № 6. ISSN-0321-1665
Известия АН Грузии, сер. биол. A, 2005, т. 31, № 6.
Proc. Georgian Acad. Sci., Biol. Ser. A, 2005, vol. 31, No. 6.

იმუდონის გამოყენება პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დისბაქტერიოზის კომპლექსურ თერაპიაში

ნ. ჭელიძე, ნ. დგებუაძე, ნ. მელქაძე, მ. შანიძე, მ. ბაქრაძე

საქართველოს დაცით ადმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი, თბილისი

მიღებულია 25.08.2005

პირის ღრუს ლორწოვანი გარსის მკურნალობის პრობლემა დღემდე სტომატოლოგიის აქტუალურ საკითხად ითვლება. ამის მიზეზია, ერთი მხრივ, ამ დაავადებების დიაგნოსტიკის სირთულე, ხოლო მეორე მხრივ – სწორი მკურნალობის შერჩევა.

აღნიშნულ დაავადებათა ეფექტური მკურნალობისათვის საჭიროა ვიმოქმედოთ როგორც მიკროფლორაზე, ასევე ავადმყოფის იმუნური სისტემის სტატუსის ამაღლებაზე, რისთვისაც საჭიროა კომპლექსური თერაპია. კომპლექსურ მკურნალობაში, პირის ღრუს დისბაქტერიოზისას, ჩვენ ჩავრთეთ ახალი თაობის იმუნომოდულატორი "იმუდონი".

პრეპარატ "იმუდონის" ფარმაკოლოგიური თვისებებიდან გამომდინარე – ფაგოციტოზის აქტივაცია, იმუნოლოგიური უჯრედების სტიმულაცია და იმუნიტეტის სტატუსის ამაღლება, IgA სტიმულაცია, ანტიმიკოზური და ანთების საწინააღმდეგო ეფექტი – ჩატარებული კურნალობის შედეგად აღინიშნა დადებითი შედეგები. ასევე, ის სამაოდ უსაფრთხოა და შეიძლება გამოყენებულ იქნას ორსულებში და ლაქტაციის პერიოდში.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევებით, პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დისბაქტერიოზის ოთხივე ხარისხის დროს, პრეპარატ "იმუდონის" ჩართვამ განაპირობა პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებათა მკურნალობის მაღალი ეფექტურობა.

საკვანძო სიტყვები: პირის ღრუ, იმუნიტეტი, დისბაქტერიოზი, სოკოვანი დაავადებები, "იმუდონი"

პირის ღრუს ლორწოვანი გარსის მკურნალობა დღემდე ითვლება სტომატოლოგიის აქტუალურ პრობლემად. ამის მიზეზია, ერთი მხრივ, ამ დაავადებების დიაგნოსტიკის სირთულე, ხოლო მეორე მხრივ – სწორი მკურნალობის შერჩევა. ლიტერატურიდან ცნობილია, რომ პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებები მიმდინარეობს შეძენილი იმუნოდეფიციტის ფონზე, ან მათი მიმდინარეობის შედეგად ყალიბდება იმუნოდეფიციტური მდგომარეობა. ამ პროცესების მუდმივი თანმხლები მოვლენაა, პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დისბაქტერიოზი [3].

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობილია, რომ პათოლოგიური პროცესი პირის ღრუში, იწყება უმნიშვნელო დარღვევით, რასაც მოყვება იმუნური სტატუსის შეცვლა და დაავადების კლინიკური სურათის ჩამოყალიბება, სადაც გამშვები მექანიზმი პათოფიზიოლოგიური მიკრობია. ნორმაში, პირის ღრუს მიკროფლორის კონცენტრაცია ერთსა და იმავე წონასწორობაშია.

პათოლოგიური მდგომარეობის დროს ადგილი აქვს პირის ღრუს მიკროფლორის შემადგენლობის ცვლილებას – ყალიბდება დისბიოზის სურათი [5].

იმისათვის, რომ მკურნალობა ეფექტური იყოს, საჭიროა ვიმოქმედოთ როგორც მიკროფლორაზე, ასევე უნდა ავამაღლოთ ავადმყოფის იმუნური სისტემის სტატუსი, რისთვისაც აუცილებელია კომპლექსური თერაპია. პირის ღრუს დისბაქტერიოზისას, კომპლექსურ მკურნალობაში ჩვენ ჩავრთეთ ახალი თაობის იმუნომოდულატორი "იმუდონი".

"იმუდონს" აქვს შემდეგი ფარმაკოლოგიური თვისებები: ფაგოციტოზის აქტივაცია, იმუნოლოგიური უჯრედების სტიმულაცია და იმუნიტეტის სტატუსის ამაღლება (იმუნომაკორეგირებელი ეფექტი), IgA სტიმულაცია, ანტიმიკოზური და ანთების საწინააღმდეგო ეფექტი.

"იმუდონი" შეიძლება გამოყენებულ იქნას ორსულებში და ლაქტაციის პერიოდში [6].

მასალა და მეთოდები

შევისწავლეთ პაციენტები პირის ღრუს ლორწოვანი გარსის სხვადასხვა დაავადებებით – ჰერპესული სტომატიტების 22 შემთხვევა, წითელი ბრტყელი ლიქენის – 9, კანდიდოზის – 14. სულ 45 პაციენტი დავყავით ორ ჯგუფად: ძირითადი ჯგუფი, "იმუდონის" ჩართვით (25 პაციენტი) და საკონტროლო ჯგუფი – ტრდიციული მკურნალობა (20 პაციენტი).

მკურნალობის შედეგებს ორივე ჯგუფში ვამოწმებდით მკურნალობამდე, მკურნალობის მე-5 და მე-10 დღეს. ვაკვირდებოდით ავადმყოფების სუბიექტურ და ობიექტურ მონაცემებს – ტკივილი, ცუდი სუნი პირის ღრუდან, ლორწოვანი გარსის ჰიპერემია, ეროზიები და აფთები პირის ღრუში.

შედეგები და მათი განხილვა

სულ 22 პაციენტიდან, 12 შეადგენდა ძირითად ჯგუფს, ხოლო 10 – საკონტროლო ჯგუფს. პაციენტებს აღმოაჩნდათ მწვავე ჰერპესული სტომატიტი (კლინიკური მაგალითი ჰერპესული სტომატიტით დაავადების შემთხვევა – სურ. 1-2), ტუჩებზე მრავლობითი გამინაყარი, ასევე ეროზია და აფთები (სურ. 3-4), წითელი ბრტყელი ლიქენის შემთხვევა (სურ 5-6).

სულ 9 პაციენტიდან, ძირითად ჯგუფში იყო 5 პაციენტი, საკონტროლო ჯგუფში – 4. ლორწოვანზე არსებული პაპულები დაავადების დასაწყისში წამოწეული იყო ლორწოვანი გარსიდან და ქმნიდა ბადისებურ ფოთლისმაგვარ ფონს, რომელიც დაფარული იყო თეთრი ფიბრინული ნადებით.

კანდიდოზის შემთხვევა. სულ 14 პაციენტი – 8 ძირითად ჯგუფში, 4 საკონტროლო ჯგუფში. ბაქტერიული ანალიზის თანახმად, აღმოჩნდა Can-

dida albicans, უხვი ზრდით. ენა ჰიპერემიული, შეშუპებული (ანთების ყველა ნიშნით), მძაფრად გამოხატული ძაფისებური დვრილებით, ნერწყვი შემდვრეული, წებოვანი, მოყვითალო-მოთეთრო ჰიპერპლასტიური ნადებით.



სურ. 1-2. ჰერპესული სტომატიტი. ა – მკურნალობამდე, ბ – მკურნალობის შემდეგ.





სურ. 3-4. ეროზია და აფთები. ა – მკურნალობამდე, ბ – მკურნალობის შემდეგ.

სურ. 5-6. წითელი ბრტყელი ლიქენი. ა – მკურნალობამდე, ბ – მკურნალობის შემდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– ტრადიციულ მკურნალობასთან ერთად ჩავრთეთ პრეპარატი "იმუდონი". მკურნალობა ტარდებოდა შემდეგი სქემით ძირითად ჯგუფში:

– ანთების საწინააღმდეგო, სოკოს საწინააღმდეგო მკურნალობა;

– პირის ღრუს სანაცია;

– ანტისეპტიკური დამუშავება: სტაციონარში – იოდინოლისა და წყალბადის ზეჟანგის 3%-იანი ხსნარი; სახლში – კორსოდილის 0,1%-იანი ნატრიუმვერდეს ხსნარი 3-ჯერ დღეში, 10 დღის განმავლობაში;

– შესაბამისი პიოფაგებით დამუშავება;

– ვიტამინოთერაპია;

– "იმუდონი" 8 აბი დღეში, 10 დღის განმავლობაში;

– საკონტროლო ჯგუფში – "იმუდონის" გარეშე [4].

ცხრილი 1

"იმუდონის" გამოყენება
პირის ღრუს ლორწოვანი გარსის კომპლექსურ თერაპიაში

დაავადების მიმდინარეობა		ჰერპესული სტომატიტი	წითელი ბრტყელი ლიქენი	კანდიდოზი	სულ
ძირითადი ჯგუფი		12	5	8	25
საკონტროლო ჯგუფი		10	4	6	20
კლინიკური გა-ჯანსაღების სურათი	ძირითადი ჯგუფი	8	3	6	17
	საკონტროლო ჯგუფი	5	2	3	10
დაავადების მკვეთრი გაუმჯობესება	ძირითადი ჯგუფი	2	1	1	4
	საკონტროლო ჯგუფი	3	1	2	6
დაავადების სუს-ტად გამოხატული გაუმჯობესება	ძირითადი ჯგუფი	2	1	1	4
	საკონტროლო ჯგუფი	2	1	1	4
არაეფექტური მკურნალობა	ძირითადი ჯგუფი	–	–	–	–
	საკონტროლო ჯგუფი	–	–	–	–

ჩატარებული მკურნალობის ფონზე ავადმყოფთა ორივე ჯგუფში აღინიშნება დადებითი დინამიკა, მაგრამ საკონტროლო ჯგუფში (ტრადიციული მკურნალობა) გაუმჯობესება უფრო გვიან აღინიშნა.

ტკივილის სინდრომი და სიმშრალის შეგრძნება ძირითად ჯგუფში 4 დღის შემდეგ შემცირდა, საკონტროლო ჯგუფში კი – 10 დღის შემდეგ.

პირის ღრუდან ცუდი სუნის გაქრობა ძირითად ჯგუფში აღინიშნა მკურნალობიდან მე-3 დღეს, საკონტროლო ჯგუფში კი ის შენარჩუნდა დიდხანს და მკურნალობის მხოლოდ მე-8 დღეს შემცირდა.

ლორწოვანი გარსის ჰიპერემია საკონტროლო ჯგუფში მე-10 დღეს შემცირდა, ხოლო ძირითად ჯგუფში – მე-5 დღეს.

აღინიშნებოდა, აგრეთვე, დისბაქტერიოზის ნიშნების გაქრობა პირის ღრუს ლორწოვან გარსზე – ძირითად ჯგუფში, ხოლო საკონტროლო ჯგუფში – III და IV სტადიიდან I და II სტადიებზე გადასვლა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებები ხასიათდება, ძირითადად, რეციდიული მიმდინარეობით, რაც გამოიხატება ქსოვილების ანთებითი რეაქციით, იმუნური სისტემის დაქვეითებით და დაავადების მდგრადობით სხვადასხვა თერაპიული ღონისძიებების მიმართ [2]. ამასთან დაკავშირებით, სასურველად მიგვაჩნია პრეპარატ "იმუდონის" გამოყენება, რომელიც ეფექტურია როგორც ლორწოვანი გარსის დაავადებების მკურნალობისას, ასევე პროფილაქტიკის მიზნით [1].

ლიტერატურა

1. *Елизарова В.М., Дроботко Л.Н.* Тезисы МОРАГ, 2000, Москва, 151.
2. *Львова Л.В.* Стоматолог, 2001, 4, 4-7.
3. *Рабинович И.М.* Клиническая стоматология, 2001, 3, 70-75.
4. *Рабинович И.М., Рабинович О.Ф.* Клиническая Стоматология, 2000, 3, 64-65.
5. *Ронь Т.И.* Маэстро стоматологии, 2001, 5, 55.
6. *Шумский А.В.* Стоматология, 2000, 6, 53-54.

ПРИМЕНЕНИЕ "ИМУДОНА" ПРИ КОМПЛЕКСНОЙ ТЕРАПИИ ДИСБАКТЕРИОЗА СЛИЗИСТОЙ ОБОЛОЧКИ РОТОВОЙ ПОЛОСТИ

Н. Челидзе, Н. Дгебуадзе, Н. Мелкадзе, М. Шанидзе, М. Бакрадзе

Грузинский университет им. Давида Агмашенебели, Тбилиси

РЕЗЮМЕ

Проблема лечения слизистой оболочки полости рта и сегодня считается актуальной проблемой стоматологии. Причиной этого, с одной стороны, является сложность диагностики заболевания, а с другой – выбор правильного лечения. Из литературы известно, что заболевания слизистой оболочки полости рта протекают на фоне приобретенного иммунодефицита или же, иммунодефицитное состояние формируется в результате этого заболевания. Постоянным сопутствующим явлением этих процессов является дисбактериоз слизистой оболочки рта.

Для достижения эффективности лечения, воздействовать следует как на микрофлору, так и на повышение статуса иммунной системы больного, для чего необходима комплексная терапия. При лечении дисбактериоза слизистой оболочки рта, к процессу традиционного лечения мы подключаем иммуномодулятор нового поколения "Иммудон".

Исходя из фармакологических свойств препарата "Иммудон" (активация фагоцитоза, стимуляция иммунологических клеток и повышение статуса иммунитета, стимуляция IgA, антимикозный и противовоспалительный эффект), в результате проведенного лечения, отмечены положительные результаты. Препарат достаточно безопасен и может быть использован в период беременности и в период лактации.

Проведенные нами исследования, в период всех четырех степеней дисбактериоза, показали, что использование препарата "Иммудон" весьма эффективно при лечении слизистой оболочки полости рта.

ეროვნული ბიბლიოთეკა

USE OF "IMMUDON" PREPARATION IN COMBINED TREATMENT OF ORAL DYSBACTERIOSES

N. Chelidze, N. Dgebuadze, N. Melkadze, M. Shanidze, M. Bakradze

David Agmashenebeli Georgian University, Tbilisi

SUMMARY

The problem of treatment of the oral mucous is still considered as the urgent issue of dentistry. This is determined, firstly, by complexity of diagnosis of such diseases and, on the other hand, by correct selection of treatment methods. The reference data show that diseases of the oral mucous proceed on the background of acquired immune deficiency, or on the base of these diseases an immune deficiency does develop. Dysbacteriosis of mucous membrane of the mouth cavity is regular accompanying phenomenon of these processes.

Efficient treatment requires simmultaneous influence over the micro-flora and elevation of the immune status of the patient, which could be accomplished by complex therapy. While treating the oral dysbacteriosis we implemented the new generation immune modulator Immudon.

Due to pharmacologic properties of "Immudon" (activation of phagocytosis, immunologic cell stimulation and heightening of immunity status, IgA stimulation, anti-mucous and anti-inflammation effect) treatment of our patients yielded desirable results. The preparation is safe and might be used in women during pregnancy and lactation.

საქ. მეცნ. აკად. მაცნე, სერ. ბიოლ. A, 2005, ტ. 31, № 6. ISSN-0321-1665
Известия АН Грузии, сер. биол. A, 2005, т. 31, № 6.
Proc. Georgian Acad. Sci., Biol. Ser. A, 2005, vol. 31, No. 6.

დაუსრულებელი ოსტეოგენეზის დროს კლინიკური ფორმების, დენსიტომეტრიული და ბიოქიმიური მაჩვენებლების კორელაციური კავშირი

თ. ჭიღლაძე, მ. ყვანია

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

მიღებულია 27.07.2005

დაუსრულებელი ოსტეოგენეზი (osteogenesis imperfecta – OI) შემაერთებელი ქსოვილის იშვიათი მემკვიდრეობითი დაავადებაა, რომლის დამახასიათებელი თავისებურებაა I ტიპის კოლაგენის ბიოსინთეზის დარღვევა და მეორადი ოსტეოპოროზის გამოვლინება. კვლევის მიზანი იყო დაუსრულებელი ოსტეოგენეზით დაავადებულ ბავშვებში, ძვლის სტრუქტურული ცვლილებების განსაზღვრა დენსიტომეტრიით (ორენერგეტიკული რენტგენაბსორბციული მეთოდით) და ბიოქიმიური მაჩვენებლებით. გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ OI-ის დროს კლინიკური, დენსიტომეტრიული და ბიოქიმიური მონაცემები პირდაპირ კორელაციურ კავშირშია ერთმანეთთან.

საკვანძო სიტყვები: დაუსრულებელი ოსტეოგენეზი, ძვლის მინერალური სიმკვრივე, ბავშვები

დაუსრულებელი ოსტეოგენეზი (osteogenesis imperfecta – OI) შემაერთებელი ქსოვილის ერთ-ერთი იშვიათი მემკვიდრეობითი დაავადებაა, რომლის კლინიკურ სურათში წამყვანია ლულოვანი ძვლების დეფორმაცია და ხშირი მოტეხილობების არსებობა (2-დან 150-მდე და მეტი), რომლებიც ცხადი უშუალო მიზეზის და ძალის მოქმედების გარეშეც ვითარდება. დამახასიათებელია და პრაქტიკულად ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დაუსრულებელი ოსტეოგენეზის დროს ცვლილებები საყრდენ-მამოძრავებელ სისტემაში შეიმჩნევა ადრეული ასაკიდან. ისინი არ გამოვლინდებიან იზოლირებულად, არამედ ახიანებენ მთელ საყრდენ-მამოძრავებელ სისტემას, მაგრამ ყველაზე მეტად ცვლილებები აღინიშნება გრძელი ლულოვანი ძვლების დიაფიზურ ნაწილში. მოტეხილობა შეიძლება განვითარდეს სპონტანურად, როგორც მუცლად ყოფნის პერიოდში, მშობიარობის დროს ან სიცოცხლის პირველ დღეებში. როგორც წესი, მოტეხილობები გრძელდება პუბერტატულ ასაკამდე [1].

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაავადების დამახასიათებელი თავისებურებაა I ტიპის კოლაგენის ბიოსინთეზის დარღვევა და მეორადი ოსტეოპოროზის გამოვლინება. ის ვრცელდება, როგორც ღრუბლოვან, ასევე კორტიკალურ შრეში. დიფუზური ოსტეოპოროზი გამოწვეულია ძვლოვანი ქსოვილის გაძლიერებული რეზორბციით და გარდაქმნით, რომელსაც თან ახლავს ძვლოვანი ხარიხების შემცირება ძვლის მოცულობით ერთეულში [2]. ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს ხანგრძლივი იმობილიზაციის ფონზე სტატიკური დატვირთვის შემცირებას. 1984 წელს შილლენცის მიერ შემუშავებული იქნა დაუსრულებელი ოსტეოგენეზის კლასიფიკაცია, რომელიც მოიცავს ოთხ ძირითად ტიპს და ეფუძნება მოტეხილობების სიხშირეს, დამემკვიდრებასა და კლინიკური სურათის განვითარების პროგნოზს [3].

OI-ით დაავადებულთა ფუნქციური აქტივობის ხელშემწყობი სამკურნალო მიდგომები საკმაოდ მწირ კლინიკურ გამოცდილებას, ცალკეულ შემთხვევების აღწერასა და მცირე რეტროსპექტულ გამოკვლევებს ეფუძნება, რომელთა მიხედვითაც ამა თუ იმ მკურნალობის ეფექტურობა გარკვევით ვერ განისაზღვრა [4].

ჩვენი კვლევის მიზანი იყო ორენერგეტიკული რენტგენოგრაფიულად დადასტურებული მეოთხდიდ და ბიოქიმიური მაჩვენებლების საფუძველზე დაუსრულებელი ოსტეოგენეზით დაავადებულ ბავშვებში განგვესაზღვრა ძვლის მინერალური სიმკვრივე, სისხლსა და შარდში ძვლის მეტაბოლიზმის ზოგიერთი მარკერი, რაც დაავადების მკურნალობის სწორი წარმართვის და მოტეხილობების პრევენციის საშუალებას მოგვცემს.

მასალა და მეთოდები

ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა, დაუსრულებელი ოსტეოგენეზით დაავადებული 32 ბავშვი, მათ შორის 18 ვაჟი და 14 გოგონა. ავადმყოფები, დაავადების ტიპების მიხედვით, განაწილდნენ 3 ჯგუფად: I ჯგუფში გაერთიანდა პირველი ტიპის OI-ს მქონე პაციენტები (n = 11), II ჯგუფში – მესამე ტიპის OI, (n = 8), III ჯგუფში – მეოთხე ტიპის OI (n = 13).

ცხრილი 1

პაციენტთა რაოდენობა დაავადების ტიპის მიხედვით

OI-ს ტიპი	პაციენტთა რაოდენობა	საშუალო ასაკი
I	11	9,45 ± 1,04
III	8	5,88 ± 1,41
IV	13	6,46 ± 1,03

ჩვენი დაკვირვების ქვეშ მყოფ ავადმყოფთა შორის დაუსრულებელი ოსტეოგენეზის მეორე ტიპის მქონე პაციენტები არ აღმოჩნდა. ძვლის მინერალური სიმკვრივის განსაზღვრისათვის გამოყენებული იქნა ძვლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დენსიტომეტრიული კვლევა (პერიფერიული ორენერგეტიკული რენტგენოაბსორბციული მეთოდით), ასევე, სისხლში განსაზღვრული იქნა საერთო კალციუმი, ფოსფორი და ტუტე ფოსფატაზა, შარდში – კალციუმი და კრეატინინი.

პერიფერიული ორენერგეტიკული რენტგენოაბსორბციული მეთოდი ჩატარებული იქნა სხივის და იდაყვის ძვლების დისტალურ და პროქსიმალურ ბოლოებზე. გამოკვლევის ამ მეთოდის დროს ფოტონების წყაროდ გამოიყენება რენტგენის მილი, რომელიც იძლევა ფოტონების ნაკადის ინტენსიფიცირების საშუალებას, რაც, საბოლოო ჯამში, იძლევა ზუსტ გამოსახულებას და ზრდის გაზომვის სიზუსტეს. კვლევა ტარდებოდა პერიფერულ დენსიტომეტრზე pDEXA-NORLAND. ეს არის ზუსტი და სწრაფი მეთოდი, რომელიც ხასიათდება მცირე გამოსხივებით, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოცემული კონტინგენტის ბავშვებისთვის.

კვლევის დაწყებისას, ძვლის დენსიტომეტრიით, პერიფერიული ორენერგეტიკული რენტგენოაბსორბციული მეთოდით (pDEXA), OI-თი დაავადებულ ბავშვებში განისაზღვრა ძვლის მინერალური სიმკვრივე. კორტიკალური ძვლის მინერალური სიმკვრივის მაჩვენებლები შევადარეთ ჯანმრთელი ბავშვების ასაკობრივ ნორმას.

შედეგები და მათი განხილვა

მიღებული შედეგების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ჩვენს მიერ შესწავლილ ავადმყოფთა I ჯგუფში დაავადებულთა კორტიკალური შრის მინერალური სიმკვრივე (0,35 ± 0,03) აღმოჩნდა 2,6-ჯერ შემცირებული შესაბამის ასაკობრივ ნორმასთან (0,92 ± 0,02) შედარებით.

II ჯგუფში – მინერალური სიმკვრივე 3,6-ჯერ ნაკლები იყო და შეადგინა 0,23 ± 0,04 გ/სმ^2 (ნორმა 0,82 ± 0,04 გ/სმ^2).

III ჯგუფში ძვლის მინერალური სიმკვრივის გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ ძვლის მინერალური სიმკვრივე კორტიკალურ შრეში (0,31 ± 0,04 გ/სმ^2) 2,7-ჯერ იყო შემცირებული სათანადო ასაკობრივ ნორმასთან (0,084 ± 0,02 გ/სმ^2) შედარებით.

როგორც შედეგებიდან ჩანს, კორტიკალური შრის მინერალური სიმკვრივე სამივე ჯგუფის გამოკვლეულ პაციენტებში შემცირებული აღმოჩნდა; უფრო მეტად II ჯგუფში, ვიდრე I და III ჯგუფებში.

ჩვენი დაკვირვების ქვეშ მყოფ პაციენტთა სამივე ჯგუფში, ბიოქიმიური გამოკვლევისას დილის შარდში დადგინდა ჰიპერკალციურია (6,77 ± 0,06 მმოლ, 6,91 ± 0,06 მმოლი და 6,96 ± 0,15 მმოლი, შესაბამისად), სისხლში, უმრავლეს შემთხვევაში, ფოსფორი შემცირებული იყო და შეადგინა: I ჯგუფში 0,42 ± 0,04 მმოლი, II ჯგუფში – 0,40 ± 0,05 მმოლ; III ჯგუფში – 0,40 ± 0,03 მმოლი. ტუტე ფოსფოტაზა სისხლში მომატებული აღმოჩნდა და პაციენტთა უმრავლესობაში შეადგინა 3,15 ± 0,06 მმოლი; 3,14 ± 0,05 მმოლი და 3,10 ± 0,06 მმოლი, შესაბამისად. სისხლში საერთო კალციუმი და შარდში კრეატინინი ნორმის ფარგლებში იყო (ცხრილი 2).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 2

OI-თი დაავადებულ ბავშვთა ბიოქიმიური კვლევის შედეგები

ჯგუფი	საერთო Ca სისხლში, მმოლ	P სისხლში, მმოლ	ტუტე ფოს-ფატაზა, მმოლ	Ca შარდში, მმოლ	კრეატინინი, მგ/კგ
I	2,56 ± 0,07	0,42 ± 0,04	3,15 ± 0,06	6,77 ± 0,06	17,60 ± 0,89
II	2,58 ± 0,05	0,40 ± 0,05	3,14 ± 0,05	6,96 ± 0,15	15,58 ± 1,0
III	2,58 ± 0,07	0,40 ± 0,03	3,10 ± 0,06	6,91 ± 0,06	16,38 ± 0,84

ჩატარებულმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ OI-ის დროს კლინიკური, დენსიტომეტრიული და ბიოქიმიური მონაცემები პირდაპირ კორელაციურ კავშირშია ერთმანეთთან. მეტად გამოხატული პათოლოგიური ცვლილებები აღინიშნება დაავადების მესამე ტიპის დროს, პირველ და მეორე ტიპთან შედარებით. აღნიშნული პარამეტრების გათვალისწინებით შესაძლებელია მკურნალობის სქემების შემუშავება, დახვეწა და მკურნალობის ეფექტურობაზე მსჯელობა.

ლიტერატურა

1. *Волков М.В.* Болезни костей у детей. Москва, Медицина, 1974.
2. *Риггз Л.Б., Мелтон Дж.III.Л.* Остеопороз. Москва, 2000.
3. *Engelbert R.H., Uiterwaal C.S.P.M., Gulmans V.A.M., Pruijs H.* J. Pediatr., 2000, 137, 397-402.
4. *Marini J.C.* New England J. Med., 1998, 339, 986-987.

КОРРЕЛЯЦИОННАЯ СВЯЗЬ МЕЖДУ КЛИНИЧЕСКИМИ ФОРМАМИ И ДЕНСИТОМЕТРИЧЕСКИМИ И БИОХИМИЧЕСКИМИ ПОКАЗАТЕЛЯМИ ПРИ НЕСОВЕРШЕННОМ ОСТЕОГЕНЕЗЕ

Т. Чигладзе, М. Жвания

Тбилисский государственный медицинский университет

РЕЗЮМЕ

Несовершенный остеогенез (osteogenesis imperfecta – OI) редкое наследственное заболевание, характеризующееся нарушением биосинтеза коллагена I типа и проявлением вторичного остеопороза. Целью нашего исследования являлось изучение структурных изменений костной ткани у детей с несовершенным остеогенезом, с помощью денситометрии (методом двухэнергетической рентгеновской абсорбциометрии) и биохимических показателей. Исследования показали, что при OI клинические, денситометрические и биохимические показатели находятся в прямой корреляционной связи.

CORRELATION BETWEEN THE CLINICAL FORMS AND DENSITOMETRIC AND BIOCHEMICAL INDICES IN THE *OSTEOGENESIS IMPERFECTA*

T. Chigladze, M. Zhvania

Tbilisi State Medical University

SUMMARY

Osteogenesis imperfecta (OI) is a rare inheritable disease of collagen tissue. It is characterized with impairment of biosynthesis of type I collagen and secondary osteoporosis. The goal of the investigation was to determine the bone mineral density in the children with OI, and to compare the data obtained with the methods of dual-energetic X-ray absorption and results of the biochemical tests. According to the investigations, the results of clinical data, biochemical tests, and densitometry are in direct correlation.

საქ. მეცნ. აკად. მაცნე, სერ. ბიოლ. A, 2005, ტ. 31, № 6. ISSN-0321-1665
Известия АН Грузии, сер. биол. А, 2005, т. 31, № 6.
Proc. Georgian Acad. Sci., Biol. Ser. A, 2005, vol. 31, No. 6.

ღვიძლის ექსპერიმენტული ციროზის დროს სინუსოიდურ უჯრედებში განვითარებული მორფო-ფუნქციური ცვლილებები

თ. ჭიჭინაძე, ი. არველაძე, თ. ჯორბენაძე

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. ნათიშვილის სახელობის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი; ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; სამკურნალო-სადიაგნოსტიკო ცენტრი

მიღებულია 2.09.2005

კვლევის მიზანი იყო ღვიძლის ექსპერიმენტული ციროზის დროს სინუსოიდურ უჯრედებში (ენდოთელიოციტები, ლიპოციტები, კუპფერის და pit-უჯრედები) განვითარებული მორფო-ფუნქციური ცვლილებების შესწავლა. გამოკვლეულია 20 ზრდასრული თეთრი ვირთაგვა. ღვიძლის ციროზის მოდელირება ხდებოდა 0,1 მლ/100გ. CCl_4-ის კანქვეშ შეყვანით. ინექციები ხორციელდებოდა კვირაში ორჯერ. საცდელი ცხოველები დაყოფილი იყო ოთხ ჯგუფად: I ჯგუფში შემავალი ვირთაგვები დაიკლა 21 ინექციის შემდეგ; II ჯგუფის – 21 ინექციის და 1-კვირიანი ინტერვალის შემდეგ; III ჯგუფის – 40 ინექციის შემდეგ; IV ჯგუფის – 40 ინექციის და 2-კვირიანი ინტერვალის შემდეგ. გამოყენებულია ჰისტოლოგიური, ელექტრონულ-მიკროსკოპიული და Ag-NOR ცილებზე შეღებვის ელექტრონულ-მიკროსკოპიული ციტოქიმიის მეთოდები. ღვიძლში სინუსოიდური უჯრედების და ცალ-ცალკე ამ ოთხი ტიპის უჯრედების მიერ დაკავებული შეფარდებითი მოცულობის განსაზღვრისათვის გამოვიყენეთ წერტილოვანი თვლის მეთოდი. I ჯგუფში ადგილი აქვს ლიპოციტების, კუპფერის და pit-უჯრედების პროლიფერაციულ და მეტაბოლურ აქტივობას, რომელიც შენარჩუნებულია მესამე ჯგუფშიც. ენდოთელიოციტების დესტრუქცია I ჯგუფში წარმოდგენილია ფოკალური ციტოლიზით და პატარა უბნების ეგზოციტოზით სინუსოიდების სანათურში; III ჯგუფში კი ვითარდება ტოტალური ციტოლიზი, რომელიც შეუქცევადი ხასიათისაა. სინუსოიდური უჯრედების შეფარდებითი მოცულობა იზრდება, მაგრამ მათში ენდოთელიოციტების ხვედრითი წილი განუხრელად მცირდება. ენდოთელიოციტების დესტრუქცია განაპირობებს, ერთი მხრივ სინუსოიდების სანათურის შევიწროებას, მეორე მხრივ – ენდოთელიური საფარის მთლიანობის რღვევას.

საკვანძო სიტყვები: ღვიძლის სინუსოიდური უჯრედები, CCl_4, ექსპერიმენტული ციროზი, ენდოთელიოციტები, კუპფერის უჯრედები, ლიპოციტები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღვიძლის დაავადებები მთელ მსოფლიოშია ფართოდ გავრცელებული. მხოლოდ აშშ-ში ღვიძლის ქრონიკული პათოლოგიით, მათ შორის ციროზით, დაახლოებით 5,5 მილიონი ადამიანია დაავადებული [4]. ღვიძლის ციროზის დროს განვითარებული სტრუქტურული ცვლილებები კარგად არის შესწავლილი, მაგრამ ნაკლები ყურადღება ეთმობა ღვიძლის სინუსოიდურ (არაპარენქიმულ) უჯრედებს. ამასთან, ცნობილია, რომ ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ ორგანოს დაავადებათა პათოგენეზში [2]. ლიტერატურის ანალიზმა გვიჩვენა, რომ ღვიძლის ციროზის დროს სინუსოიდური უჯრედების პროლიფერაციული და მეტაბოლური აქტივობა, თანამედროვე მორფოლოგიური მეთოდებით არ შესწავლილა. კერძოდ, არ გამოუყენებიათ Ag-NOR ცილებზე შედეგვის ელექტრონულ-მიკროსკოპიული ციტოქიმიის მეთოდი, რიბოსომული ცისტრონების აქტივობის შეფასების ყველაზე თანამედროვე და საიმედო საშუალება [3].

ჩვენი კვლევის მიზანი იყო ღვიძლის ექსპერიმენტული ციროზის დროს სინუსოიდურ უჯრედებში (ენდოთელიოციტები, ლიპოციტები, კუპფერის და pit-უჯრედები) განვითარებული მორფო-ფუნქციური ცვლილებების შესწავლა.

მასალა და მეთოდები

კვლევა ჩატარდა 20 ზრდასრულ თეთრ ვირთაგვაზე. ღვიძლის ციროზის მოდელირება ხდებოდა 0,1 მლ/100გ 40% CCl_4-ის კანქვეშ შეყვანით. ინექციები ხორციელდებოდა კვირაში ორჯერ. საცდელი ცხოველები დაყოფილი იყო ოთხ ჯგუფად: I ჯგუფის ვირთაგვები დაიკლა 21 ინექციის შემდეგ; II ჯგუფის – 21 ინექციის და 1-კვირიანი ინტერვალის შემდეგ; III ჯგუფის – 40 ინექციის შემდეგ; IV ჯგუფის – 40 ინიექციის და 2-კვირიანი ინტერვალის შემდეგ. ცხოველებს ვკლავდით დეკაპიტაციით, ეთერის ნარკოზის ქვეშ. სამი თეთრი ვირთაგვა შეადგენდა საკონტროლო ჯგუფს.

მასალა ჰისტოლოგიური კვლევისათვის ფიქსირდებოდა 10% ნეიტრალურ ფორმალინში. აღმავალი კონცენტრაციის სპირტებსა და ქლოროფორმში გატარების შემდეგ, მასალა ყალიბდებოდა პარაფინში და მზადდებოდა 5 და 10 მკმ სისქის ანათლები. პრეპარატები იღებებოდა ჰემატოქსილინით და ეოზინით. ტრანსმისიული ელექტრონულ-მიკროსკოპიული კვლევისათვის მასალა თავსდებოდა 2,5% გლუტარალდეჰიდის ხსნარში, 3 საათის განმავლობაში, შემდეგ კი – ოსმიუმის ოთხჟანგის 1% ხსნარში, 1 საათის განმავლობაში. ორივე ფიქსატორი მზადდებოდა ფოსფატურ ბუფერზე. მასალა ტარდებოდა აღმავალი კონცენტრაციის სპირტებში და შემდეგ აბსოლუტურ აცეტონში. ჩაყალიბება ხდებოდა ეპონის ნარევში. პოლიმერიზაცია წარმოებდა 24 საათის განმავლობაში. ყველა შემთხვევაში, საორიენტაციოდ მზადდებოდა ნახევრად თხელი ანათლები, რომლებიც იღებებოდა მეთილენის ლურჯით, ულტრათხელი ანათლები კი იღებებოდა ურანილაცეტატით და ტყვიის ციტრატით. არგენტოფილური ცილები იღებებოდა Zacepina et al., (1984) მოდიფიკაციით: დაქუცმაცებული ქსოვილი ფიქსირდებოდა 0,1 ზერენსენის (pH – 7,2) ფოსფატურ ბუფერზე დამზადებულ 1% გლუტარალდეჰიდის ხსნარში, 10 წთ, 4°C ტემპერატუ-

რაზე. გარეცხვის შემდეგ ქსოვილი ფიქსირდებოდა კარნუას ხსნარში 10 წთ, 4°C ტემპერატურაზე. შედებვის წინ ქსოვილები გადაგვქონდა კლებადი კონცენტრაციის სპირტებში და ბიდისტილირებულ წყალში: 50% ეთანოლი 2-ჯერ, 10 წთ; 30% ეთანოლი 2-ჯერ 10 წთ და შემდეგ ბიდისტილატში. შედებვას ვახდენდით მინის ან პოლიეთილენის სინჯარებში აზოტმჟავა ვერცხლის წყალხსნარის მეშვეობით (1 გ, 1 მლ ბიდისტილირებულ წყალზე). შტატივს სინჯარებით ვათავსებდით ყინულის აბაზანაში და ყოველ სინჯარაში მიკროპიპეტით შეგვქონდა 0,2 მლ აზოტმჟავა ვერცხლი და 0,2 მლ ფორმალდეჰიდი მეთანოლით (შეფარდებით 4:1). შემდეგ შტატივს სინჯარებით ვათავსებდით ულტრათერმოსტატში 60°C-ზე და ვახდენდით ინკუბაციას 3, 5, 10, 20, 40 წთ განმავლობაში. ინკუბაციის პერიოდში შემღებავი სითხე იმღვრევა; რეაქციას ვაჩერებდით სინჯარებში ყინულოვანი ბიდისტილატის დამატებით. შემდეგ მასალა ირეცხებოდა ბიდისტილირებული წყლით 5-ჯერ 30 წთ, 4°C-ზე. დანარჩენი პროცედურები იყო იგივე, რაც ტრანსმისიული ელექტრონული მიკროსკოპიისათვის. Ag-NOR-ცილებზე შედებილი ულტრათხელი ანათლები ისინჯებოდა ტყვიის და ურანის მარილებით კონტრასტირებამდე და კონტრასტირების შემდეგ. ღვიძლში სინუსოიდური უჯრედების ხვედრითი წილის და მათი ურთიერთშეფარდების განსაზღვრისათვის გამოვიყენეთ წერტილოვანი თვლის მეთოდი [6].

შედეგები და მათი განხილვა

CCl_4-ის 21 ინექციის შემდეგ, წერტილოვანი თვლის მეთოდით სინუსოიდური უჯრედების შეფარდებითი მოცულობის განსაზღვრამ გვიჩვენა, რომ ღვიძლში მათი ხვედრითი წილი შეადგენს 48,4%-ს. "ნორმალურ", ზრდასრულ ვირთაგვებზე ჩატარებული ანალოგიური გათვლით, მათი ხვედრითი წილი, ღვიძლის უჯრედების მხოლოდ 34,5% იყო [1]. მატებამ შეადგინა 13,9%. ბუნებრივი იქნებოდა დავუშვათ, რომ სინუსოიდური უჯრედების შეფარდებითი მოცულობის ზრდა, გარკვეულად ცენტრილობულარული ჰეპატოციტების ნეკრობიოზმა და აპოპტოზმა განაპირობა, მაგრამ საცდელი ცხოველების პრეპარატებზე ჰეპატოციტების ალტერაცია, ძირითადად ელიმინაციის გარეშე, დესტრუქციით მოისაზღვრება. ეს პროცესი კი ჰეპატოციტების მიერ დაკავებულ შეფარდებით მოცულობაზე არსებით ზეგავლენას ვერ მოახდენს. გარდა ამისა, სინუსოიდური უჯრედების რეალურ ხვედრით წილს მნიშვნელოვნად ამცირებს ლიპოციტების ლიპოფიბრობლასტებად და pit-უჯრედების დიდ გრანულარულ ლიმფოციტებად ტრანსფორმაცია. შესაბამისად, მათი ზუსტი აღრიცხვა ვეღარ ხდება.

ღვიძლის სინუსოიდური უჯრედების მაღალ პროლიფერაციულ და მეტაბოლურ აქტივობას გარკვეულწილად ადასტურებს ის, რომ კუპფერის უჯრედები დიდი რაოდენობით ელინდება და მათ კარგად აქვთ განვითარებული ციტოპლაზმური გრანულები. ხშირად, ისინი ნეკრობიოზული ცვლილებების მქონე ჰეპატოციტების გვერდით არიან განლაგებული. სავარაუდოდ, მათი გამოსვლა სინუსოიდის კედლიდან ერთდროულად ხელს უწყობს სანათურის შევიწროვებას და ენდოთელიური საფარის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთლიანობის დარღვევას. სინუსოიდური ჰემოკაპილარების სანათურის შევიწროვებას და ბარიერული ფუნქციის დარღვევას, უპირატესად მაინც ენდოთელიური უჯრედების დესტრუქცია, კერძოდ, მათი ციტოპლაზმის გაჯირჯვება განაპირობებს. კოლიკვაციის შედეგად, ენდოთელიოციტები მომრგვალო ფორმას იღებენ და ღრმად იჭრებიან ჰემოკაპილარის სანათურში (სურ. 1). დვიძლის სინუსოიდების სანათურის შევიწროვებას განაპირობებს, აგრეთვე, ენდოთელიური უჯრედების ფოკალური ციტოლიზის შედეგად წარმოქმნილი, სხვადასხვა ზომის, ციტოპლაზმის ეგზოციტირებული ნაწილები. ეს ნაწილები, უპირატესად, მიკროკლაზმატოზების სახით სანათურშია განლაგებული. სანათურის შევიწროვებასთან ერთად, ენდოთელიოციტების დესტრუქცია იწვევს ბარიერული ფუნქციის დარღვევას. გაჯირჯვების შედეგად, მათი სიგრძივი ზომები მნიშვნელოვნად მცირდება, რის გამოც ადგილი აქვს უჯრედშორისი კავშირების წყვეტას. ენდოთელიოციტებს შორის სხვადასხვა ზომის, მათ შორის საკმაოდ მოზრდილი, ნაპრალები ჩნდება. ეს, თავის მხრივ, განაპირობებს სისხლის ფორმიანი ელემენტების გადასვლას დისეს სივრცეში.



სურ. 1. ზრდასრული თეთრი ვირთაგვის დვიძლი, CCl_4-ის 21 ინექციის შემდეგ. გაჯირჯვებული ენდოთელიური უჯრედი ავიწროებს სინუსოიდის სანათურს. გადიდება ×8000.

საცდელი ცხოველების სინუსოიდური უჯრედების მაღალ მეტაბოლურ აქტივობას ადასტურებს მათში შესაბამისი მორფოლოგიური სუბსტრატის

ჩამოყალიბება. უმრავლეს შემთხვევაში, საკონტროლო ჯგუფის ცხოველების ოთხივე ტიპის სინუსოიდურ უჯრედებს აქვთ არააქტიური, კონდენსირებული ქრომატინით გაჯერებული, ბირთვი, მიტოქონდრიონებით, გრანულარული ენდოპლაზმური ბადით და სხვა ორგანელებით დარიბი ციტოპლაზმა და, რაც მთავარია, რგოლისებრი ტიპის ბირთვაკი. მათგან განსხვავებით, I ჯგუფის ცხოველების იმავე უჯრედების ბირთვებში აღინიშნება ქრომატინის დეკონდენსაცია და ნორმისთვის დამახასიათებელი რგოლისებრი ბირთვაკების ტრანსფორმაცია. ასეთ ბირთვაკებში ვლინდება სხვადასხვა ზომისა და ფორმის ფიბრილარული ცენტრი, მარცვლობს მკვრივი ფიბრილარული კომპონენტის და რიბონუკლეოპროტეიდების რაოდენობა. ნუკლეოლონემური შენების მქონე ბირთვაკების წარმოქმნა ამ უჯრედების პროლიფერაციულ და მეტაბოლურ აქტივაციაზე მიუთითებს. სინუსოიდური უჯრედების აქტივაციას, კუპფერის უჯრედებში, ციტოპლაზმური გრანულების რაოდენობის გაზრდის გარდა, სხვადასხვა ორგანელების, განსაკუთრებით, გრანულარული ენდოპლაზმური ბადის და მიტოქონდრიონების მატებაც ადასტურებს. ამის გამო ეს უჯრედები, "ნორმასთან' შედარებით, მუქად არის შეფერი. ტრანსმისიული ელექტრონული მიკროსკოპიით კვლევისას რჩება შთაბეჭდილება, რომ აღნიშნული ნაკლებად ეხება ენდოთელიოციტებს.

სინუსოიდური უჯრედების მაღალი პროლიფერაციული და მეტაბოლური აქტივობა უცილობლად დაამტკიცა Ag-NOR ცილებზე შედებვის ელექტრონულ-მიკროსკოპიულმა ციტოქიმიის მეთოდმა: ლიპოციტების, კუპფერის და pit-უჯრედების ბირთვაკებში მრავალრიცხოვანი Ag-დადებითი ზონები ნუკლეოლონემური შენების შესატყვის ჯაჭვს წარმოქმნიან. აღნიშნული მორფოლოგიური სუბსტრატი მკვეთრად განსხვავდება არააქტიური უჯრედებისათვის დამახასიათებელი რგოლისებრი ბირთვაკებისაგან, რომლებიც დიდი ზომის და გლუვი ფორმის ერთი ფიბრილარული ცენტრით არიან წარმოდგენილი. ასეთ ფიბრილარულ ცენტრებს შეესაბამება ერთი, დიდი ზომის, Ag-დადებითი ზონა, რომელიც არ წარმოქმნის გამონაზარდებს. Ag-NOR ცილებზე შედებვით დამტკიცდა, რომ ენდოთელიოციტების პროლიფერაციული და მეტაბოლური აქტივობა, სხვა სინუსოიდურ უჯრედებთან შედარებით, გაცილებით ნაკლები ხარისხით არის გამოხატული. მათ ბირთვაკებსაც, საკონტროლო ჯგუფის ვირთაგვების ანალოგიური უჯრედების ბირთვაკების სტრუქტურისაგან განსხვავებული შენება აქვთ. ეს ძირითადად ამ ორგანელაში Ag-NOR ცილების რაოდენობასა და განაწილებაში აისახება. ენდოთელიური უჯრედების ბირთვაკების უმრავლესობაში 2-3 Ag-დადებითი ზონა ვლინდება (სურ. 2). ამით ისინი განსხვავდებიან საკონტროლო ჯგუფის ცხოველების ენდოთელიური უჯრედების რგოლისებრი ტიპის ბირთვაკებისაგან, რომელთაც, როგორც წესი, მხოლოდ ერთი Ag-დადებითი ზონა აქვთ. ამავდროულად, სხვა სინუსოიდურ უჯრედებში გამოვლენილ ნუკლეოლონემური ტიპისაგან განსხვავებით, ენდოთელიოციტების ბირთვაკებში მცირერიცხოვანი Ag-დადებითი ზონები არ არის ურთიერთდაკავშირებული და არ ქმნის ჯაჭვისმაგვარ სტრუქტურას. მათი ბირთვაკების Ag-დადებითი ზონები არ წარმოქმნიან ნუკლეო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლონემური ტიპისათვის დამახასიათებელ ბევრ გამონაზარდს, მაგრამ რგოლისებრი ტიპისაგან განსხვავებით, არასოდეს არ აქვთ გლუვი ზედაპირი. ისინი გარდამავალი ტიპის ბირთვაკებს მიეკუთვნებიან. აღსანიშნავია, რომ ასეთი ბირთვაკები, მცირე რაოდენობით სხვა სინუსოიდურ უჯრედებშიც ვლინდება, მაგრამ მათი ხვედრითი წილი მნიშვნელოვნად ნაკლებია ვიდრე ენდოთელიოციტების პოპულაციაში.



სურ. 2. ზრდასრული თეთრი ვირთაგვის ღვიძლი, CCl_4-ის 21 ინექციის შემდეგ. შედებვა Ag-NOR ცილებზე. ენდოთელიური უჯრედის ბირთვაკში ვლინდება 3 Ag-დადებითი ზონა. გადიდება ×36000.

ენდოთელიოციტების ნაკლებ პროლიფერაციულ და მეტაბოლურ აქტივობას გარკვეულწილად ადასტურებს, საკონტროლო ჯგუფთან შედარებით, წერტილოვანი თვლის მეთოდით I ჯგუფის ცხოველებში გამოვლენილი სხვადასხვა სინუსოიდური უჯრედების ხვედრითი წილის ცვლილებები: საკონტოლო ჯგუფში ეს შეფარდება იყო: ენდოთელიური უჯრედები – 64,5%; კუპფერის უჯრედები – 20,5%; ლიპოციტები – 12% და pit-უჯრედები – 3%; I ჯგუფში კი ენდოთელიური უჯრედები – 51,5%; კუპფერის უჯრედები – 28,5%; ლიპოციტები – 18% და pit-უჯრედები – 2%. ლიპოციტებისა და pit-უჯრედების ტრანსფორმაციის მიუხედავად მნიშვნელოვნად მცირდება ენდოთელიოციტების ხვედრითი წილი.

II ჯგუფის ცხოველებში, I-თან შედარებით, სინუსოიდური უჯრედების პროლიფერაციული და მეტაბოლური აქტივობის მნიშვნელოვანი შემცირება გამოვლინდა. ფაქტობრივად, სინუსოიდური უჯრედების ყველა განხილული მორფოლოგიური ცვლილება და პარამეტრი, მათ შორის ენდოთელიური უჯრედების დესტრუქცია, მეტ-ნაკლებად ნორმის მაჩვენებლებს უბრუნდება.

III ჯგუფის ვირთაგვების ღვიძლში წინა პლანზე გამოდის შეუქცევადი ხასიათის სტრუქტურული ცვლილებები, კერძოდ, ჰეპატოციტების ატიპიური რეგენერაცია მათი კონცენტრაციული ჰიპერპლაზიის სახით. გაფართოებულ დისეს სივრცეებში მნიშვნელოვნად მატულობს კოლაგენის ბოჭკოების რაოდენობა. ენდოთელიური საფარის გვერდით ჩნდება ბაზალური მემბრანის მსგავსი სტრუქტურა. აღგილი აქვს სინუსოიდების ე.წ. "აპილარიზაციას". შედეგად, ჰეპატოციტები სრულიად იზოლირებული არიან სისხლძარღვებისაგან. თუ I ჯგუფის ცხოველებში ენდოთელიოციტების დესტრუქცია შემოიფარგლებოდა ფოკალური ციტოლიზით, III ჯგუფში ძლიერაა გამოხატული ენდოთელიოციტების ტოტალური კოლიკვაციური ნეკროზი. შესაბამისად, შენარჩუნებულია სანათურის შევიწროვება და მე-

ტადაა დარღვეული ენდოთელიური საფარის მთლიანობა, რაც საკმაოდ დიდი ჰემორაგიების, კერძოდ პელიოზების (ცისტის მსგავსი, სისხლით სავსე ღრუების [5]) წარმოქმნას განაპირობებს. კიდევ უფრო შემცირებულია ენდოთელიოციტების ხვედრითი წილი სინუსოიდურ უჯრედებს შორის (46,5%). დანარჩენ სინუსოიდურ უჯრედებში კი, I ჯგუფისგან არსებითად განსხვავებული მორფო-ფუნქციური ცვლილებები არ აღინიშნება. ფაქტობრივად იგივე რჩება მათ მიერ დაკავებული შეფარდებითი მოცულობის მაჩვენებელიც, მაგრამ, რადგანაც ატიპიური რეგენერაციის შედეგად წარმოქმნილ ჰეპატოციტებს მცირე ზომები აქვთ, რთულდება ამ პარამეტრის ინტერპრეტაცია. აღსანიშნავია აგრეთვე, კუპფერის უჯრედების და ლიპოციტების ციტოპლაზმაში პრეკოლაგენური ბოჭკოების რაოდენობის მატება, რაც მათში ფიბროპლასტიკური პროცესების გაძლიერებაზე მიუთითებს.

IV ჯგუფში, ისევე როგორც II-ში, აღინიშნა სინუსოიდური უჯრედების პროლიფერაციული და მეტაბოლური აქტივობის მნიშვნელოვანი შემცირება, მაგრამ ენდოთელიოციტებში განვითარებული სტრუქტურული ცვლილებების ნორმალიზაცია არ ხდება.

დასასრულს შეიძლება აღინიშნოს, რომ CCl_4-ით ღვიძლის ტოქსიკური დაზიანების დროს ადგილი აქვს ლიპოციტების, კუპფერის და pit-უჯრედების პროლიფერაციულ და მეტაბოლურ აქტივობას. მათგან განსხვავებით, ენდოთელიურ უჯრედებში ვლინდება, ტოქსიკანტის ზემოქმედების ხანგრძლივობასთან დაკავშირებული, დესტრუქციული ცვლილებები. ენდოთელიოციტების ალტერაცია, ერთი მხრივ, იწვევს სინუსოიდების სანათურის დახშობას, რაც აძლიერებს პორტულ ჰიპერტენზიას და აუარესებს ჰეპატოციტების სისხლმომარაგებას, ხოლო მეორე მხრივ, ადგილი აქვს ღვიძლის ჰისტოჰემატური ბარიერის მთლიანობის დარღვევას და პარენქიმაში სისხლსავსე ღრუების წარმოქმნას.

ლიტერატურა

1. *ჭიჭინაძე თ., ლორთქიფანიძე თ.* ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინა, 2003, 1-2, 122-125.
2. *Higuchi H., Gores G.J.* Curr. Mol. Med., 2003, 3, 483-490.
3. *Sano K., Takahashi H., Fujita S., Inokuchi T., Pe M.B., Okobe H., Tsuda N.J.* Oral Pathol. Med., 1991, 105, 470-480.
4. *Sherlock S., Dooley J.* Diseases of the Liver and Biliary System. 10th ed. London, Blackwell Science Ltd. 1997.
5. *Tsokos M., Erbeesdoler A.* Forensic Sci. Int., 2005, 149, 25-33.
6. *Weibel E.R.* Morphometry of Human Lung. Berlin, Springer, 1963.

ეროვნული ბიბლიოთეკა

МОРФО-ФУНКЦИОНАЛЬНЫЕ ИЗМЕНЕНИЯ В СИНУСОИДАЛЬНЫХ КЛЕТКАХ ПРИ ЭКСПЕРИМЕНТАЛЬНОМ ЦИРРОЗЕ ПЕЧЕНИ

Т.В. Чичинадзе, Ю.Р. Арвеладзе, Г.А. Джорбенадзе

Институт экспериментальной морфологии им. А. Натишвили Академии наук Грузии, Тбилиси

РЕЗЮМЕ

Целью исследования являлось изучение морфо-функциональных изменений, развивающихся в синусоидальных клетках печени (эндотелиоциты, липоциты, Купферовы клетки и pit-клетки) при экспериментальном циррозе. 20 белым крысам два раза в неделю подкожно вводили CCl_4, 0,1мл/100 гр. Подопытные животные были разделены на 4 группы и забивались: I группа – после 21 инъекции; II группа – после 21 инъекции и прекращения введения CCl_4 в течение 1 недели; III группа – 40 инъекций; IV группа – после 40 инъекций и прекращения введения CCl_4 в течение 2 недель. Использовались гистологический и электронно-микроскопический методы и метод электронно-микроскопической цитохимии (окраска на Ag-NOR белки). Относительный объем, занимаемый синусоидальными клетками и соотношение между синусоидальными клетками измеряли методом точечного счета. У крыс I группы наблюдалась выраженная пролиферативная и метаболическая активность липоцитов, Купферовых клеток и pit-клеток, сохраняющаяся и в III группе. У крыс I группы наблюдалась деструкция эндотелиоцитов в виде фокального цитолиза, а в III группе развивался необратимый тотальный цитолиз этих клеток. Относительный объем, занимаемый синусоидальными клетками, увеличивается, однако доля эндотелиоцитов уменьшается. Альтерация эндотелиоцитов вызывает сужение просвета синусоидов, с одной стороны а с другой же – приводит к нарушению целостности их выстилки.

MORPHOLOGICAL-FUNCTIONAL CHANGES IN SINUSOIDAL CELLS OF LIVER AT EXPERIMENTAL CIRRHOSIS

T. Chichinadze, Y. Arveladze, G. Jorbenadze

A. Natishvili Institute of Experimental Morphology, Georgian Academy of Sciences, Tbilisi

SUMMARY

The goal of investigation was to study morphological-functional changes occurring in sinusoidal cells of the liver (endotheliocytes, lipocytes, Kupffer cells and pit-cells) at experimental cirrhosis. One ml/100 g of 40% CCl_4 was subcutaneously injected to rats twice a week. Experimental animals were divided into four groups and were sacrificed after 21 injections – Group I, after 21 injections and the cessation of CCl_4 injection for one week – Group II, after 40 injections – Group III, after 40 injections and the cessation of CCl_4 injection for two weeks – Group IV. Histological, electron-microscopic and electron-microscopic cytochemistry methods were used (staining for Ag-NOR proteins). A relative volume occupied by sinusoidal cells and correlation between sinusoidal cells were measured using the method of point calculation. Pronounced proliferation and metabolic activity of lipocytes, Kupffer cells and pit-cells was

observed in the rats of Group I, which was maintained in Group III. In the rats of Group I destruction of endotheliocytes was observed as focal cytolysis, while in the rats of Group III an irreversible total cytolysis of these cells was noted. A relative volume occupied by sinusoidal cells increased while share of endotheliocytes decreased. Alteration of endotheliocytes induces narrowing of the lumen of sinusoids on the one hand, and leads to deterioration of covering of their integrity.

საქ. მეცნ. აკად. მაცნე, სერ. ბიოლ. A, 2005, ტ. 31, № 6. ISSN-0321-1665
Известия АН Грузии, сер. биол. A, 2005, т. 31, № 6.
Proc. Georgian Acad. Sci., Biol. Ser. A, 2005, vol. 31, No. 6.

ფერის განმსაზღვრელი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები და ფერების კლასიფიკაცია. ნაწილი II: ფერების კლასიფიკაცია

დ. ჯანელიძე

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი

მიღებულია 15.07.2005

ნაშრომის მიზანს შეადგენდა ფერის აღქმაში მონაწილე ობიექტური და სუბიექტური ფაქტორებისა და ფერების კლასიფიკაციის ერთ-ერთი შესაძლო ვარიანტის განხილვა. სტატიის პირველ ნაწილში განხილულია ფერის სუბიექტური შეგრძნების ფიზიკური კორელატის დუალური ბუნება და ფერის აღქმაში მონაწილე სხვადასხვა ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები. სტატიის მეორე ნაწილში მოცემულია ფერების კლასიფიკაციის ერთ-ერთი შესაძლო ვარიანტი, რომლის მიხედვითაც შეიძლება განვასხვავოთ ფერების 7 ნაირსახეობა. ამ ფერებს შორის არსებული სპეციფიკური განსხვავებებიდან აღსანიშნავია ის, რომ ფერების ყველა ნაირსახეობის შემთხვევაში, კონსტანტური ფერების გარდა, ფერის კატეგორიის განმსაზღვრელი ფიზიკური პარამეტრია მოცემული მიდამოდან მხედველობის სისტემისაკენ მიმავალი სინათლის სპექტრულ-ენერგეტიკული განაწილება. კონსტანტური ფერების შემთხვევაში კი მოცემული ზედაპირის ფერის კატეგორიის განმსაზღვრელი ფიზიკური პარამეტრია ამ ზედაპირის არეკვლის უნარი. მოცემული კლასიფიკაციით წარმოდგენილი ფერების სხვადასხვა ნაირსახეობის შემთხვევაში ფერის აღქმაზე გავლენას ახდენს სხვადასხვა ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების ერთობლიობა. წარმოდგენილი კლასიფიკაცია საშუალებას იძლევა, განისაზღვროს ფერის აღქმაში მონაწილე ობიექტური და სუბიექტური ფაქტორებიდან რომელია მნიშვლენოვანი ფერის თითოეული კონკრეტული ნაირსახეობის შემთხვევაში.

საკვანძო სიტყვები: ფერების კლასიფიკაცია, სპექტრული, პიგმენტური, ნამდვილი, კონსტანტური, აკონსტანტური ფერები

სტატიის პირველ ნაწილში [1] აღნიშნული იყო, რომ ანსხვავებენ დამოუკიდებელ ფერებს, ანუ ფერებს, რომლებიც იზოლირებულადაა წარმოდგენილი მხედველობის ველში და დამოკიდებულ ფერებს, რომლებიც მხედველობის ველში არაიზოლირებულად, ე.ი. სხვა ფერებთან ერთადაა

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოდგენილი [5]. ჩამონათვალი 1-ის მიხედვით, პირველს შეესაბამება 1a, 2a, $3a_1$, $3a_2$, $3a_3$ სიტუაციები, ხოლო მეორეს – 1b, 2b, $3b_1$, $3b_2$, $3b_3$ სიტუაციები).

ჩამონათვალი 1. სინათლის თვითმანათობელი და არათვითმანათობელი წყაროების და დაკვირვების პირობების ძირითადი შესაძლო კომბინაციები

1. თვითმანათობელი სინათლის წყაროების ფერები დაკვირვების იზოლირებულ (a) და არაიზოლირებულ (b) პირობებში.
2. არათვითმანათობელი, გამჭვირვალე სინათლის წყაროების ფერები დაკვირვების იზოლირებულ (a) და არაიზოლირებულ (b) პირობებში.
3. არათვითმანათობელი, გაუმჭვირვალე სინათლის წყაროების ფერები დაკვირვების იზოლირებულ (a) და არაიზოლირებულ (b) პირობებში.

   თავის მხრივ, 3a და 3b პუნქტები შიცავს 3 ქვეპუნქტს იმის მიხედვით, თუ როგორი განათების პირობებში ხდება ამ სხეულების აღქმა: $3a_1$ და $3b_1$ – თეთრი განათებისას, $3a_2$ და $3b_2$ – სუსტი და საშუალო ქრომატული განათებისას, $3a_3$ და $3b_3$ – ძლიერი ქრომატული განათებისას.
4. სინათლის თვითმანათობელი და არათვითმანათობელი წყაროების აღქმა დაკვირვების არაიზოლირებული პირობების დროს, როდესაც მხედველობის ველში ერთდროულად წარმოდგენილია სინათლის თვითმანათობელი და არათვითმანათობელი წყაროები და მეორე ნათდება პირველით ან სინათლის სხვა დამატებითი თვითმანათობელი წყაროთი (რამდენადაც ეს უკანასკნელი ვარიანტი ჯერ კიდევ ნაკლებადაა შესწავლილი, ტექსტში ის არ არის განხილული).

ამის გარდა, არჩევენ სპექტრულ ფერებს და პიგმენტურ ფერებს [2]. სპექტრულ ფერებს მიეკუთვნება სინათლის თვითმანათობელი წყაროების ფერები. იმის გამო, რომ სინათლის თვითმანათობელი და არათვითმანათობელი გამჭვირვალე წყაროების აღქმის კანონზომიერებანი ფერადი მხედველობის კონტექსტში არ განსხვავდება ერთმანეთისაგან, ეს უკანასკნელიც შეიძლება გაერთიანებული იყოს სპექტრული ფერების ჯგუფში (ამგვარად, სპექტრულ ფერებს ჩამონათვალ 1-ის მიხედვით, შეესაბამება 1a, 2a, 1b, 2b სიტუაციები). პიგმენტურ ფერებს მიეკუთვნება სინათლის არათვითმანათობელი გაუმჭვირვალე წყაროების ფერები (1 ჩამონათვალის მიხედვით $3a_1$, $3a_2$, $3a_3$, $3b_1$, $3b_2$, $3b_3$ სიტუაციები). თავის მხრივ, სპექტრული და პიგმენტური ფერები, იმისდა მიხედვით, იზოლირებულად არიან ისინი წარმოდგენილი მხედველობის ველში, თუ სხვა ფერებთან ერთად კომბინაციაში, შეიძლება განეკუთვნებოდნენ დამოუკიდებელ და დამოკიდებულ ფერებს. შესაბამისად, შეიძლება გავარჩიოთ სპექტრული დამოუკიდებელი ფერები (1a და 2a სიტუაციები), სპექტრული დამოკიდებული ფერები (1b და 2b სიტუაციები), პიგმენტური დამოუკიდებელი ფერები ($3a_1$, $3a_2$, $3a_3$ სიტუაციები) და პიგმენტური დამოკიდებული ფერები ($3b_1$, $3b_2$, $3b_3$ სიტუაციები).

პიგმენტური დამოუკიდებელი და დამოკიდებული ფერები, თავის მხრივ, განათების სპექტრული მახასიათებლებიდან გამომდინარე, შეიძლება მიეკუთნებოდნენ ნამდვილ ფერებს (ჩამონათვალი 1-ის $3a_1$ და $3b_1$ სიტუაციები), კონსტანტურ ფერებს (ჩამონათვალი 1-ის $3b_2$ სიტუაცია) და აკონსტანტურ ფერებს (ჩამონათვალი 1-ის $3a_2$, $3a_3$, $3b_3$ სიტუაციები).

ნამდვილი ფერი ეწოდება არათვითმანათობელი გაუმჭვირვალე ზედაპირის დამოუკიდებელ ან დამოკიდებულ ფერს თეთრი განათების პირობებში [7, 8]. ნამდვილ ფერებთან ჩვენ საქმე გვაქვს ჩამონათვალი 1-ის მიხედვით $3a_1$ და $3b_1$ სიტუაციებში, კერძოდ, იზოლირებული და არაიზოლირებული არათვითმანათობელი გაუმჭვირვალე ზედაპირების აღქმისას, თეთრი სინათლით განათების პირობებში.

კონსტანტური ფერი ეწოდება არათვითმანათობელი არაიზოლირებული, გაუმჭვირვალე ზედაპირის დამოკიდებულ პიგმენტურ ფერს, ისეთი ქრომატული (სუსტი და საშუალო) განათების პირობებში, რომლის დროსაც მისი ფერითი კატეგორია, ფერის კონსტანტური აღქმის მექანიზმების აქტივობის გამო, არ განსხვავდება მოცემული ზედაპირის ნამდვილი ფერის კატეგორიისაგან. კონსტანტური ფერების შემთხვევაში, ფერის განმსაზღვრელი ძირითადი ფიზიკური პარამეტრია მოცემული ზედაპირის არეკვლის უნარი, ანუ მოცემული ზედაპირის პიგმენტური ფერის კატეგორია განისაზღვრება ამ ზედაპირის არეკვლის უნარით. ფერების კონსტანტური აღქმის მექანიზმები მოქმედებს მხოლოდ დაკვირვების არაიზოლირებულ პირობებში, ანუ მხოლოდ დამოკიდებული ფერების აღქმისას. ამ დროს მხედველობის სისტემა ორი ან მეტი ზედაპირიდან არეკვლილი სინათლის სპექტრულ-ენერგეტიკული განაწილების (სპბ-ის) შესახებ ინფორმაციის გადამუშავების საფუძველზე, ახერხებს განათების თავისებურების შესაბამისი საკომპენსაციო-საკორექციო ძვრების განხორციელებას და მეტ-ნაკლები სიზუსტით განსაზღვრავს, თუ როგორია ამ ზედაპირების არეკვლის უნარი, რის საფუძველზეც ანიჭებს ამ ზედაპირებს შესაბამის ფერს. კონსტანტური აღქმის მექანიზმების მოქმედება ვლინდება მხოლოდ სუსტი და საშუალო ქრომატული განათების პირობებში, რადგანაც ძლიერი ქრომატული განათებისას ისინი ვეღარ ახერხებენ სათანადო ინტენსივობის საკომპენსაციო-საკორექციო ძვრების განხორციელებას. ამგვარად, ფერების კონსტანტურ აღქმას ადგილი აქვს სუსტი და საშუალო ქრომატული განათებისას, მხოლოდ დაკვირვების არაიზოლირებული პირობების დროს. შესაბამისად, კონსტანტური ფერები ყოველთვის დამოკიდებული ფერებია [3, 4, 7, 8]. კონსტანტურ ფერებთან საქმე გვაქვს, ჩამონათვალი 1-ის მიხედვით, $3b_2$ სიტუაციის დროს, კერძოდ, არათვითმანათობელი არაიზოლირებული პიგმენტური ზედაპირის აღქმისას სუსტი და საშუალო ქრომატული განათების პირობებში (იხ. დანართი 1).

აკონსტანტური ფერი ეწოდება არათვითმანათობელი, არაიზოლირებული გაუმჭვირვალე სინათლის წყაროს დამოკიდებულ ფერს ძლიერი ქრომატული განათების პირობებში, როდესაც მისი ფერითი კატეგორია განსხვავდება ნამდვილი ფერის კატეგორიისგან. ამ დროს კონსტანტობის მექანიზმები უკვე ვეღარ ახერხებს კორექციის განხორციელებას განათებაზე და შესაბამისად, ფერი განისაზღვრება მოცემული ზედაპირიდან ბადურისკენ მიმავალი გამოსხივების სპბ-ით (რომელსაც ზედ ედება ლატერალური ურთიერთქმედება მხედველობის ველში არსებულ სხვა ფერებთან), და არა მოცემული მიდამოს ზედაპირის არეკვლის უნარით [7, 8]. ჩამონათვალი 1-ის მიხედვით, აკონსტანტურ ფერებს შეესაბამება $3b_3$ სიტუაცია. აკონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტანტურ ფერებს მიეკუთვნება, აგრეთვე, იზოლირებული არათვითმანათობელი ზედაპირების დამოუკიდებელი პიგმენტური ფერები, ისეთი ქრომატული (სუსტი, საშუალო, ან ძლიერი) განათებისას, როდესაც მათი ფერითი კატეგორია აღარ შეესაბამება მათი ნამდვილი ფერის კატეგორიას. ასეთ ფერებთან საქმე გვაქვს, 1 ჩამონათვალი 1-ის მიხედვით, $3a_2$ და $3a_3$ სიტუაციებში. ამგვარად, აკონსტანტურ ფერებს, შეესაბამება $3a_2$, $3a_3$, $3b_3$ სიტუაციები.

კლასიკური განმარტებით, აკონსტანტური ფერები მიეკუთვნება პიგმენტურ ფერებს. ძნელი სათქმელია, რამდენად მართებულია პიგმენტური ფერების სახელწოდება ასეთი ფერებისთვის, რამდენადაც ფაქტობრივად ამ შემთხვევაში გენერირებული ფერი შეესაბამება ზედაპირიდან მომავალი გამოსხივების სპბ-ს და ის კორელაციაში არ არის ზედაპირის არეკვლის უნართან, რომელიც განსაზღვრავს მის ნამდვილ პიგმენტურ ფერს. ყოველივე ეს მიუთითებს, რომ ფერების კლასიფიკაცია მოითხოვს შემდგომ დამუშავებას და დახვეწას (იხ. დანართი 2).

